



მოხსენება

საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	4
შემაჯამებელი მიმოხილვა	5
1. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები	8
2. მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და ფისკალური რისკების რეალიზების ანალიზი	10
2.1 მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა.....	10
2.2 მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების რეალიზების ანალიზი	18
2.3 ფისკალური წესების შესრულების მდგომარეობა	24
3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	28
3.1 საგადასახადო შემოსავლები.....	29
3.2 სხვა შემოსავლები	31
3.3 არაფინანსური აქტივების კლება	32
4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ანალიზი.....	32
4.1 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება	37
4.1.1 ბიუჯეტის დაზუსტება	37
4.1.2 ბიუჯეტის ათვისება პროგრამების დონეზე	39
4.2 საინვესტიციო პროექტების მართვა	40
4.3 საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.....	46
4.4 პროგრამული ბიუჯეტირება	51
5. ფინანსური აქტივების მართვა	52
5.1 ვალუტა და დეპოზიტები.....	53
5.2 სესხები	54
5.3 აქციები და სხვა კაპიტალი.....	59
6. სახელმწიფო და მთავრობის ვალი	60
6.1 სახელმწიფო ვალი	60
6.2 მთავრობის ვალი.....	61
6.3 მთავრობის საგარეო ვალი.....	63
6.4 მთავრობის საშინაო ვალი	66
6.5 მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები	68
7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	70
დანართები	72
დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება - მაგალითები	72

დანართი 2. ბიუჯეტის ათვისება პროგრამების დონეზე - მაგალითები.....	75
დანართი 3. საინვესტიციო პროექტების მართვა - მაგალითები.....	77
დანართი 4. პროგრამული ბიუჯეტირება - მაგალითები.....	83
დანართი 5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების შესახებ მოხსენებებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	86
დანართი 6. „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ძირითადი მიმართულებით დაგეგმილი შედეგების და ინდიკატორების მიღწევის დამოუკიდებელი ვერიფიკაციის ანგარიში	91

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები	მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 142-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-19 და 57-ე მუხლებით საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები	მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები; გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშების დოკუმენტები; დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და შედეგები; ე) საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშები და სტატისტიკური ინფორმაცია; ვ) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია.
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა; ანგარიშის საფუძვლად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები; სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა	მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობების საქართველოს მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, აგრეთვე ხარჯების კანონიერებას.
ზოგადი შეფასება	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიში“ მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. მოხსენებაში წარმოდგენილ მიგნებებში აღწერილი საკითხების გარდა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად ასახავს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციას.

შემაჯამებელი მიმოხილვა

- 2022 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 10.1% შეადგინა, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით მეტია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებელზე (10.0%). ნომინალური მშპ-ს მოცულობა 71.8 მლრდ ლარს გაუტოლდა და 19.6%-ით გაიზარდა გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით;
- საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა;
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ს 4.1%-ის გაუტოლდა და 1.6 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით (5.7%);
- 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსულობების მოცულობამ 20.5 მლრდ ლარი შეადგინა და 0.4%-ით გადააჭარბა გეგმურ მაჩვენებელს. ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 20.2 მლრდ ლარს გაუტოლდა და 0.1%-ით ჩამორჩა გეგმას;
- მაკროეკონომიკურ სცენარებში მოცემული პარამეტრების ფაქტობრივ მაჩვენებლებთან შესაბამისობის ანალიზი მიუთითებს, რომ 2022 წელს ეკონომიკური მოვლენები ძირითადად საბაზო და ოპტიმისტური სცენარების კომბინაციით განვითარდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში წარმოდგენილია შემდეგი მნიშვნელოვანი სისტემური ხასიათის საკითხები. კერძოდ:


- ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების მატერიალიზაციისა და მათ საპასუხოდ განხორციელებული პოლიტიკის პასუხების შესახებ;
- ქვეყნის წინაშე არსებული ფისკალური რისკების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს სახელმწიფო საწარმოები წარმოადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია მათ უარყოფით ფინანსურ შედეგებთან. საწარმოთა ნაწილი დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებაზე;
- ფისკალური რისკების მნიშვნელოვან წყაროდ რჩება საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში მიმდინარე დავები, რომელთა ფარგლებშიც 2022 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, სადავო თანხის პოტენციური მაქსიმალური ოდენობა 2.9 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა;
- 2022 წელს გაუმჯობესდა ბიუჯეტის დეფიციტისა და ვალის წესის მაჩვენებლები. ორივე პარამეტრი კანონმდებლობით დაწესებული ლიმიტების ფარგლებში დაბრუნდა. კერძოდ:
 - ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა 2.1% (1.5 მლრდ ლარი) შეადგინა (ლიმიტი - 3.0%);
 - ვალის წესის მაჩვენებელი 40.3%-ს გაუტოლდა (ლიმიტი - 60.0%). აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წელთან შედარებით 10 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა (შემცირდა), რაც ეროვნული ვალუტის გამყარებამ, ნომინალური მშპ-ს ზრდამ და ასაღები ვალის მოცულობის შემცირებამ განაპირობა;
- 2022 წელს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, მთავრობის ვალის და შესაბამისად, ვალის წესის მაჩვენებლის გაანგარიშებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მაჩვენებლები. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი ვალის წესის მაჩვენებელი არ მოიცავს აღნიშნული საწარმოების ვალს;
- სახელმწიფო საწარმოების სექტორიზაციის მიზნით საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, არ დარეგულირებულა საწარმოების მიერ სესხის აღებასთან

დაკავშირებული უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები, რაც მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს;

- გასული წლების მსგავსად, 2022 წლის ბოლოს ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, მხოლოდ დეკემბერში დახარჯული თანხის ოდენობამ 3.2 მლრდ ლარი და მთლიანი გადასახდელების 16.0% შეადგინა;
- აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი 8 სამინისტროს შემთხვევაში, 2022 წელს განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების ჯამურმა მოცულობამ (პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის) 1.6 მლრდ ლარი შეადგინა. ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 148 პროგრამიდან ბიუჯეტის დაზუსტება განხორციელდა 106-ში;
- ბიუჯეტის გადასახდელების აგრეგირებულ დონეზე შესრულების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, 19 პროგრამისა (პროგრამების საერთო რაოდენობის 12.6%) და 85 ქვეპროგრამის შემთხვევაში (ქვეპროგრამების საერთო რაოდენობის 22.0%) ათვისებული იქნა ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმის 80%-ზე ნაკლები;
- 2022 წლის კაპიტალურმა ხარჯებმა 6.4 მლრდ ლარი და მშპ-ს 8.9% შეადგინა. საშუალოვადიან პერიოდში (2023-2026 წლებში) აღნიშნული მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება და 8.0%-იან სამიზნე ნიშნულის ჩამოსცდება;
- 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებისას, კაპიტალური პროექტების მნიშვნელოვან ნაწილს შეეცვალა დაფინანსება. მიუხედავად ამისა, შესაბამისად არ დაკორექტირებულა „კაპიტალური პროექტების დანართი“. ასევე, კაპიტალური პროექტის შესრულების მონიტორინგის კუთხით, მნიშვნელოვანია, პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება და ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებთან ერთად წარმოდგენა;
- საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვაში იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს წარმოადგენს პროექტების გეგმების არსებითი ცვლილებები და დასრულების ვადის დროში გაჭიანურება. გარდა ამისა, პროექტების დაგეგმვის ეტაპზე არსებული გამოწვევები გავლენას ახდენს მათი განხორციელების პროცესზე, რაც ხშირ შემთხვევაში, აუთვისებელი რესურსის ან ფაქტობრივი ხარჯის გეგმაზე მნიშვნელოვან გადაჭარბებაში გამოიხატება;
- საყურადღებოა, სსიპ/ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსავლებისა და ხარჯების გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრების სიხშირე და მასშტაბი, რაც რიგ შემთხვევებში სისტემატურ ხასიათს ატარებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია უწყებების მხრიდან დამატებითი ყურადღების გამახვილება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, რეალისტური პროგნოზების განსაზღვრისათვის;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი ცენტრალური ბიუჯეტის 23 სსიპ/ა(ა)იპ-ის მიერ 2022 წლის ბოლოს კომერციული ბანკების ანგარიშებზე დეპოზიტების სახით განთავსებულმა თანხებმა 603 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, მოთხოვნამდე დეპოზიტების მოცულობა 262 მლნ ლარია, ხოლო ვადიანი დეპოზიტების - 341 მლნ ლარი;
- პროგრამული ბიუჯეტის მომზადებისა და ანგარიშგების პროცესში შეინიშნება სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რაც ართულებს პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას. სამინისტროების შედეგების შეფასების ინდიკატორების 21.8%-ში გამოვლინდა ხარვეზები. ასევე, 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტით სამინისტროებისათვის განსაზღვრული ინდიკატორების მიზნობრივ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის 10%-ზე მეტი განსხვავება დაფიქსირდა ინდიკატორების 40%-ში;

- პროგრამული ბიუჯეტირების შემდგომი განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, შემუშავდეს ფორმალური სამოქმედო გეგმა, სადაც განისაზღვრება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით;
- 2022 წლის ბოლოს მთავრობის ვალის მოცულობა 28.5 მლრდ ლარს გაუტოლდა და მშპ-ს 39.8% შეადგინა. მათ შორის, მთავრობის საგარეო ვალი 21.4 მლრდ ლარია, ხოლო საშინაო ვალი - 7.1 მლრდ ლარი;
- 2022 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, მთავრობის ვალის ნაშთის 75%-ს საგარეო ვალი წარმოადგენს. შესაბამისად, არსებული გეოპოლიტიკური რისკების ფონზე, მთავრობის ვალი განსაკუთრებით მოწყვლადია ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ;
- 2022 წლის ბოლოს ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მთავრობის ვალის მართვის განახლებული სტრატეგია 2023-2026 წლებისთვის. სტრატეგიაში წარმოდგენილი მიმართულებების საბიუჯეტო პროცესში უკეთ ინტეგრირებისთვის, მიზანშეწონილია, მისი განახლება განხორციელდეს შემდგომი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარდგენამდე;
- მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის ხარისხობრივი გაუმჯობესებისთვის, მიზანშეწონილია, დოკუმენტში წარმოდგენილი მიმართულებები და მიზნობრივი ნიშნულები თანხვედრაში იყოს დოკუმენტის არეალსა და მიზნებთან; ასევე, სტრატეგია მოიცავდეს ვალის მომსახურების ხარჯების შეფასების ინდიკატორ(ებ)ს და სტრატეგიით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლების პოტენციური გავლენის შეფასებას ამ ინდიკატორ(ებ)ზე;
- მთავრობის ვალთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკ-ფაქტორების სრულფასოვანი ანალიზის მიზნით, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი“ მოამზადოს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით;
- 2022 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მთლიანი პორტფელის მოცულობა 2.8 მლრდ ლარს შეადგენს. პორტფელში აღირიცხება 70 სესხი, საიდანაც 19 რესტრუქტურირებულია;
- საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურირებისა და მომსახურების გადავადების პროცესთან დაკავშირებული ფორმალურად გაწერილი პოლიტიკა/პროცედურა არ არსებობს, რაც გარკვეულ შემთხვევებში წარმოშობს არაერთგვაროვან და ნაკლებად გამჭვირვალე მიდგომებს;
- რაც შეეხება შიდა საბიუჯეტო რესურსებიდან გაცემულ სესხებს, რომელთა გაცემა ხორციელდებოდა 2016 წლამდე, 171 სესხიდან ვადაგადაცილებაშია 88, რომლებზეც დარიცხული დავალიანების (ჯამში 381.1 მლნ ლარი) 56.4% პირგასამტეხლოა, 36.9% - სესხის ძირი თანხა, ხოლო 6.7% პროცენტის ხარჯი. საბიუჯეტო სესხების არსებული პორტფელი ხასიათდება ხარვეზებით, რაც ძირითადად დაკავშირებულია სესხის გამცემი უწყებების მიერ რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი უწყების მიმართ ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევასთან.

1. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები




ცხრილი 1. მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების დინამიკა.

	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.
ეკონომიკური მაჩვენებლები					
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	44,599	49,253	49,267	60,003	71,754
ეკონომიკური ზრდა	4.8%	5.0%	-6.8%	10.5%	10.1%
ინფლაცია	2.6%	4.9%	5.2%	9.6%	11.9%
მშპ-ს დეფლატორი	4.4%	5.2%	7.3%	10.3%	8.6%
საქონლით საგარეო სავაჭრო სალდო (მლნ აშშ დოლარი)	-5,982	-5,721	-4,709	-5,857	-7,999
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1,352	1,352	590	1,242	2,000
ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	1,580	1,733	1,886	2,350	4,372
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-სთან	6.8%	5.8%	12.5%	10.4%	4.1%
ფისკალური მაჩვენებლები					
შემოსულობები (მლნ ლარი)	12,693	13,252	18,042	18,378	20,529
გადასახდელები (მლნ ლარი)	12,590	13,470	16,175	19,808	20,163
ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)	103	-217	1,868	-1,430	366
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	9,696	9,666	9,365	11,439	14,977
ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან	0.7%	2.6%	9.0%	6.2%	2.1%
სახელმწიფო ვალის მოცულობა (მლნ ლარი)	17,795	20,623	30,835	31,216	29,655
მთავრობის ვალის მოცულობა (მლნ ლარი)	17,349	19,916	29,672	29,812	28,538
ვალის წესის მაჩვენებელი	38.9%	41.2%	61.0%	50.3%	40.3%


2022 წლის განმავლობაში დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილება ორჯერ განხორციელდა. ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობების მოცულობა 19.4 მლრდ ლარით, ხოლო გადასახდელები - 19.2 მლრდ ლარით იყო განსაზღვრული. განხორციელებული ცვლილებებით, შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 1.1 მლრდ ლარით (5.6%-ით) გაიზარდა და 20.4 მლრდ ლარს გაუტოლდა. 1.0 მლრდ ლარით (5.3%-ით) გაიზარდა გადასახდელების მოცულობა და ბიუჯეტის საბოლოო ვერსიით 20.2 მლრდ ლარით განისაზღვრა. წლის ბოლოს შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 20.5 მლრდ ლარი (გეგმის 100.4%) და 20.2 მლრდ ლარი (გეგმის 99.9%) შეადგინა.

დიაგრამა 1. 2022 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება საბოლოო კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან.



შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით წლის განმავლობაში ბიუჯეტის ნაშთის მოცულობა 882 მლნ ლარიდან 1.2 მლრდ ლარამდე გაიზარდა.

დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის ყოველთვიური დინამიკა - 2022 წ. (მლნ ლარი).



2022 წელს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი ლიმიტების ფარგლებში¹ როგორც ბიუჯეტის ბალანსის (ბიუჯეტის დეფიციტის), ასევე ვალის წესის მაჩვენებლები, რომლებმაც შესაბამისად, 2.1% და 40.3% შეადგინა.

¹ ბიუჯეტის ბალანსის წესი - ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 3.0%-ს; ვალის წესი - მთავრობის ვალის და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამის ფარდობა მშპ-სთან არ უნდა აღემატებოდეს 60.0%-ს.


2. მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და ფისკალური რისკების რეალიზების ანალიზი

2.1 მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა

2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილება ორჯერ განხორციელდა და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების უმეტესობა პოზიტიური მიმართულებით დაკორექტირდა. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის საბოლოო ვერსია 2022 წლის 15 დეკემბერს იქნა მიღებული, როდესაც წლის ფისკალური და ეკონომიკური ტენდენციების ფაქტობრივი მდგომარეობა უმეტესწილად ცნობილი იყო. აღნიშნულმა თავის მხრივ ხელი შეუწყო საპროგნოზო მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფაქტობრივთან დაახლოებას.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონი **ეკონომიკის 6.0%-იანი ზრდის პროგნოზით** დაიგეგმა, თუმცა, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, ოქტომბერში ჯერ 8.5%-მდე, დეკემბერში კი 10.0%-მდე გაიზარდა. რეალური მშპ-ს პროგნოზების ზრდა წლის განმავლობაში მოსალოდნელზე მაღალმა დადებითმა ეკონომიკურმა დინამიკამ განაპირობა. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკის მკვეთრი გაჯანსაღების ძირითად მიზეზებს ტურიზმის სექტორის აღდგენა და უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა წარმოადგენდა. **2022 წლის ფაქტობრივმა ეკონომიკურმა ზრდამ 10.1% შეადგინა და 0.1 პ.პ.-ით გადააჭარბა პროგნოზირებულ მაჩვენებელს.** ამასთანავე, 2019 წელთან შედარებით რეალური მშპ 13.4%-ით გაიზარდა.

დიაგრამა 3. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების საპროგნოზო და ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი 2022 წლისათვის.



წყარო: საპროგნოზო მაჩვენებლები - ფინანსთა სამინისტრო; ფაქტები - სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური და საქართველოს ეროვნული ბანკი.


2022 წლის განმავლობაში მშპ-ს რეალური ზრდის ყველაზე მაღალი ნიშნული (15.0%) პირველ კვარტალში დაფიქსირდა, რისი ძირითადი მიზეზიც მომსახურების სექტორის გააქტიურებასთან² ერთად, საბაზო ეფექტიცაა (2021 წლის პირველ კვარტალში ადგილი ჰქონდა ეკონომიკის კლებას 3.8%-ის ოდენობით).³

² საქართველოს ეროვნული ბანკი, [მონეტარული პოლიტიკის ანგარიში](#), აგვისტო, 2022 წ. გვ. 19


³ 2022 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ 2020 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 10.6%-ით გაიზარდა.

2022 წელს, გასულ წელთან შედარებით, ეკონომიკის 20 დარგიდან⁴ 17-ში ზრდა დაფიქსირდა, ხოლო დანარჩენ 3-ში - კლება. წლიურად ყველაზე მკვეთრად ინფორმაციისა და კომუნიკაციის (49.9%-ით), შინამეურნეობების საქმიანობებისა (39.4%-ით) და ელექტროენერგიის მიწოდების (38.9%-ით) სექტორები გაიზარდა.

დიაგრამა 4. რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის კვარტალური და წლიური დინამიკა - 2020-2022 წწ. (%)




დიაგრამა 5. რეალური მშპ-ს და ზოგიერთი ეკონომიკური დარგის შედარება წინა წელთან - 2022 წ. (%)



წყარო: სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 6. დანახარჯების მიხედვით დათვლილი ნომინალური მშპ-ს ზრდა და ზრდაში თითოეული კომპონენტის წვლილი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


2022 წელს ნომინალური მშპ 2021 წელთან შედარებით 19.6%-ით გაიზარდა და 71.8 მლრდ ლარს გაუტოლდა, რაც 522 მლნ ლარით (0.7%-ით) ნაკლებია ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ პროგნოზთან შედარებით. აღნიშნული განპირობებულია, ერთი მხრივ, მოხმარებისა და ინვესტიციების ფაქტობრივი მაჩვენებლების პროგნოზიდან ჩამორჩენით, მეორე

⁴ Statistical Classification of Economic Activities in the European Community Rev. 2

მხრივ, იმპორტის ფაქტობრივი მოცულობის გადაჭარბებით.⁵ დანახარჯების მიხედვით დათვლილ ნომინალური მშპ-ს ზრდაში ყველაზე დიდი კონტრიბუცია ექსპორტმა შეიტანა (20.1%).


2022 წლის სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურმა **ინფლაციამ** 11.9% შეადგინა და გაუტოლდა ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ პროგნოზს, ხოლო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს (4.5%) 7.4 პ.პ.-ით გადააჭარბა. ინფლაცია 2022 წელს, უკანასკნელი წლების პიკური მაჩვენებლიდან დაიწყო და იანვარში 13.9% შეადგინა. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკისა და პანდემიასთან დაკავშირებული ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვით მოსალოდნელი იყო ინფლაციის კლება, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომმა საერთაშორისო ბაზარზე სასაქონლო ფასები გაზარდა, რამაც, თავის მხრივ საქართველოში ინფლაციის კლების პროცესი შეაფერხა.⁶ ამასთან, 2022 წლის ინფლაციური წნეხის ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორს ერთობლივი მოთხოვნის ზრდა წარმოადგენდა. 2022 წლის განმავლობაში მთლიანი ინფლაცია კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა. მეოთხე კვარტალში ინფლაციის კლების ძირითადი მიზეზები გამყარებული ვალუტა და კლებადი იმპორტირებული ინფლაცია გახდა.⁷ შედეგად, დეკემბრის ბოლოს სამომხმარებლო ფასების ინფლაციის მაჩვენებელმა 9.8% შეადგინა, რაც, შესაბამისად, 0.2 პ.პ.-ით და 7.3 პ.პ.-ით აჭარბებს ბიუჯეტის საბოლოო (9.6%) და თავდაპირველი კანონით (2.5%) განსაზღვრულ პერიოდის ბოლოსთვის არსებული ინფლაციის პროგნოზებს.

დიაგრამა 7. ინფლაციის მაჩვენებლები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით - 2019-2022 წწ.⁸ (%)



წყარო: სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 8. სამომხმარებლო კალათაში შემავალი სასაქონლო ჯგუფების ფასების საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი - 2022 წ. (%)



2022 წელს სამომხმარებლო კალათის ცალკეული სასაქონლო ჯგუფებიდან ფასების ყველაზე მაღალი საშუალო წლიური ზრდა დაფიქსირდა საცხოვრებელი სახლისა და კომუნალურების

⁵ მოხმარება და ინვესტიციები ჯამში 5.9 მლრდ ლარით ჩამორჩა პროგნოზს. მთავრობის დანახარჯები და ექსპორტი, ჯამში 8.2 მლრდ ლარით აჭარბებს პროგნოზებს. თავის მხრივ, იმპორტი 2.7 მლრდ ლარით მეტია გეგმაზე, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ნომინალური მშპ-ს ფაქტობრივი მაჩვენებლის პროგნოზიდან 522 მლნ ლარით ჩამორჩენა.

⁶ ეროვნული ბანკი, [მონეტარული პოლიტიკის ანგარიში](#), ოქტომბერი, 2022 წ. გვ. 5

⁷ ეროვნული ბანკი, [მონეტარული პოლიტიკის ანგარიში](#), თებერვალი, 2023 წ. გვ. 25


⁸ საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

(18.3%), სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების (17.9%), ტრანსპორტისა (15.8%) და სასტუმროების, კაფეების, რესტორნების (14.4%) სასაქონლო ჯგუფებზე.


2022 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 1 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც მშპ-ს 4.1%-ს შეადგენს. მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 6.3 პ.პ.-ით (927 მლნ აშშ დოლარით) შემცირდა⁹ და 1.6 პ.პ.-ითა და 3.5 პ.პ.-ით გაუმჯობესდა, შესაბამისად, ბიუჯეტის საბოლოო (5.7%) და თავდაპირველი (7.6%) კანონებით განსაზღვრულ პროგნოზებთან შედარებით.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი პირველი სამი კვარტლის განმავლობაში კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა. აღსანიშნავია, რომ მესამე კვარტალში მომსახურების წმინდა ექსპორტისა და წმინდა მიმდინარე ტრანსფერების ზრდამ განაპირობა დადებითი სალდო, თუმცა მეოთხე კვარტალში საქონლის წმინდა ექსპორტის შემცირებამ კვლავ გაზარდა დეფიციტის მაჩვენებელი.

დიაგრამა 9. მიმდინარე ანგარიშის ბალანსისა და მისი კომპონენტების ტენდენცია წლების მიხედვით ნომინალში და მშპ-სთან მიმართებით (მლნ აშშ დოლარი; %).



დიაგრამა 10. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის კვარტალური ტენდენცია ნომინალში და მშპ-სთან მიმართებით - 2022 წ. (მლნ აშშ დოლარი; %).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2021 წელთან შედარებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას (47.8%-ით) ხელი შეუწყო მომსახურების წმინდა ექსპორტისა (271%-ით) და წმინდა მიმდინარე ტრანსფერების (32%-ით) ზრდამ. აღსანიშნავია, რომ მომსახურების წმინდა ექსპორტის გაუმჯობესება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების 183%-იანი ზრდითაა განპირობებული,¹⁰ ხოლო მიმდინარე ტრანსფერებში ძირითადი კონტრიბუცია ფულადმა გზავნილებმა შეიტანა. მიმდინარე ანგარიშის

⁹ კომპონენტების დონეზე, საქონლის სავაჭრო ბალანსისა და წმინდა შემოსავლების დეფიციტი დააბალანსა მიმდინარე ტრანსფერებმა და მომსახურების წმინდა ექსპორტმა.

¹⁰ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 251 მლნ აშშ დოლარით (7.6%-ით) აღემატება.

ფორმირებაზე უარყოფითი ეფექტი იქონია საქონლის წმინდა ექსპორტისა და წმინდა შემოსავლების ცვლილებამ.


დიაგრამა 11. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის კომპონენტების მოცულობები და მათი წვლილი 2022 წლის მაჩვენებლის ფორმირებაში (მლნ აშშ დოლარი; %-ული პუნქტი).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2022 წელს საგადასახდელო ბალანსში მიმდინარე ანგარიშის სალდოს გაუმჯობესების პარალელურად 968 მლნ აშშ დოლარით შემცირდა ფინანსური ანგარიშის სალდო, რაც ძირითადად პორტფელის ინვესტიციების ცვლილებითაა გამოწვეული. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (1.7 მლრდ დოლარი) და სხვა ინვესტიციები (1.6 მლრდ დოლარი) წარმოადგენს.¹¹

დიაგრამა 12. საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურა (მლნ აშშ დოლარი).




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


¹¹ სხვა ინვესტიციები მოიცავს აქტივებსა და ვალდებულებებს, რაც თავის მხრივ, შედგება სავაჭრო კრედიტების, სესხების, ნაღდი ფულისა და დეპოზიტების და სხვა აქტივების კომპონენტებისაგან. 2022 წელს როგორც აქტივების, ასევე ვალდებულებების წამყვან კომპონენტს ნაღდი ფული და დეპოზიტები წარმოადგენდა.

რაც შეეხება საქონლით ვაჭრობას, 2022 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 19.2 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო სავაჭრო სალდომ -8.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2021 წელთან შედარებით, ექსპორტი 31.8%-ით გაიზარდა და 5.6 მლრდ აშშ დოლარს¹² გაუტოლდა, იმპორტის მოცულობა კი 34.5%-ით გაიზარდა და 13.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.¹³

დიაგრამა 13. ექსპორტის მოცულობა (მლრდ აშშ დოლარი) და 5 ყველაზე მსხვილი პარტნიორი ქვეყნის წილი მთლიან ექსპორტში (%).



დიაგრამა 14. იმპორტის მოცულობა (მლრდ აშშ დოლარი) და 5 ყველაზე მსხვილი პარტნიორი ქვეყნის წილი მთლიან იმპორტში (%).



წყარო: სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2022 წელს, გასულ წელთან შედარებით, საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა 189%-ით გაიზარდა და 5.4 მლნ ადამიანს გაუტოლდა,¹⁴ თუმცა იგი 42%-ით ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებელს. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა 3.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 2.3 მლრდ აშშ დოლარით (183%-ით) აღემატება. აღსანიშნავია, რომ 2019 წელთან შედარებით, მოგზაურთა რაოდენობრივი მაჩვენებლის სიმცირის მიუხედავად, მიღებული შემოსავლები 251 მლნ აშშ დოლარით (7.7%-ით) გაიზარდა, რაც, მათ შორის, გამოწვეულია ტურისტული ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობის ზრდით.¹⁵


¹² აღნიშნული თანხა მოიცავს რეექსპორტის მოცულობას 3.7 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით.

¹³ 2019 წელთან შედარებით ექსპორტის მოცულობა 47.2%-ით, ხოლო იმპორტის მოცულობა 42.7%-ით გაიზარდა.


¹⁴ მაჩვენებელი მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებსა (4.7 მლნ პირი) და სხვა (არატურისტული) მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს (723 ათასი პირი).

¹⁵ 2022 წელს ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებისას გათვალისწინებული დამატებითი საშუალო რაოდენობა 6.3-ის ტოლია, ხოლო 2019 წლისათვის 4.1. მაჩვენებელი არ არის ხელმისაწვდომი 2020 და 2021 წლებისათვის, კოვიდ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე.

დიაგრამა 15. საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა წლების მიხედვით და მისი ცვლილების ტენდენცია (ათასი ადამიანი).




დიაგრამა 16. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები - (მლნ აშშ დოლარი).



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; საქართველოს ეროვნული ბანკი.

რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტორების მაჩვენებლის კომპოზიციის დინამიკას, რეზიდენტობის მიხედვით, 2021 წელთან შედარებით გაზრდილია თურქეთიდან, სომხეთიდან და რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების მაჩვენებელი.


დიაგრამა 17. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების დინამიკა %-ულ ჭრილში რეზიდენტობის მიხედვით.




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ფულადი გზავნილების მოცულობა 2019-2021 წლებში საშუალოდ 14.4%-ით იზრდებოდა. 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ფულადი გზავნილები 86%-ით გაიზარდა და 4.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ძირითადად რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების 1.7 მლრდ აშშ დოლარით ზრდით (402.7%-ით) არის გამოწვეული.

დიაგრამა 18. ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი).




დიაგრამა 19. ფულადი გზავნილების მოცულობა თვეების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2022 წელს 758 მლნ აშშ დოლარით (61.1%-ით) გაიზარდა და 2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მაჩვენებლის ზრდა ძირითადად გამოწვეულია ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 505 მლნ აშშ დოლარით (142.5%-ით) ზრდით. წინა წელთან შედარებით, 148 მლნ აშშ დოლარით (901.2%-ით) გაიზარდა აშშ-დან მიღებული, ხოლო გაერთიანებული სამეფოდან მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 175 მლნ აშშ დოლარით (29.0%-ით) შემცირდა. რაც შეეხება ინვესტიციების ზრდას სექტორების მიხედვით, ყველაზე დიდი გაუმჯობესება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობის სფეროში განიცადა (გაიზარდა 365 მლნ აშშ დოლარით).¹⁶

დიაგრამა 20. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ქვეყნების მიხედვით (ნომინალურად და წილობრივად მთლიან ინვესტიციებში) (მლნ აშშ დოლარი).




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური * 2022 წლის მაჩვენებელი ექვემდებარება დაზუსტებას.

¹⁶ წყარო: [საქართველოს სტატისტიკის სამსახური](#), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით (NACE Rev.2).


2022 წელს გაუმჯობესებულმა ეკონომიკურმა დინამიკამ და უცხოეთიდან მიღებული ფულადი ნაკადების ზრდამ,¹⁷ დადებითი გავლენა იქონია ეროვნული ვალუტის როგორც ნომინალური, ასევე რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის მდგომარეობაზე, რაც, შესაბამისად, 24.9%-ითა და 15.0%-ით გამყარდა.

დიაგრამა 21. უცხოური ვალუტის შემოძინების წყაროები: ექსპორტი, ტურიზმი, გზავნილები და ინვესტიციები (მლრდ აშშ დოლარი).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 22. ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის¹⁸ პროცენტული ცვლილება გასული წლის შესაბამის თვესთან (მარცხენა ღერძი) და აშშ დოლარისა და ევროს საშუალოთვიური გაცვლითი კურსი ლართან მიმართებით (მარჯვენა ღერძი).



2.2 მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების რეალიზების ანალიზი

2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებისას არ განახლებულა კანონზე თანდართული „ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი“. დაკორექტირდა მხოლოდ „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის დოკუმენტი“, რის შედეგადაც საბიუჯეტო პარამეტრები 6 განახლებული ნეგატიური რისკის ფონზე დაიგეგმა.¹⁹

რისკების რეალიზების მდგომარეობის შუალედური ანალიზი ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად (2022 წლის 8 თვის მონაცემებზე დაყრდნობით). სრული წლის კრილში რისკების მატერიალიზაციის შესახებ ანგარიშგება არ მომხდარა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში. აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, შეაფასონ

¹⁷ საქონლის ექსპორტი 35.8%-ით, 2 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა; ფულადი გზავნილები 86.1%-ით, 2 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა; პირდაპირი ინვესტიციები 61.1%-ით, 758 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა; მომსახურების ექსპორტი 122.5%-ით, 3.1 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა.

¹⁸ NEER - ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი; REER - რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი.

¹⁹ 2 მაკროეკონომიკური რისკი ჩანაცვლდა ახალი რისკებით და საბოლოოდ განისაზღვრა შემდეგი სახით: პანდემიის გამწვავება, ტურიზმის გლობალური სენტრემენტების გაუარესება, გლობალური სავაჭრო ბრუნვის შემცირება, რეგიონული რისკები, ინფლაციის შედეგად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა, მსოფლიოში მოსალოდნელი რეცესია.

სხვადასხვა რისკ-ფაქტორის რეალიზების გავლენა ფისკალურ აგრეგატებზე და როგორი იყო ფისკალური პოლიტიკის პასუხები სხვადასხვა შოკის გავლენის დასაბალანსებლად.

2022 წლის ფაქტობრივი მონაცემების ანალიზით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში წარმოდგენილ რისკებთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი მდგომარეობა:

- *რეალიზდა რეგიონული რისკები* - რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებას რეგიონში გეოპოლიტიკური ვითარების გაუარესება მოჰყვა, რამაც ნეგატიური ასახვა ჰპოვა როგორც უკრაინის, ასევე რუსეთის ეკონომიკაზე.²⁰ მიუხედავად ამისა, ომს საქართველოსა და რეგიონის სხვა ძირითადი სავაჭრო პარტნიორების²¹ მშპ-ს ტენდენციებზე უარყოფითად არ უმოქმედია. დადებითი დინამიკით ხასიათდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდიდება, რაც 2022 წელს გაიზარდა როგორც 2021 წლის (758 მლნ აშშ დოლარით, 61%-ით), ასევე 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით (648 მლნ აშშ დოლარით, 48%-ით);²²
- *რეალიზდა ინფლაციის შედეგად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა* - მონეტარული პოლიტიკის გლობალური გამკაცრება საქართველოსთვის წარმოადგენს რისკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს გაცვლით კურსსა და ინფლაციაზე ზეწოლის თვალსაზრისით. 2022 წელს, მაღალი ინფლაციური გარემოს პირობებში, გლობალურად ცენტრალურმა ბანკებმა (მათ შორის საქართველოს უმეტეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში)²³ მნიშვნელოვნად გაამკაცრეს მონეტარული პოლიტიკა.²⁴ აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ფედერალური ფონდების განაკვეთი 4.25-4.5%-იან შუალედამდე, ხოლო ევროპის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2.5%-მდე გაზარდა.²⁵ მონეტარული პოლიტიკის გლობალურ გამკაცრებას, კურსის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების ზემოქმედების პირობებში, გაცვლით კურსზე მნიშვნელოვანი ზეწოლა არ მოუხდენია. კერძოდ, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ლარი დოლართან მიმართებით 19%-ით გამყარდა. მსგავსი ტენდენცია გამოიკვეთა ევროსთან, ლირასთან და რუბლთან მიმართებითაც;²⁶
- *არ რეალიზდა პანდემიის გამწვავების რისკი* - მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს ინფიცირების მაჩვენებელი 24%-ით გაიზარდა²⁷, ვირუსის მიმდინარეობის სიმძიმის შესუსტების გამო²⁸ არ მომხდარა ეკონომიკური აქტივობის შენელება ან ერთობლივი მოთხოვნის შემცირება. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა (87%-ით)²⁹ პანდემიის საპასუხოდ გასატარებელ ღონისძიებებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2022 წელს მიმართული დაფინანსება;

²⁰ რუსეთის ეკონომიკა 2.1%-ით, ხოლო უკრაინის ეკონომიკა 30.3%-ით შემცირდა.

²¹ 2022 წლის ეკონომიკური ზრდები: თურქეთი 5.6%, აზერბაიჯანი 4.6%, სომხეთი 12.6%.

²² წყარო: [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური](#).

²³ გამონაკლისია თურქეთი, სადაც მაღალი ინფლაციის მიუხედავად მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად მცირდება (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, 2023 წელი).

²⁴ <https://www.cbrates.com/>

²⁵ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, 2022 წელს მისი ზრდადი ტენდენციის დაწყებამდე, აშშ-ს მიერ განსაზღვრული იყო 0.00-0.25%-ის დონეზე, ხოლო ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ - 0%-ის დონეზე.

²⁶ ევროსთან მიმართებით ლარი 24%-ით გამყარდა; ლირასთან მიმართებით - 6.6%-ით; რუბლთან მიმართებით - 0.4%-ით. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, [რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი](#)

²⁷ წყარო: <https://ourworldindata.org/covid-cases>

²⁸ წყარო: <https://publichealth.jhu.edu/2022/covid-year-in-review>

²⁹ პანდემიის საპასუხოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიზის მიხედვით, 2021 წელს დაიხარჯა 4.1 მლრდ ლარი, 2022 წელს კი 553 მლნ ლარი.

- არ რეალიზდა ტურიზმის გლობალური სენტიმენტების გაუარესება - 2021 წელთან შედარებით, საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები 189%-ით, ხოლო საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები 183%-ით (2.3 მლრდ აშშ დოლარით) გაიზარდა;
- არ რეალიზდა გლობალური სავაჭრო ბრუნვის შემცირება - 2022 წელს მსოფლიოს მთლიანი გამოშვება 3.4%-ით, ხოლო სავაჭრო ბრუნვა 5.1%-ით³⁰ გაიზარდა. საქართველოში, სავაჭრო ბრუნვა 34%-ით (4.8 მლრდ აშშ დოლარით) გაუმჯობესდა (მათ შორის, საქონლის ექსპორტი გაიზარდა 32%-ით, ხოლო იმპორტი - 35%-ით; ზრდადია ტენდენცია 2020 წელთან შედარებითაც, შესაბამისად, 67%-ითა და 69%-ით);³¹
- არ რეალიზდა მსოფლიოში მოსალოდნელი რეცესია - 2022 წელს მსოფლიო ეკონომიკის გამოშვება 3.4%-ით გაიზარდა. ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2023-2024 წლებშიც მოსალოდნელია დადებითი ეკონომიკური ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, 4 პ.პ.-ით³² გაიზარდა მსოფლიო ინფლაციის მაჩვენებელი და 8.7%-ს გაუტოლდა. ამასთან, 2023-2024 წლებში მოსალოდნელია მისი შემცირება, შესაბამისად, 7.0% და 4.9%-მდე.³³

აღსანიშნავია, რომ „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის დოკუმენტში“ 2021 წლის მსგავსად არ იქნა წარმოდგენილი რისკები, რომლებიც დღის წესრიგში იდგა გასული ფისკალური წლებისათვის და, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, კვლავ რელევანტური იყო 2022 წლის კონტექსტის გათვალისწინებით. ასეთებია:

- დოლარიზაციის შემცირება³⁴ - 2021 წელთან შედარებით შემცირდა როგორც დეპოზიტების (59.93%-დან 56.09%-მდე),³⁵ ასევე სესხების დოლარიზაციის მაჩვენებლები³⁶ (50.87%-დან 44.96%-მდე);
- არ რეალიზდა ინფრასტრუქტურული პროექტების არასაკმარისი აქსელერაცია - 2022 წელს საინვესტიციო პროექტებზე³⁷ მიიმართა 3.6 მლრდ ლარი (დეტალური ინფორმაცია იხ. ქვეთავში - „საინვესტიციო პროექტების მართვა“).

მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის დოკუმენტში, იდენტიფიცირებულ რისკებთან ერთად, წარმოდგენილია ეკონომიკური მოვლენების განვითარების სცენარები 2022 წლისთვის სხვადასხვა დაშვებების პირობებში. სცენარებში მოცემული მაკროეკონომიკური პარამეტრების ფაქტობრივ მაჩვენებლებთან შესაბამისობის ანალიზი მიუთითებს, რომ 2022 წელს ეკონომიკური მოვლენები ძირითადად საბაზო და ოპტიმისტური სცენარების კომბინაციით განვითარდა. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის, ინფლაციისა და მთავრობის ვალის/მშპ-სთან ფარდობის ფაქტობრივი მაჩვენებლები საბაზო სცენართან არის მიახლოებული,³⁸ ბიუჯეტის დეფიციტისა და საქონლითა

³⁰ წყარო: IMF, [World Economic Outlook](#), 2023 წელი, გვ 9.

³¹ წყარო: [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური](#). მაჩვენებლები ითვალისწინებს საქონლით ვაჭრობის მოცულობებს.

³² 2021 წლის მაჩვენებელი 4.7%. წყარო: [World Economic Outlook Update](#), 2022 წელი, გვ 9.

³³ წყარო: IMF, [World Economic Outlook](#), 2023 წელი, გვ 9.

³⁴ დოლარიზაციის მაჩვენებელი გვიჩვენებს ქვეყანაში ყველა უცხოური ვალუტების გამოყენების წილს მთლიან სესხებში/დეპოზიტებში.

³⁵ საქართველოს ეროვნული ბანკი, [ინტერაქტიული სტატისტიკა](#).

³⁶ საქართველოს ეროვნული ბანკი, [ინტერაქტიული სტატისტიკა](#).

³⁷ მაჩვენებელი გაანგარიშებულია კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

³⁸ ცალკეული მაჩვენებლების საბაზო სცენართან დაახლოებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ბიუჯეტის კანონში მეორე ცვლილება განხორციელდა დეკემბერში, მაშინ, როდესაც წლიური ეკონომიკური ტენდენციები მნიშვნელოვანწილად უკვე ცნობილი იყო.

და მომსახურებით ვაჭრობის მაჩვენებლები ოპტიმისტური სცენარით განვითარდა, ხოლო მიმდინარე ანგარიშის ბალანსის როგორც ნომინალური, ასევე მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი ნეგატიური სცენარისკენ გადაიხარა, რაც გამოწვეულია პირველადი შემოსავლის მაჩვენებლის ნეგატიური სცენარით განვითარებით.


ცხრილი 2. მაკროეკონომიკური პარამეტრების სხვადასხვა სცენარით პროგნოზირებული და ფაქტობრივი მაჩვენებლები - 2022 წ. (მლნ აშშ დოლარი). ✓ ნიშანი მიუთითებს ფაქტობრივ მაჩვენებელთან ყველაზე ახლოს მდგომი პროგნოზის შესახებ.


ინდიკატორი	საბაზო	პესიმისტური	ოპტიმისტური	ფაქტი
რეალური მშპ-ის ზრდა	✓ 10.0%	8.7%	10.6%	10.1%
ინფლაცია	✓ 9.6%	9.1%	10.1%	9.8%
მიმდინარე ანგარიში/მშპ	-5.7%	✓ -5.4%	-5.8%	-4.1%
მიმდინარე ანგარიში	-1,403	✓ -1,324	-1,461	-1,012
საქონლის ექსპორტი	7,214	7,114	✓ 7,276	7,564
საქონლის იმპორტი	-11,999	-11,713	✓ -12,163	-12,705
მომსახურების ექსპორტი	4,472	4,357	✓ 4,531	5,649
მომსახურების იმპორტი	-2,549	-2,491	✓ -2,595	-2,960
ბიუჯეტის დეფიციტი	2.7%	2.8%	✓ 2.5%	2.1%
მთავრობის ვალი/მშპ	✓ 39.6%	40.2%	39.2%	39.8%

წყარო: ფინანსთა სამინისტრო; სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახური; საქართველოს ეროვნული ბანკი.

რაც შეეხება ფისკალური პოლიტიკის პასუხს, შემოსავლები პოზიტიური სცენარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ცვლილება ნეგატიური სცენარით განსაზღვრულ პოლიტიკის პასუხზე მიუთითებს. საბოლოოდ, ბიუჯეტის დეფიციტი პოზიტიური სცენარით განვითარდა. დეტალური მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

დიაგრამა 23. სხვადასხვა სცენარით პროგნოზირებული ერთიანი ბიუჯეტის ფისკალური მაჩვენებლების ფაქტებთან შედარება - 2022 წ. (მლნ ლარი).






წყარო: ფინანსთა სამინისტრო

რაც შეეხება ფისკალურ რისკებს, მათი ფორმირების ერთ-ერთ მთავარ წყაროს სახელმწიფო საწარმოები წარმოადგენს. საწარმოებიდან მომდინარე რისკები ძირითადად დაკავშირებულია მათ უარყოფით ფინანსურ შედეგებთან.³⁹ 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული „ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის“ მიხედვით, 2021 წელს 147 საწარმოს ნაერთმა ჯამურმა მოგებამ (დაბეგვრამდე) 376 მლნ ლარი შეადგინა, რაც მთლიანად განპირობებულია ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად გამოწვეული კურსთა შორის სხვაობით (515 მლნ ლარი). აღსანიშნავია, რომ კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება შინაარსობრივად არ წარმოადგენს საწარმოს საოპერაციო აქტივობებიდან გენერირებულ შემოსავალს. შესაბამისად, კომპანიის საოპერაციო საქმიანობის შესახებ უკეთეს სურათს იძლევა მოგების მაჩვენებელი გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით. ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მიხედვით, გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გამორიცხვით ბოლო შვიდი წლის განმავლობაში საწარმოთა ნაერთი ფინანსური შედეგი დადებითი მხოლოდ 2019 წელს იყო, როდესაც მათმა ჯამურმა მოგებამ (დაბეგვრამდე) 122 მლნ ლარი შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვის გარეშე, განხილული პერიოდის განმავლობაში მომგებიანობა მხოლოდ 2021 წელს დაფიქსირდა.

³⁹ სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) მიხედვით, სახელმწიფო საწარმოების მიმართ არსებობს ცხადი ან/და არაცხადი გარანტია, რომ სახელმწიფო არ დაუშვებს მათ გაკოტრებას, რის გამოც ისინი წარმოადგენენ პოტენციური ფისკალური რისკის წყაროს (GFSM 2014, The Public Corporations Sector and Its Subsectors, პარაგრაფი 2.105).

დიაგრამა 24. სახელმწიფო საწარმოების მოგება დაბეგვრამდე და მოგება დაბეგვრამდე კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული მოგების გამორიცხვით (მლნ ლარი).⁴⁰



სახელმწიფო საწარმოთა დაბალი მომგებიანობის პირობებში, მათი ნაწილი დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებაზე, რაც გარკვეულ შემთხვევებში ფუნქციონირების ხარჯების ან/და ვალდებულებების დაფარვას ხმარდება. ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში ასახულია საწარმოების მიერ მიღებული დაფინანსების ნაწილი. კერძოდ, დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას კაპიტალური ტრანსფერის, სესხებისა და სუბსიდიების სახით სახელმწიფო საწარმოებზე გაცემული დაფინანსების შესახებ, თუმცა არ მოიცავს ინფორმაციას „სხვა მიმდინარე ტრანსფერების“ ფარგლებში გაცემული თანხების შესახებ. გარდა ამისა, დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები არ იძლევა ინფორმაციას გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის შესახებ.


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიზით, 2022 წელს ხუთი სამინისტროს⁴¹ კონტროლ ქვეშ მყოფმა საწარმოებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯამურად 1.3 მლრდ ლარი მიიღეს. აღნიშნული თანხიდან 830.5 მლნ ლარი კაპიტალური პროექტების დაფინანსებას მოხმარდა. თანხის დარჩენილი ნაწილი კი ცალკეული აქტივობების სუბსიდირებაზე, ფუნქციონირების ხარჯების ან/და საწარმოების ბალანსზე რიცხული ვალდებულებების დაფარვაზე მიიმართა.⁴²

⁴⁰ დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემები არ ითვალისწინებს მარაბდა-კარწახის რკინიგზის ფინანსურ მაჩვენებლებს, რადგან სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის ეტაპზე კომპანიას არ მიენიჭა არც სახელმწიფო კორპორაციების და არც სამთავრობო სექტორის სტატუსი.


⁴¹ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

⁴² მაგალითად, ფუნქციონირების ხარჯების დაფარვისთვის თანხა გადაერიცხათ შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიას“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“. ფუნქციონირების ხარჯებისა და ვალდებულებების დაფარვისთვის კი თანხა გადაერიცხა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“.

დიაგრამა 25. სახელმწიფო საწარმოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები დაფინანსების სახის მიხედვით - 2022 წ. (მლნ ლარი).



დიაგრამა 26. სახელმწიფო საწარმოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები მაკონტროლებელი უწყებების მიხედვით - 2022 წ. (მლნ ლარი).⁴³



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ფისკალური გამჭვირვალობის გაუმჯობესებისთვის, მიზანშეწონილია, სახელმწიფო საწარმოების მიერ (სექტორიზაციის გათვალისწინებით) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ დეტალური ინფორმაცია, დაფინანსების მიზნობრიობის ჩათვლით, წარმოდგენილი იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში.

ფისკალური რისკების ერთ-ერთ წყაროს ასევე წარმოადგენს საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებიდან მომდინარე რისკები. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით 2022 წლიდან ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებიდან მომდინარე ფისკალური რისკების ანალიზი და შეფასება.⁴⁴ 2022 წლის ბოლოს საერთაშორისო არბიტრაჟში შვიდი მიმდინარე დავის ფარგლებში სადავო თანხის პოტენციური მაქსიმალური ოდენობა 2.9 მლრდ აშშ დოლარს⁴⁵ შეადგენდა.

2.3 ფისკალური წესების შესრულების მდგომარეობა

გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ფისკალური წესები. საქართველოში მოქმედი ფისკალური წესები განსაზღვრულია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით:

- ☐ **ბიუჯეტის ბალანსის წესი** - ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 3.0%-ს;
- ☐ **ვალის წესი** - მთავრობის ვალისა და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამის ფარდობა მშპ-სთან არ უნდა აღემატებოდეს 60.0%-ს.


⁴³ სხვა სამინისტროები აერთიანებს იუსტიციის სამინისტროსა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

⁴⁴ 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული „ფისკალური რისკების დოკუმენტი“.

⁴⁵ აღნიშნული დავებიდან, 2022 წელს საქართველოს მიმართ მეორე მხარეს წარმოექმნა ჯამური ვალდებულება 164.6 მლნ ლარი, ხოლო საქართველოს წარმოქმნილმა ვალდებულებამ მეორე მხარის მიმართ 0.7 მლნ ლარი შეადგინა (თანხები დათვლილია 31.12.2022-ის ოფიციალური გაცვლითი კურსით). ამასთანავე, 2023 წელს ერთ-ერთი საარბიტრაჟო დავის ფარგლებში საქართველოს წარმოექმნა 112 მლნ აშშ დოლარის ოდენობით თანხის გადახდის ვალდებულება.

2020 წლის ნეგატიური ეკონომიკური ტენდენციების შემდგომ 2021 წელს დაფიქსირებული დადებითი დინამიკა 2022 წელსაც გაგრძელდა და ორივე მაჩვენებელმა განაგრძო შემცირება. შედეგად, 2022 წლის ბოლოს ორივე ფისკალური წესი ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული ნიშნულის ფარგლებშია მოქცეული.


დიაგრამა 27. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების შესრულების მდგომარეობა.



□ ბიუჯეტის ბალანსის წესი (ბიუჯეტის დეფიციტი)

2022 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის გეგმური მაჩვენებელი ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით 4.2%-ით განისაზღვრა. თუმცა, წლის განმავლობაში დაფიქსირებული დადებითი ეკონომიკური ტენდენციების შედეგად გაიზარდა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა, რაც პოზიტიურად აისახა ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზზე (ბიუჯეტის საბოლოო კანონით 2.7%). 2022 წლის ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელმა 2.1% (1.5 მლრდ ლარი) შეადგინა და დაბრუნდა ორგანული კანონით დადგენილი 3.0%-იანი ლიმიტის ფარგლებში (მათ შორის, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 1.8 მლრდ ლარია, ხოლო სსიპ/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტის ბალანსი, 2020-2021 წლების მსგავსად, დადებითია და 266 მლნ ლარს შეადგენს).

დიაგრამა 28. ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ნომინალური მოცულობისა (მლრდ ლარი) და მისი მშპ-სთან ფარდობის (%) ტენდენცია.




წყარო: 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტი; 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზირებულთან შედარებით 468 მლნ ლარით შემცირება, ერთი მხრივ გამოწვეულია გადაჭარბებით მობილიზებული შემოსავლებით (210 მლნ ლარის ოდენობით), მეორე მხრივ კი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ცვლილების ფაქტობრივი მოცულობის გეგმურ ოდენობებზე ჩამორჩენით, შესაბამისად, 84 მლნ და 174 მლნ ლარით.

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ბიუჯეტის დეფიციტი 2.2 მლრდ ლარით (60%-ით) შემცირდა. შემცირება განპირობებულია შემოსავლების ზრდის (4.7 მლრდ ლარით; 29%-ით) მაჩვენებლის გადაჭარბებით ხარჯებისა (1.1 მლრდ ლარით; 7%-ით) და არაფინანსური აქტივების ცვლილების (1.3 მლრდ ლარით; 31%-ით) ზრდასთან შედარებით.

2022 წელს ასევე შემცირდა IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტის მაჩვენებელი,⁴⁶ რომელმაც 2.2 მლრდ ლარი და მშპ-ს 3.1% შეადგინა.

დიაგრამა 29. ერთიანი ბიუჯეტისა და IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლები %-ულად მშპ-სთან.



წყარო: 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტი; 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

IMF-ის პროგნოზით, მოდიფიცირებული დეფიციტის მაჩვენებელი 3.0%-ის ფარგლებში 2023 წელს დაბრუნდება და 2.8%-ს გაუტოლდება (წინა პროგნოზი 2.9%).⁴⁷

□ ვალის წესი

ორგანული კანონით ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელი განისაზღვრება, როგორც მთავრობის ვალისა⁴⁸ და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს

⁴⁶ IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტი, GFSM 2014 კლასიფიკაციისგან განსხვავებით დეფიციტის გაანგარიშების პროცესში ითვალისწინებს ფინანსური აქტივებით ოპერაციებსა და დაბრუნების ქვეანგარიშზე არსებული ნაშთის ცვლილებას. ამასთანავე, იმავე პროგრამის ფარგლებში დეფიციტის აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოსთვის ითვლება ნაერთი ბიუჯეტისთვის. IMF Country Report, 20/322, გვ. 66.


⁴⁷ [Georgia: First Review Under the Stand-By Arrangement and Request for Modifications of Performance Criteria and Structural Benchmarks-Press Release; Staff Report; Staff Statement; and Statement by the Executive Director for Georgia](#). დეკემბერი, 2022, გვ. 22.

⁴⁸ ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ვალისგან განსხვავებით არ მოიცავს ეროვნული ბანკის ვალს IMF-ის მიმართ და დამატებით მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს (მუნიციპალიტეტების, სახელმწიფოს

კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამის ფარდობა მშპ-სთან. სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, აღნიშნული მაჩვენებელი დაიგეგმა 51.7%-ის ნიშნულზე, ხოლო ბიუჯეტის საბოლოო კანონით 11.6 პ.პ.-ით შემცირდა, 40.1%-მდე.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით, 2022 წელს ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილმა ფაქტობრივმა მაჩვენებელმა 40.3% შეადგინა, რაც „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია. აღსანიშნავია, რომ მაჩვენებელი 2021 წელთან შედარებით 10 პ.პ.-ით გაუმჯობესდა (შემცირდა), რაც განაპირობა ეროვნული ვალუტის გამყარებამ და ნომინალური მშპ-ს ზრდამ.

დიაგრამა 30. ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელი და მისი მიმართება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილ 60%-იან ზღვართან.⁴⁹



2022 წელს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით⁵⁰ გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია. ცვლილების მიხედვით, მთავრობის ვალის და შესაბამისად, ვალის წესის მაჩვენებლის გაანგარიშებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების⁵¹ ფინანსური მაჩვენებლები. მიუხედავად ამისა, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი ვალის წესის მაჩვენებელი არ მოიცავს სამთავრობო სექტორის სახელმწიფო საწარმოების ვალს. აღნიშნული საწარმოების ვალდებულებების მოცულობა 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 211 მლნ ლარს შეადგენდა⁵² (2022 წლის მშპ-ს 0.3%-ს).

ქვეყანაში ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საბიუჯეტო კოდექსის მოქმედი რედაქცია, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონი და საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონი⁵³ ადგენს ცენტრალური, ავტონომიური და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ სესხების აღების/გაცემის პროცედურებს. კერძოდ,

ერთეულის მიერ შექმნილი სსიპ/ა(ა)იპ-ების და სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებებს).

⁴⁹ 2022 წლის მშპ-ს შემთხვევაში აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მაჩვენებელი.

⁵⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონი (# 2384-IXმს-XXმ დოკუმენტი; მიღების თარიღი: 15/12/2022).

⁵¹ ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის N45-ე ბრძანებით სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 377 საწარმოდან 325 დაკლასიფიცირდა სამთავრობო სექტორის შემადგენელ ნაწილად.

⁵² ფინანსთა სამინისტროს წინასწარი ინფორმაციით 2022 წლის ბოლოს აღნიშნული მაჩვენებელი 92.1 მლნ ლარს შეადგენდა (31.12.2022-ის გაცვლითი კურსით).

⁵³ საბიუჯეტო კოდექსი (მე-7 მუხლის, მე-5 ნაწილი); „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონი; საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონი (მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი).

სესხის აღება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის ან/და ფინანსთა სამინისტროს ნებართვით. აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით,⁵⁴ მთავრობის ვალის გაანგარიშებისას სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული საწარმო ითვლება როგორც საბიუჯეტო ორგანიზაცია და მისი ვალი აისახება ვალის წესის მაჩვენებელში. მიუხედავად ამისა, მოცემული ცვლილებით არ დარეგულირებულა საწარმოების მიერ სესხის აღებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები, რაც მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

რეკომენდაცია:

ფინანსთა სამინისტროს:

- მნიშვნელოვანია, მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის რეფორმის შემდგომ ეტაპზე დარეგულირებულ იქნეს სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ სესხის აღების უფლებამოსილების საკითხი და ამ პროცესში, ფინანსთა სამინისტროს, როგორც მაკოორდინირებელი უწყების ჩართულობა.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსავლების პროგნოზი 14.6 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა. წლის განმავლობაში პროგნოზირებულზე მეტად გაუმჯობესებული ეკონომიკური აქტივობის გათვალისწინებით, ბიუჯეტის კანონში სექტემბერში განხორციელებული ცვლილებით შემოსავლების გეგმური მოცულობა 1.2 მლრდ ლარით (8.2%-ით) გაიზარდა, რაც ძირითადად საგადასახადო შემოსავლების 1.0 მლრდ ლარის ოდენობით (7.8%-ით) ზრდამ განაპირობა. ბიუჯეტის კანონში დეკემბერში განხორციელებული მეორე ცვლილებით კი შემოსავლების პროგნოზი კიდევ 597 მლნ ლარით (3.8%-ით) გაიზარდა, ძირითადად ისევ საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე (492 მლნ ლარით; 3.4%-ით).


2022 წელს ბიუჯეტში ფაქტობრივად მოზილიზებულმა შემოსავლებმა 16.5 მლრდ ლარი შეადგინა და 93 მლნ ლარით (0.6%-ით) გადააჭარბა პროგნოზს. გადაჭარბებით შესრულდა შემოსავლების ყველა კომპონენტი: საგადასახადო შემოსავლები 12 მლნ ლარით (0.1%-ით), გრანტები 16 მლნ ლარით (4.6%-ით), სხვა შემოსავლები 64 მლნ ლარით (6.1%-ით).

ცხრილი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები (მლნ ლარი).

	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ბიუჯეტის კანონი			2022 წლის ფაქტი	2022 წლის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)		
		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება
საგადასახადო შემოსავლები	11,439	13,424	14,473	14,965	14,977	111.6%	103.5%	100.1%
გრანტები	487	342	343	343	359	105.1%	104.8%	104.8%
სხვა შემოსავლები	824	795	945	1,050	1,114	140.2%	117.9%	106.1%
შემოსავლები	12,750	14,560	15,761	16,357	16,450	113.0%	104.4%	100.6%

⁵⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონი (# 2384-IXმს-XXმ დოკუმენტი; მიღების თარიღი: 15/12/2022).

დიაგრამა 31. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა.



3.1 საგადასახადო შემოსავლები


საგადასახადო შემოსავლების სახით 2022 წელს ბიუჯეტში მოხილბულ იქნა 15.0 მლრდ ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 3.5 მლრდ ლარით (30.9%-ით) მეტია. საგადასახადო შემოსავლების შესრულებამ ბიუჯეტის საწყისი კანონით განსაზღვრულ პროგნოზს 11.6%-ით (1.6 მლრდ ლარით), ხოლო საბოლოო კანონს - 0.1%-ით (12 მლნ ლარით) გადააჭარბა.

გასული წლების მსგავსად, საგადასახადო შემოსავლების დიდ ნაწილს დღგ (40.3%) და საშემოსავლო გადასახადი (31.0%) შეადგენს. საგადასახადო შემოსავლების ფორმირებაში, შედარებით მცირე კონტრიბუცია აქვს აქციზის, მოგებისა და იმპორტის გადასახადებს, შესაბამისად, 13.4%, 12.9% და 0.8%.

ცხრილი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი).

	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ბიუჯეტის კანონი			2022 წლის ფაქტი	2022 წლის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)		
		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება
საშემოსავლო გადასახადი	3,492	4,300	4,591	4,635	4,644	108.0%	101.2%	100.2%
მოგების გადასახადი	1,015	1,620	1,829	1,930	1,930	119.1%	105.5%	100.0%
დღგ	4,884	5,399	5,826	5,970	6,037	111.8%	103.6%	101.1%
აქციზი	1,869	1,890	1,985	2,045	2,010	106.4%	101.3%	98.3%
იმპორტის გადასახადი	86	85	112	125	126	148.2%	112.5%	100.8%
სხვა გადასახადები	94	130	130	260	229	176.2%	176.2%	88.1%
საგადასახადო შემოსავლები	11,439	13,424	14,473	14,965	14,977	111.6%	103.5%	100.1%


დიაგრამა 32. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა.



საგადასახადო შემოსავლებიდან:

- **საშემოსავლო გადასახადის** მოცულობა 2022 წელს გასულ წელთან შედარებით 1.2 მლნ ლარით (33.0%-ით) გაიზარდა. მიღებულმა შემოსავალმა ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებელს 8.0%-ით (344 მლნ ლარით), ხოლო საბოლოო კანონის პროგნოზს - 0.2%-ით (9 მლნ ლარით) გადააჭარბა;
- **დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)** ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით 5.4 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა, თუმცა კანონში განხორციელებული ცვლილებებით ჯამურად 571 მლნ ლარით გაიზარდა და 6.0 მლრდ ლარს გაუტოლდა. ფაქტობრივად მობილიზებული დღგ-ს მოცულობამ 6.0 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1.2 მლრდ ლარით (23.6%-ით) აღემატება;
- **მოგების გადასახადმა** ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებელს 19.1%-ით (310 მლნ ლარით) გადააჭარბა და 1.9 მლრდ ლარი შეადგინა. 2021 წელთან შედარებით მოგების გადასახადი 915 მლნ ლარით (90.1%-ით) გაიზარდა;
- **სხვა გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით 130 მლნ ლარით განისაზღვრა. კანონში განხორციელებული ცვლილებებით მისი პროგნოზი 260 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ 229 მლნ ლარი შეადგინა. სხვა გადასახადების მუხლი ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრულ გეგმას 76.2%-ით (99 მლნ ლარით) აჭარბებს, ხოლო საბოლოო კანონით განსაზღვრულ გეგმას 11.9%-ით (31 მლნ ლარით) ჩამორჩება. აღნიშნული გამოწვეულია წლის ბოლოს „სხვა გადასახადების“ მუხლიდან „ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადების“ დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხის გადატანით.

დიაგრამა 33. 2020-2022 წლებში დაბრუნების ქვეანგარიშზე გადატანილი, ქვეანგარიშიდან გასული თანხებისა და ყოველი თვის ბოლოს არსებული ნაშთის დინამიკა (მლნ ლარი).



„ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადების“ დაბრუნების ქვეანგარიშზე, 2022 წლის დასაწყისში არსებული ნაშთი 703 მლნ ლარს შეადგენდა. იანვარ-თებერვალში გადასახადის გადამხდელთათვის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადების დაბრუნება ხდებოდა აღნიშნული ნაშთის გამოყენებით და დამატებითი თანხის გადატანის საჭიროება მარტამდე არ წარმოქმნილა. 2022 წლის მარტიდან, ნაშთის ამოწურვისა და შემოსავლების პროგნოზირებულთან შედარებით ჭარბი მობილიზების ფონზე, ქვეანგარიშზე დაიწყო თანხის გადატანა. 2022 წელს ქვეანგარიშზე ჯამურად გადატანილ იქნა 2.2 მლრდ ლარი, ხოლო გადასახადის გადამხდელებს დაუბრუნდათ 2.3 მლრდ ლარი. შესაბამისად, წლის ბოლოს ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა 607 მლნ ლარი შეადგინა.

3.2 სხვა შემოსავლები

სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, სხვა შემოსავლების წლიური გეგმა 794 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. კანონში განხორციელებული ცვლილებებით იგი 255 მლნ ლარით (32.1%-ით) გაიზარდა და 1.1 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2022 წელს ფაქტობრივად მობილიზებულმა თანხამ 1.1 მლრდ ლარი და გეგმის 106.1% შეადგინა

ცხრილი 5. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები (მლნ ლარი).

	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ბიუჯეტის კანონი			2022 წლის ფაქტი	2022 წლის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)		
		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება
შემოსავლები საკუთრებიდან	484	462	581	626	643	139.1%	110.6%	102.7%
პროცენტები	263	180	200	240	251	139.6%	125.7%	104.7%
დივიდენდები	199	207	356	356	356	172.1%	100.1%	100.0%
რენტა	22	75	25	30	35	46.8%	140.5%	119.1%
საქონლის და მომსახურების რეალიზაცია	70	78	78	80	93	119.3%	119.3%	115.8%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	92	110	110	124	130	117.9%	117.9%	104.6%
ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული	178	145	176	220	249	171.7%	141.5%	113.2%
სხვა შემოსავლები	824	795	945	1,050	1,114	140.2%	117.9%	106.1%

2022 წელს დივიდენდების სახით მობილიზდა 356.2 მლნ ლარი (გეგმური მაჩვენებლის 100.0%), საიდანაც 356.1 მლნ ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული დივიდენდია.⁵⁵ აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 24 ნოემბერს შეიკრიბა დივიდენდების გამანაწილებელი კომისია,⁵⁶ რომელმაც იმსჯელა 11 სახელმწიფო საწარმოს მოგების განაწილების თაობაზე. შედეგად, შპს „თელავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს“ დაევალა საკუთარი მოგებიდან 254 ათასი ლარის ბიუჯეტში მიმართვა 2023 წლის პირველი კვარტლის ბოლომდე, ხოლო დანარჩენი 10 საწარმოს მოგება სრულად რეინვესტირდა შესაბამისი კომპანიების საქმიანობაში.

3.3 არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობების გეგმური მაჩვენებლის განსაზღვრის პროცესში შეინიშნება ნაკლოვანებები. კერძოდ, აღნიშნული მუხლი ბიუჯეტის კანონით 300 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, თუმცა ფაქტობრივად მიღებულმა შემოსულობამ 202.8 მლნ ლარი და გეგმის 67.6% შეადგინა. საყურადღებოა, რომ აღნიშნული კომპონენტის ფაქტობრივი მაჩვენებელი გეგმიდან 2021 წელსაც მნიშვნელოვანი გადახრით ხასიათდებოდა (2021 წელს მობილიზებული იქნა 213 მლნ ლარი, გეგმის 60.9%).

4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ანალიზი

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით გადასახდელების წლიური გეგმა 19.2 მლრდ ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი სექტემბერში 507.6 მლნ ლარით, ხოლო დეკემბერში 507.4

⁵⁵ 0.2 მლნ ლარი ბიუჯეტში მიმართა სახელმწიფო საწარმომ შპს „ბისტრომ“.

⁵⁶ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისია.

მლნ ლარით გაიზარდა და საბოლოოდ, 20.2 მლრდ ლარს გაუტოლდა. ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტობრივმა მოცულობამ 20.2 მლრდ ლარი და გეგმის 99.9% შეადგინა.


გადასახდელების ყველა კომპონენტის ფაქტობრივი მაჩვენებელი გეგმიდან უმნიშვნელო გადახრით ხასიათდება, გარდა „ვალდებულებების კლების“ მუხლისა, რომელიც კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს 6.3%-ით ჩამორჩა. „ხარჯების“ მუხლის შემთხვევაში საყურადღებოა „საქონლისა და მომსახურების“ კომპონენტი, რომლის ფაქტობრივმა ოდენობამ გეგმას 11.3%-ით გადააჭარბა.⁵⁷

ცხრილი 6. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები და მისი კომპონენტები (მლნ ლარი).

	2022 წლის ბიუჯეტის კანონი			2022 წლის ფაქტი	2022 წლის შესრულება (%)		
	საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება		საწყისი კანონი	I ცვლილება	II ცვლილება
ხარჯები	14,415	15,123	15,343	15,350	106.5%	101.5%	100.0%
შრომის ანაზღაურება	1,834	1,835	1,835	1,792	97.7%	97.7%	97.7%
საქონელი და მომსახურება	1,614	1,680	1,680	1,871	115.9%	111.3%	111.3%
პროცენტი	765	755	755	747	97.6%	98.9%	98.9%
სუბსიდიები	727	925	995	1,005	138.1%	108.6%	101.0%
გრანტები	1,145	1,311	1,286	1,261	110.1%	96.2%	98.0%
სოციალური უზრუნველყოფა	5,871	6,076	6,116	6,052	103.1%	99.6%	99.0%
სხვა ხარჯები	2,459	2,541	2,676	2,623	106.7%	103.2%	98.0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,060	3,212	3,269	3,304	108.0%	102.9%	101.1%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	459	257	487	489	106.6%	190.7%	100.6%
ვალდებულებების კლება	1,237	1,087	1,087	1,019	82.4%	93.7%	93.7%
გადასახდელები	19,171	19,679	20,186	20,163	105.2%	102.5%	99.9%


⁵⁷ აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის“ (27 03) პროგრამაში „საქონლისა და მომსახურების“ მუხლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებით 57.2%-იანი გადაჭარბებით. მხარჯავი ორგანიზაციის ინფორმაციით, აღნიშნულის გამომწვევ ერთ-ერთ ძირითდ მიზეზს წარმოადგენს პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამიდან სოფლის ექიმები გაიმიჯნა და ა(ა)იპ სამედიცინო ჰოლდინგის მმართველობაში გადასვლა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად (შესაბამისად გაიზარდა საქონელი და მომსახურების მუხლი);

დიაგრამა 34. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა.⁵⁸



აღსანიშნავია, რომ გადასახდელების ათვისების თანაბარზომიერების კუთხით გამოწვევები ისევ არსებობს. კერძოდ, 2022 წლის ბოლოს ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მხოლოდ დეკემბერში დახარჯული თანხის ოდენობამ 3.2 მლრდ ლარი და მთლიანი გადასახდელების 16.0% შეადგინა.

დიაგრამა 35. გადასახდელებისა და მისი ცალკეული კომპონენტების ყოველთვიური დინამიკა - 2020-2022 წწ. (მლნ ლარი).




⁵⁸ 2021 წელს „ვალდებულებების კლების“ მუხლის მკვეთრი ზრდა გამოწვეულია 2011 წელს გამოშვებული 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციების დაფარვით.

შედეგად, დეკემბერში ათვისებულმა ასიგნებებმა, 2022 წლის 11 თვის გადასახდელების საშუალოთვიურ მაჩვენებელს 109.4%-ით გადააჭარბა.⁵⁹ აღსანიშნავია, რომ დეკემბერში განხორციელდა ბიუჯეტის კანონის ცვლილება და გადასახდელების მოცულობა 507.4 მლნ ლარით გაიზარდა, რამაც გარკვეულწილად გააუარესა გადასახდელების შესრულების თანაბარზომიერების მაჩვენებელი. აღნიშნული თანხის გამორიცხვით, დეკემბერში ათვისებული ასიგნებები 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 76.4%-ით აჭარბებს.

დეკემბერში „ხარჯების“ მუხლით ათვისებული რესურსის მოცულობა 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 74.3%-ით აჭარბებს, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებისთვის ანალოგიური მაჩვენებელი, შესაბამისად, 214.7%-სა და 1,401%-ს⁶⁰ შეადგენს.

საბიუჯეტო წლის ბოლოს ასიგნებების ათვისების ზრდის ტენდენცია შეინიშნება პროგრამების დონეზეც. კერძოდ, ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული 148 პროგრამიდან 118-ის შემთხვევაში (პროგრამების საერთო რაოდენობის 79.7%) დეკემბრის თვის ათვისების მაჩვენებელი აჭარბებს 11 თვის საშუალოთვიური ხარჯვის მაჩვენებელს. ამასთან, 64 პროგრამის შემთხვევაში, დეკემბერში ათვისების მაჩვენებელი 2-ჯერ და მეტჯერ აჭარბებს წლის პირველი 11 თვის საშუალო მაჩვენებელს.⁶¹

დიაგრამა 36. პროგრამების განაწილება 2020-2022 წლების დეკემბერში ათვისებული თანხების შესაბამისი წლის 11 თვის საშუალო ხარჯვის მაჩვენებელთან თანაფარდობის მიხედვით.



ფისკალური წლის ბოლოს გადასახდელების მკვეთრი ზრდა ნაწილობრივ გამოწვეულია პირველ სამ კვარტალში ათვისებული რესურსის წლის ბოლოს აკუმულირებით, რამაც ბოლო კვარტალში გეგმაზე გადაჭარბებული ხარჯვა გამოიწვია. კერძოდ, პირველ სამ კვარტალში გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ კვარტალურ გეგმებს, შესაბამისად, 5.5%-ით, 0.5%-ითა და 9.5%-ით ჩამორჩა, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 787.3


⁵⁹ 2020 და 2021 წლების ანალოგიურმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 78.2% და 58.8% შეადგინა.

⁶⁰ დეკემბერში განხორციელებული ბიუჯეტის კანონის ცვლილების შედეგად „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი 230 მლნ ლარით გაიზარდა, რამაც გარკვეულწილად გააუარესა გადასახდელების შესრულების თანაბარზომიერების მაჩვენებელი. აღნიშნული თანხა მოსახლეობის ბუნებრივი აირით შეუფერხებლად მომარაგების მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სესხის სახით გასცა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაზე“.

⁶¹ 2021 წელს დეკემბერში ათვისების მაჩვენებელი 11 თვის საშუალოს 2-ჯერ და მეტჯერ აჭარბებდა 60 პროგრამის შემთხვევაში.

მლნ ლარს შეადგენს.⁶² აღნიშნული თანხა თითქმის სრულად დაიხარჯა მეოთხე კვარტალში, რის შედეგადაც გადასახდელებმა მეოთხე კვარტლის გეგმას 13.3%-ით (764.3 მლნ ლარით) გადააჭარბა.


დიაგრამა 37. გადასახდელების შესრულება კვარტალურ გეგმებთან მიმართებით - 2022 წ.



გადასახდელების ცალკეული კომპონენტებიდან კვარტალურ გეგმებთან მიმართებით მნიშვნელოვანი გადახრებით ხასიათდება „ხარჯებისა“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლები. კერძოდ:

- „ხარჯების“ მუხლში პირველ სამ კვარტალში აუთვისებელმა რესურსმა 548.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მეოთხე კვარტლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა (555.4 მლნ ლარით);
- „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი პირველ და მესამე კვარტლის გეგმას ჯამურად 154.7 მლნ ლარით ჩამორჩა, ხოლო მეოთხე კვარტლის გეგმაზე გადაჭარბებამ 152.4 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 38. წლის პირველი სამი კვარტლიდან მეოთხე კვარტალში გადანაწილებული თანხების დინამიკა - 2022 წ.



⁶² კვარტალურ გეგმასთან მიმართებით ათვისების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით მე-3 კვარტალი ხასიათდებოდა. კერძოდ, აუთვისებელი რესურსის ოდენობამ 515.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც ძირითადად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის გეგმიდან ჩამორჩენითაა გამოწვეული, შესაბამისად, 105 მლნ, 142 მლნ და 160 მლნ ლარით.

4.1 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზით საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ხარვეზები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ხშირ ცვლილებებსა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების არსებობაში.

4.1.1 ბიუჯეტის დაზუსტება

საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხშირად ახორციელებენ ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილებას, განსაკუთრებით ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ მხარჯავი დაწესებულებები აკმაყოფილებენ საბიუჯეტო კოდექსით ამ მიმართულებით დადგენილ ლიმიტს,⁶³ საყურადღებოა მათ მიერ პროგრამებს/ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობა და სიხშირე.

აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი 8 სამინისტროს შემთხვევაში, 2022 წელს განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების⁶⁴ ჯამური მოცულობა (პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის) 1.6 მლრდ ლარს შეადგენს (აღნიშნული სამინისტროებისათვის დამტკიცებული ჯამური ასიგნებების 10.1%). მსგავსი მასშტაბით ასიგნებების დაზუსტება განსაკუთრებით საყურადღებოა 2022 წლის ბოლო კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ორი ცვლილების ფონზე, რომელთა ფარგლებშიც ასევე დაკორექტირდა არაერთი პროგრამის/ქვეპროგრამის/საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის ასიგნება.

დიაგრამა 39. სამინისტროების პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილებული ასიგნებების წილი სამინისტროს ბიუჯეტში (% და ნომინალური მოცულობა მლნ ლარებში) - 2022 წ.




⁶³ საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 31, პუნქტი 3: „მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 5%-ს“.

⁶⁴ არ მოიცავს სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილ თანხებს.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 148 პროგრამიდან⁶⁵ ბიუჯეტის დაზუსტება განხორციელდა 106 პროგრამაში⁶⁶ (პროგრამების საერთო რაოდენობის 71.6%-ში), დაზუსტების ჯამურმა თანხამ კი 363.9 მლნ ლარი შეადგინა. აქედან, 9 პროგრამის შემთხვევაში, დაზუსტების მასშტაბი პროგრამისთვის ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნების 30%-ს აღემატებოდა.⁶⁷ ასევე, წლის განმავლობაში თანხა გადაუნაწილდა 2 ისეთ პროგრამას (ჯამურად 6.2 მლნ ლარი), რომლებიც ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული არ იყო.⁶⁸

დიაგრამა 40. პროგრამების რაოდენობის განაწილება დაზუსტებული გეგმის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული გეგმიდან გადახრის მიხედვით (სარეზერვო ფონდებიდან მიღებული დაფინანსების გარეშე).



საბიუჯეტო ორგანიზაციებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად, ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებულ იქნა შემდეგი ნაკლოვანებები:

1. წლის განმავლობაში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში);
2. ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში დაგეგმილია ჭარბი ოდენობით რესურსი და აუთვისებელი თანხები წლის განმავლობაში ნაწილდება სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე/საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებზე (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში);
3. გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს თანხების გადანაწილებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც საერთოდ არ იყო

⁶⁵ აღნიშნული მაჩვენებელი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან მოიცავს მხოლოდ „დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“ (55 13) პროგრამას.

⁶⁶ აღნიშნული მაჩვენებლები არ მოიცავს სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფის შედეგად გამოწვეულ დაზუსტებებს.

⁶⁷ ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა (20 02); ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10); ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება (24 17); ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები (24 18); მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (29 04); გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი (31 13); პროფესიული განათლება I (KfW) (32 09); ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი (45 03); საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები (45 11).

⁶⁸ ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული კარანტინისა და სხვა ღონისძიებების განხორციელება (24 20); სსიპ - სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო (40 03).


გათვალისწინებული ბიუჯეტის კანონით და მათი განხორციელება წლის განმავლობაში გადაწყდა (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში);

4. რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესი. კერძოდ, ადგილი აქვს იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე თანხების უკან მობრუნებას, რომლებიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში);
5. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გადასახდელები დაიგეგმა საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან შეუსაბამო/არასწორ მუხლში, რამაც წლის განმავლობაში წარმოშვა ხარჯთაღრიცხვის ცვლილების აუცილებლობა (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში).

4.1.2 ბიუჯეტის ათვისება პროგრამების დონეზე

ბიუჯეტის გადასახდელების აგრეგირებულ დონეზე შესრულების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ცალკეული პროგრამები/ქვეპროგრამები დაბალი ათვისებით ხასიათდებიან. კერძოდ, 19 პროგრამისა (პროგრამების საერთო რაოდენობის 12.6%) და 85 ქვეპროგრამის შემთხვევაში (ქვეპროგრამების საერთო რაოდენობის 22.0%) ათვისებული იქნა ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმის 80%-ზე ნაკლები. ჯამურად, პროგრამების ფარგლებში 2022 წელს ათვისებულმა თანხამ 320.4 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელსაც დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით ათვისების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს, ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. აღნიშნული გამოწვეულია პროგრამებისთვის განკუთვნილი გამოუყენებელი ასიგნებების გადანაწილებით სხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში).

დიაგრამა 41. პროგრამების/ქვეპროგრამების განაწილება ათვისების მაჩვენებლის მიხედვით დამტკიცებულ⁶⁹ და დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით (მიზნობრივი გრანტებისა და პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვების სახით გადახდილი თანხების გამოკლებით) – 2022 წ.



⁶⁹ სხვაობა პროგრამების/ქვეპროგრამების ჯამურ რაოდენობაში დაზუსტებულთან შედარებით გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ზოგიერთი პროგრამისთვის/ქვეპროგრამისთვის ბიუჯეტის კანონით წლიური გეგმა არ არის განსაზღვრული ან ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში დაზუსტებული გეგმა ნულის ტოლია.

4.2 საინვესტიციო პროექტების მართვა

2023 წელს დამტკიცდა განახლებული „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია“,⁷⁰ რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ყველა ახლად ინიცირებული საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის მართვა ერთიანი ბიუჯეტის დონეზე, დაფინანსების წყაროს მიუხედავად.⁷¹ მეთოდოლოგია ახდენს პროექტების კატეგორიზაციას მათი მოცულობების მიხედვით,⁷² რის საფუძველზეც განსაზღვრავს შესაბამის მოთხოვნებს. ასევე, წინა ვერსიის მსგავსად, მეთოდოლოგია აწესებს მოთხოვნას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების პერიოდული ანგარიშების მომზადებისა და ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებთან ერთად წარდგენის თაობაზე. მიუხედავად ამისა, გასული წლების მსგავსად, აღნიშნული ანგარიშების მომზადება 2022 წელსაც არ მომხდარა.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია ერთმანეთისგან მიჯნავს საინვესტიციო/კაპიტალური პროექტისა და კაპიტალური ხარჯის დეფინიციას. კერძოდ, საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი წარმოადგენს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მქონე აქტივობების ერთობლიობას და გულისხმობს ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის მნიშვნელოვან და არსებით გაუმჯობესებას.⁷³ კაპიტალურია ხარჯი,⁷⁴ რომელიც მიიმართება აქტივის შესაქმნელად და გაიანგარიშება როგორც ნაერთი ბიუჯეტის „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ ჯამი.⁷⁵ 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალურმა ხარჯებმა 6.4 მლრდ ლარი და მშპ-ს 8.9% შეადგინა.

საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტი არ მოიცავს სსიპ/ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსავლებით დაფინანსებულ გადასახდელებს,⁷⁶ საიდანაც 2022 წელს არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 196 მლნ ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ გაწეული კაპიტალური ხარჯების შესახებ სრული სურათის წარმოსადგენად, მიზანშეწონილია, ნაერთ ბიუჯეტთან ერთად, მხედველობაში იქნეს მიღებული ერთიანი ბიუჯეტის მაჩვენებლები.⁷⁷ ასევე, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ

⁷⁰ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

⁷¹ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 3, პუნქტი „ა“.

⁷² მცირე - 5 მლნ ლარზე მცირე ღირებულების, საშუალო - 5 მლნ ლარიდან 20 მლნ ლარამდე ღირებულების, მსხვილი - 20 მლნ ლარზე მეტი ღირებულების. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, დანართი, მუხლი 2, პუნქტი 3.

⁷³ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, დანართი, მუხლი 3, პუნქტი „ა“.

⁷⁴ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 3, პუნქტი „ბ“.


⁷⁵ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები აღირიცხება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში, „სხვა ხარჯების“ მუხლში „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ კატეგორიასა და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში. ნაერთი და ერთიანი ბიუჯეტების შემთხვევაში კი „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებში.

⁷⁶ საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6, პუნქტი „დ“.

⁷⁷ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი – ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6, პუნქტი „დ“. ერთიანი ბიუჯეტი, ნაერთი ბიუჯეტისგან განსხვავებით მოიცავს სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ მიღებულ საკუთარ შემოსავლებსა და აქედან დაფინანსებულ გადასახდელებს.

ანგარიშში, გასული წლის მსგავსად, კაპიტალური ხარჯების მაჩვენებლის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.

დიაგრამა 42. ნაერთი და ერთიანი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების დინამიკა ნომინალსა და მშპ-სთან მიმართებით (მლრდ ლარი; %).



* პროგნოზი 2023-2026 წლების BDD დოკუმენტის მიხედვით.

2023-2026 წლების BDD დოკუმენტის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია კაპიტალური ხარჯების მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებლის კლების ტენდენცია, რის შედეგადაც იგი ეტაპობრივად ჩამოცდება 8.0%-იან სამიზნე ნიშნულს.⁷⁸ ქვეყანაში ოპტიმალური ფისკალური სივრცის ფორმირების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია, კაპიტალური დანახარჯების სტაბილური დონის შენარჩუნება, რასაც არსებითი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე.

კაპიტალური ხარჯების უდიდესი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში გაიწევა და 2022 წლის ფაქტობრივი მონაცემით 5.8 მლრდ ლარს შეადგენს (მშპ-ს 8.1%), რაც ნომინალურ გამოხატულებაში 41%-ით, ხოლო მშპ-სთან მიმართებით 1.2 პ.პ.-ით აჭარბებს 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. ნომინალურ გამოხატულებაში ცვლილების მთავარ კონტრიბუტორს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ზრდა (760 მლნ ლარით) წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, ძირითადად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებისა (25 02) და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის (25 03) პროგრამების „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების ზრდითაა გამოწვეული, შესაბამისად, 339 მლნ და 184 მლნ ლარით.


საყურადღებოა, რომ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ორი ცვლილების შედეგად კაპიტალური პროექტების მნიშვნელოვან ნაწილს შეეცვალა დაფინანსება. მიუხედავად ამისა, არ მომხდარა ბიუჯეტის კანონის „კაპიტალური პროექტების დანართის“ განახლება. კერძოდ, ბიუჯეტის საბოლოო კანონის მიხედვით დაფინანსება შეეცვალა 18 პროექტს (ბიუჯეტის თავდაპირველი კანონის დანართში წარმოდგენილი პროექტების 25%-ს), ჯამურად 556

⁷⁸ 2023-2026 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, გვ. 18.


მლნ ლარის მოცულობით. შედეგად, კაპიტალური პროექტების მთლიანი დაფინანსება 60 მლნ ლარით შემცირდა. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის საწყისი კანონით განსაზღვრული 3 პროექტი⁷⁹ შეჩერდა კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად,

ანალიზით გამოვლინდა, რომ ყველაზე მასშტაბური ცვლილება განიცადა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებულმა პროექტებმა (8 პროექტი), რომელთა გეგმაც 163 მლნ ლარით შემცირდა.

2022 წელს საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტებზე⁸⁰ მიმართულმა ჯამურმა დაფინანსებამ 3.6 მლრდ ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 99.7%), რაც 550 მლნ ლარით (18%-ით) მეტია 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საინვესტიციო პროექტების დარგობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, ყველაზე მსხვილ კომპონენტებს საგზაო ინფრასტრუქტურის (49%), მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისა (17%) და წყალმომარაგებისა და წყალარინების (12%) პროექტები წარმოადგენს.



დიაგრამა 43. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების დარგობრივი კლასიფიკაცია, თითოეული დარგის მოცულობა ნომინალურ ღირებულებაში და %-ული წილი მთლიან საინვესტიციო პროექტებში - 2022 წ.




⁷⁹ ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გაუმჯობესება (AFD, EU) (25 04 04) - კონტრაქტორის მიერ შემოთავაზებულმა ფასმა გადააჭარბა სავარაუდო ღირებულებას, რის გამოც საჭირო გახდა მოლაპარაკებების წარმოება დონორ ორგანიზაციასთან და 2022 წელს შეჩერდა პროექტი; ქუთაისის წყალარინების პროექტი (EIB, EPTATF) (25 04 05) - კონტრაქტორი კომპანიის მიერ საქმიანობის არაჯეროვანი შესრულება, რის გამოც პროექტი შეფერხდა და მისი გეგმა 2022 წლისთვის განულდა; თბილისის ავტობუსების პროექტი - ფაზა III (EBRD) (55 13 07) - პროექტი ეტაპობრივად განხორციელდება საბიუჯეტო სახსრებით, შესაბამისად, აღებული სესხიდან თავდაპირველად განსაზღვრული ავანსის გადახდა არ განხორციელდება და სესხი გაუქმდა.

⁸⁰ მონაცემები ეფუძნება „კაპიტალური პროექტების დანართსა“ და „სახელმწიფო ბიუჯეტის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების“ დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციას.


რაც შეეხება დაფინანსების წყაროებს, 2022 წელს ათვისებული თანხის 56%-ს საბიუჯეტო სახსრები შეადგენს, 43%-ს კრედიტები, 1%-ს კი გრანტები. 2021 წელთან შედარებით, საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების წილი გაიზარდა, კრედიტით დაფინანსებული შემცირდა, გრანტებით დაფინანსებული პროექტების წილი კი უცვლელი დარჩა.

დიაგრამა 44. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების დაფინანსების წყაროების წილი მთლიან ღირებულებაში.



საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების⁸¹ მართვაში იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებას წარმოადგენს პროექტების გეგმების არსებითი ცვლილება. კერძოდ, 2020-2022 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებზე⁸² თანდართულ „კაპიტალური პროექტების დანართებში“, 2022 წლისთვის პროექტებისთვის განსაზღვრული გეგმების შედარებით ირკვევა, რომ 2022 წელს 2020 წელთან შედარებით, გეგმა 50%-ზე მეტით გაეზარდა 29 პროექტს და შემცირდა 12 პროექტს, ხოლო 2021 წელთან შედარებით, გეგმა 50%-ზე მეტით გაეზარდა 9 პროექტს და შემცირდა 13 პროექტს. აქვე, აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, 2021 და 2020 წლებთან შედარებით, თანხობრივ ჭრილში, ყველაზე მასშტაბური ცვლილებები განიცადა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებულმა პროექტებმა.

დიაგრამა 45. 2022 წლისთვის დაგეგმილი კაპიტალური პროექტების რაოდენობები გეგმების ცვლილების მასშტაბის მიხედვით 2020-2021 წლების ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმებთან შედარებით.




⁸¹ სტატისტიკა წარმოდგენილია „კაპიტალური პროექტების დანართში“ მოცემული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.


⁸² ვინაიდან კაპიტალური პროექტების განახლებული დანართი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილებების ფარგლებში წარმოდგენილი არ იქნა, ორივე წლის შემთხვევაში მოცემული მონაცემები ეყრდნობა ბიუჯეტის თავდაპირველ კანონებზე თანდართულ ინფორმაციას.

ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება 2023-2025 წლების გეგმურ მაჩვენებლებთან დაკავშირებითაც.

დიაგრამა 46. 2023-2025 წლებისთვის საინვესტიციო პროექტების დაფინანსების გეგმების ცვლილება იმავე წლებისთვის 2023 და 2022 წლების ბიუჯეტის კანონზე თანდართული „კაპიტალური პროექტების დანართში“ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით (ნულოვანი გეგმების მქონე პროექტების გარდა).



საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს პროექტების განხორციელების დროში გაჭიანურება. კერძოდ, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, 2022 წლამდე უნდა დასრულებულიყო 12 პროექტი. აღნიშნული პროექტების იმპლემენტაციის პროცესის გაჭიანურების გამო, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით 8 პროექტის განხორციელება გადავადდა 2022 წელს (დაფინანსება განისაზღვრა 284 მლნ ლარის ოდენობით), 4 პროექტის გეგმა კი ისევ ნულოვანი მოცულობით დარჩა. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით: ა) აღნიშნულ 4 პროექტსაც განესაზღვრა დაფინანსება, ჯამურად 3.2 მლნ ლარის მოცულობით; ბ) 8 პროექტიდან 6-ის გეგმა ისევ დაკორექტირდა და ჯამური დაფინანსება 215 მლნ ლარამდე გაიზარდა. შედეგად, აღნიშნული 12 პროექტის 2022 წლის გეგმა 218 მლნ ლარს გაუტოლდა, ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯმა კი 153 მლნ ლარი შეადგინა.




პროექტების დაგეგმვის ეტაპზე არსებული გამოწვევები გავლენას ახდენს მათი განხორციელების პროცესზე, რაც ხშირ შემთხვევაში, აუთვისებელი რესურსის ან ფაქტობრივი ხარჯის გეგმაზე მნიშვნელოვან გადაჭარბებაში გამოიხატება (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ 3-ში).

კერძოდ, აგრეგირებულ დონეზე ათვისების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ცალკეული პროექტების⁸³ შემთხვევაში ადგილი აქვს დაბალი ათვისების ტენდენციებს. 2022 წელს, ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 84 პროექტიდან 45-ის შემთხვევაში⁸⁴ ათვისებული იქნა გამოყოფილი დაფინანსების 80%-ზე ნაკლები. ამ პროექტებიდან 11 პროექტი⁸⁵ 2021 წელსაც დაბალი ათვისებით ხასიათდებოდა.

გამოყოფილი რესურსის დაბალი ათვისება განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი საგარეო საკრედიტო რესურსით დაფინანსებული პროექტებისთვის, რომლებიც ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადს კრედიტის აუთვისებელ ნაწილზე,⁸⁶ რადგან პროექტის დაგეგმილზე დაგვიანებით განხორციელება იწვევს კრედიტის მომსახურების ხარჯების ზრდას.⁸⁷ 2022 წელს საგარეო წყაროებიდან მოზიდული 60%-ზე დაბალი ათვისების 7 საინვესტიციო კრედიტის ფარგლებში სულ გადახდილი ვალდებულების გადასახადი 2.4 მლნ ლარს შეადგენს⁸⁸ (დეტალური ინფორმაცია პროექტების შესრულების შესახებ იხ. დანართ 3-ში).

დაბალი ათვისების მქონე პროექტებთან ერთად, ასევე საყურადღებოა გეგმების გადაჭარბებით შესრულება. კერძოდ, გეგმის 120%-ზე მეტი ათვისებით ხასიათდება 9 საინვესტიციო პროექტი.

დიაგრამა 47. საინვესტიციო პროექტების რაოდენობრივი განაწილება დამტკიცებულ გეგმებთან ათვისების მაჩვენებლების მიხედვით - 2019-2022 წწ.⁸⁹



⁸³ სტატისტიკა ეყრდნობა კაპიტალური პროექტების დანართსა და საინვესტიციო პროექტების დოკუმენტში წარმოდგენილ პროექტებს.

⁸⁴ გეგმასთან შესაბამისობის მიზნით ფაქტობრივი მაჩვენებელი არ მოიცავს მიზნობრივი გრანტებისა და პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვების ფარგლებში განხორციელებულ გადახდებს, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახება მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

⁸⁵ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართ 3-ში.

⁸⁶ სასესხო/საკრედიტო შეთანხმებით განსაზღვრული სესხის აუთვისებელ ნაწილზე.

⁸⁷ ვალდებულების გადასახადის გადახდა იწვევს სესხის ეფექტურად გახდომის შემდეგ და ერიცხება კრედიტის აუთვისებელ ნაწილზე, მიუხედავად იმისა მიმდინარეობს თუ არა სესხის ათვისება.

⁸⁸ აღნიშნული 7 კრედიტიდან 5-ზე 2021 და 2020 წლებშიც გადახდილ იქნა ვალდებულების გადასახადი, შესაბამისად, 2.4 მლნ და 2.3 მლნ ლარის მოცულობით.

⁸⁹ გეგმასთან შესაბამისობის მიზნით ფაქტობრივი მაჩვენებელი არ მოიცავს მიზნობრივი გრანტებისა და პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვებს ფარგლებში განხორციელებულ გადახდებს ვინაიდან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახება მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

ზემოაღნიშნული ტენდენციების გამოწვევი მიზეზების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პროექტების სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე არსებული გამოწვევები, რაც უკავშირდება სხვადასხვა კონტროლირებად და არაკონტროლირებად ფაქტორს, მათ შორის, განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ პროექტების მართვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებს. პროექტების განხორციელების შეფერხების მიზეზებს შორის აღსანიშნავია (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ 3-ში):

- პროექტის დაგეგმვის ეტაპზე არსებული ხარვეზები, მათ შორის, პროექტთან დაკავშირებული გარემოებების არასათანადო შესწავლა, რაც შემდგომში იწვევს მასში ცვლილებების განხორციელების საჭიროებას. ასევე, პროექტის მიმდინარეობისას დამატებითი კვლევების ჩატარების საჭიროება, რაც აისახება პროექტის განხორციელების პროცესზე;
- კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამუშაოების არაჯეროვანი შესრულება (მათ შორის, მოსამზადებელი კვლევების/დოკუმენტაციისა თუ სამუშაოების დაგვიანებით ან/და შეფერხებით შესრულება), რაც ცალკეულ შემთხვევებში, ხელშეკრულების შეწყვეტას იწვევს და საბოლოოდ, აფერხებს პროექტების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განხორციელებას;
- ტენდერის ჩაშლა, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს შესაბამისი პრეტენდენტების არარსებობით ან/და მათ მიერ შემოთავაზებული წინადადებების გადაჭარბებით სატენდერო ღირებულებაზე. ამასთან, ცალკეული პროექტების შემთხვევაში ჭიანჭურდება მოსახლეობასთან მიწის გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, რაც შესაბამისად აჭიანჭურებს პროექტების მიმდინარეობის პროცესს.


4.3 საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში სსიპ/ა(ა)იპ-ების შესახებ ინფორმაციის ანგარიშგებასთან დაკავშირებით გარკვეული ნაკლოვანებები შეინიშნება. კერძოდ, ნაერთი ბალანსის დოკუმენტში არ ხდება ინფორმაციის წარმოდგენა ინდივიდუალური სსიპ/ა(ა)იპ-ის შემოსულობების/გადასახდელების შესახებ, მათი ფორმირების წყაროების⁹⁰ მიხედვით. მონაცემებთან დაკავშირებული ზემოხსენებული შეზღუდვიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული და ათვისებული რესურსების სრულფასოვანი ანალიზი. შესაბამისად, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ინფორმაცია უწყებების მიერ კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსულობებისა და ამ შემოსულობებიდან გაწეული გადასახდელების შესახებ, სახელმწიფო ბიუჯეტთან კონსოლიდაციის გარეშე.⁹¹

⁹⁰ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი საქმიანობიდან მიღებული.

⁹¹ წარმოდგენილი ინფორმაცია უშუალოდ სსიპ-ების საკუთარი შემოსავლების და საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გაწეული ხარჯების გარდა ასევე მოიცავს მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ თანხას და აღნიშნულის ფარგლებში გაწეულ ხარჯს; სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ/ა(ა)იპ-ებზე გაცემულ მიმდინარე და კაპიტალურ გრანტებს და აღნიშნულის ფარგლებში გაწეულ ხარჯებს; სსიპ/ა(ა)იპ-ებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტების სახით მიმართულ თანხებს. სახელმწიფო ბიუჯეტთან კონსოლიდაციის გარეშე აღნიშნული თანხები კლასიფიცირდება როგორც სსიპ/ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსავლები და მათ ფარგლებში გაწეული ხარჯები.


დიაგრამა 48. სსიპ/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსულობები და მათ ფარგლებში გაწეული გადასახდელები (მლნ ლარი).



2021 წელთან შედარებით, ჯამურად, სსიპ/ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსულობები და გადასახდელები გაიზარდა, შესაბამისად, 514 მლნ და 282 მლნ ლარით და 2.9 მლრდ და 2.6 მლრდ ლარი შეადგინა.

სსიპ/ა(ა)იპ-ების 2022 წლის ბიუჯეტის⁹² დაგეგმვასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ 30 უწყების მიერ როგორც საკუთარი შემოსულობები, ასევე მათ ფარგლებში გაწეული გადასახდელები ნულოვანი მაჩვენებლით დაიგეგმა. მიუხედავად ამისა, ფაქტობრივმა შემოსულობებმა 47 მლნ ლარი, ხოლო გადასახდელებმა 45 მლნ ლარი შეადგინა.⁹³


დიაგრამა 49. სსიპ/ა(ა)იპ-ების განაწილება საკუთარი შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივ და გეგმურ მაჩვენებლებს შორის %-ული გადახრების მიხედვით. დიაპაზონი აჩვენებს ფაქტობრივ და გეგმურ მაჩვენებლებს შორის არსებულ %-ულ სხვაობას, ხოლო რიცხვები - უწყებების ოდენობას - 2021-2022 წწ.⁹⁴



⁹² ანალიზი არა მოიცავს საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ/ა(ა)იპ-ებისა და რესურსცენტრების მონაცემებს, ვინაიდან საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ/ა(ა)იპ-ები არ არიან წარმოდგენილი სსიპ/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსულობების/გადასახდელების ნაერთი ბალანსის დოკუმენტში, ხოლო რესურსცენტრების საკუთარი შემოსავლების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ თანხები, რომელიც რესურსცენტრების საკუთარ შემოსავლად კლასიფიცირდება. ამასთანავე, მაჩვენებლები არ მოიცავს გრანტების მუხლით მიღებულ შემოსავლებს.

⁹³ შემოსულობების წყაროებია: გრანტები - 27 მლნ ლარი; სხვა შემოსავლები 18.6 მლნ ლარი; ფინანსური აქტივების კლება - 1.3 მლნ ლარი.


⁹⁴ დიაგრამაზე წარმოდგენილი 2021 წლის სსიპ/ა(ა)იპ-ების რაოდენობა შემოსულობების ანალიზში 11-ით ნაკლებია გადასახდელების ანალიზისგან, ვინაიდან მათი შემოსულობები ნულოვანი ოდენობით იყო დაგეგმილი.



აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის შემთხვევაში შემოსულობებისა და გადასახდელების ნულოვანი ოდენობით დაგეგმვას და შემდგომ ფაქტობრივად მობილიზებას/გაწევას სისტემატური ხასიათი გააჩნია. კერძოდ, ზემოხსენებული 30 უწყებიდან 13 ორგანიზაციის მიერ შემოსულობები და გადასახდელები 2021 წელსაც ნულოვანი მაჩვენებლით დაიგეგმა, თუმცა ფაქტობრივი შემოსულობების მოცულობა 31 მლნ ლარს, ხოლო გადასახდელები - 29 მლნ ლარს გაუტოლდა.

სსიპ/ა(ა)იპ-ების გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრები სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული. კერძოდ, საწყისი ბიუჯეტის გადაჭარბებით (120%-ზე მეტით) ათვისება ძირითადად გასულ წელს/წლებში დაგეგმილი და გაჭიანურებული სამუშაოების მიმდინარე წელს დასრულებას ან ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე არსებულ ხარვეზებს უკავშირდება. რაც შეეხება ბიუჯეტის დაბალ ათვისებას (80%-ზე ნაკლებით), აღნიშნულის გამომწვევ მიზეზებს ძირითადად ბაზრის კვლევის გაჭიანურება ან დაგეგმილი აქტივობების შეფერხებით მიმდინარეობა წარმოადგენს.

სსიპ/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტის დაგეგმვის კუთხით ასევე აღსანიშნავია, რომ 7 უწყების შემთხვევაში,⁹⁵ საკუთარი გადასახდელების გაწევა დაიგეგმა ნაშთის შემცირების ხარჯზე, თუმცა ორგანიზაციების განკარგვაში არსებული ნაშთის მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დაგეგმილი გადასახდელების დაფინანსებისთვის საჭირო ოდენობას. კერძოდ, ნაშთის შემცირება დაიგეგმა 23 მლნ ლარით, თუმცა 2022 წლის დასაწყისში მისი მოცულობა მხოლოდ 14 მლნ ლარს შეადგენდა. ფაქტობრივი მონაცემებით, შემცირების ნაცვლად, ადგილი ჰქონდა ნაშთის ზრდას, ჯამურად 27 მლნ ლარის ოდენობით (შვიდივე უწყების შემთხვევაში შემოსულობების




⁹⁵ ა(ა)იპ - სპორტული კლუბი არმია; სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო; სსიპ - ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი; სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი; სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

შესრულებამ გადააჭარბა გეგმურ მაჩვენებელს, ხოლო 3 უწყების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გადასახდელების გეგმიდან ჩამორჩენასაც).


გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრების სიხშირისა და მასშტაბის გათვალისწინებით, რაც რიგ შემთხვევებში სისტემატურ ხასიათს ატარებს, მიზანშეწონილია, უწყებების მიერ დამატებითი ყურადღება გამახვილდეს საკუთარი შემოსულობებისა და გადასახდელების დაგეგმვის ეტაპზე რეალისტური პროგნოზების განსაზღვრაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა წლების მოხსენებებშიც.

შემოსულობებისა და გადასახდელების დაგეგმვის კუთხით არსებული გამოწვევები ასახვას ჰპოვებს ნაშთების გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის განსხვავებაში. კერძოდ, შესწავლილი 233 უწყების ფარგლებში ნაშთის ზრდა დაიგეგმა ჯამურად 61 მლნ ლარის მოცულობით. ფაქტობრივმა მაჩვენებელმა 239 მლნ ლარით გადააჭარბა გეგმას, რის შედეგადაც ნაშთის მოცულობა 300 მლნ ლარით გაიზარდა.⁹⁶

დიაგრამა 50. შესწავლილი 233 სსიპ/ა(ა)იპ-ის ნაშთების გეგმური და ფაქტობრივი მოცულობების ტენდენციები 2022 წლის მდგომარეობით.



დიაგრამა 51. სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ კომერციულ ბანკებსა და ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული ნაშთები (მლნ ლარი).



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა


⁹⁶ მაჩვენებელი არ მოიცავს საგანმანათლებლო რესურსცენტრების მფლობელობაში არსებულ ნაშთებს.

სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, 2022 წლის ბოლოს სსიპ/ა(ა)იპ-ების განკარგვაში არსებული მთლიანი ნაშთი 310 მლნ ლარით გაიზარდა 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და 953 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 155 მლნ ლარი სახელმწიფო ხაზინაშია განთავსებული, ხოლო 798 მლნ ლარი - კომერციულ ბანკებში.

2022 წელს კომერციულ ბანკებში განთავსებული ნაშთიდან 260 უწყების მიერ პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი ჯამურად 83 მლნ ლარს გაუტოლდა, საიდანაც 73 მლნ ლარი (88%) 15 ორგანიზაციის მიერ იქნა აკუმულირებული.⁹⁷


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი ცენტრალური ბიუჯეტის 23 სსიპ/ა(ა)იპ-ის მიერ, 2022 წლის ბოლოს კომერციული ბანკების ანგარიშებზე დეპოზიტების სახით განთავსებულმა თანხებმა 603 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, მოთხოვნამდე დეპოზიტების მოცულობა 262 მლნ ლარია, ხოლო ვადიანი დეპოზიტების - 341 მლნ ლარი (მათ შორის 5.3 მლნ ლარი ერთ წელზე ნაკლები ვადით, 164 მლნ ლარი ერთი წლის ვადით, 64 მლნ ლარი ერთიდან ორ წლამდე ვადით, ხოლო 108 მლნ ლარი ორ წელზე მეტი ვადით).

დიაგრამა 52. სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ კომერციული ბანკების ვადიან დეპოზიტებზე განთავსებული ფულადი რესურსები 31.12.2022-ის მდგომარეობით (მლნ ლარი).



2022 წელს 41 სსიპ/ა(ა)იპ-ის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტის⁹⁸ სახით მიიმართა, ჯამურად 98 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმის (90 მლნ ლარი) 109%-ია.⁹⁹

დიაგრამა 53. სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული გრანტების გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი).



⁹⁷ სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო - 22.5 მლნ ლარი; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი - 19.9 მლნ ლარი; სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო - 4.4 მლნ ლარი; სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო - 4.3 მლნ ლარი; სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი - 3.4 მლნ ლარი; სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 3.3 მლნ ლარი; სსიპ - შემოსავლების სამსახური - 2.8 მლნ ლარი; სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო - 2.1 მლნ ლარი; სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი - 2.1 მლნ ლარი; სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - 1.6 მლნ ლარი; სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო - 1.6 მლნ ლარი; ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო - 1.4 მლნ ლარი; ა(ა)იპ - ოუფენ ნეტი - 1.3 მლნ ლარი; სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - 1.3 მლნ ლარი; სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 1.2 მლნ ლარი.

⁹⁸ 2017 წლიდან, სსიპ-ებს, რომელთა წლიური შემოსავალი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გარდა აღემატება 1 მლნ ლარს, დაევალებათ საკუთარი შემოსავლის არანაკლებ 10%-ის მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში.

⁹⁹ 2022 წელს, 2021 წლის მსგავსად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ არ მომხდარა ბიუჯეტში თანხის მიმართვა 2.4 მლნ ლარის ოდენობით.

4.4 პროგრამული ბიუჯეტირება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონსა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი/მიღწეული შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული ბიუჯეტის მომზადება 2012 წლიდან დაიწყო, იგი ჯერ კიდევ არ მტკიცდება კანონით და მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე თანდართული პროგრამული ბიუჯეტის დანართი სამინისტროების ჭრილში. ანალიზის შედეგად გამოვლინდა ისეთი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რაც ართულებს, რიგ შემთხვევებში კი შეუძლებელს ხდის ანგარიშგების ეტაპზე პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას. სამინისტროების პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში განსაზღვრული 541 ინდიკატორის 21.8%-ში იკვეთება ხარვეზები (*დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 4-ში*). კერძოდ:

- ზოგიერთ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღწევი კონკრეტული მიზანი ან მიზნობრივი მაჩვენებელი არ აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით¹⁰⁰ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც ანგარიშგების ეტაპზე ართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას;
- პროგრამების/ქვეპროგრამების ნაწილისთვის სრულად არ ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება ან შედეგების შეფასება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებით;
- ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში მიღწეული შედეგების წარმოდგენა ხდება დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ მაჩვენებლებთან შეუსაბამოდ, განსხვავებული სახით/ფორმატით, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის დაგეგმილი და მიღწეული შედეგების ერთმანეთთან შედარებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებების წარმოდგენის საკითხი. პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მიხედვით, დაგეგმილისგან განსხვავებული შედეგის მიღწევის შემთხვევაში თითოეულ ინდიკატორს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში უნდა ახლდეს არგუმენტირებული განმარტება აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების შესახებ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზით შეფასდა რამდენად ხდება განმარტებითი ინფორმაციის წარმოდგენა ისეთი პროგრამების/ქვეპროგრამებისთვის, რომელთა ფარგლებშიც მიღწეული მაჩვენებლები 10%-ით და მეტით განსხვავდებოდა მიზნობრივი მაჩვენებლისგან.¹⁰¹ 2022 წელს აღნიშნული ოდენობის ცდომილება სამინისტროების ინდიკატორების 39.7%-ში დაფიქსირდა. აქედან, შესაბამისი განმარტება წარმოდგენილი არაა 45.6%-ში, ხოლო წარმოდგენილი განმარტებების 16% ზოგადი ხასიათისაა, რაც ართულებს გადახრის გამომწვევი მიზეზების დადგენას (*დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 4-ში*). კერძოდ:

¹⁰⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის № 385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

¹⁰¹ გათვალისწინებულია გეგმასთან როგორც ჩამორჩენის, ასევე გადაჭარბების შემთხვევები.

- ხუთი სამინისტროს შემთხვევაში, მათი ინდიკატორების 10%-ზე მეტში მიზნობრივი მაჩვენებელი არ აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- ოთხი სამინისტროს შემთხვევაში, მათი ინდიკატორების 10%-ზე მეტში მიღწეული შედეგები წარმოდგენილია დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ მაჩვენებლებთან შეუსაბამოდ, ასევე, სრულად არ ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება ან შედეგების შეფასება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებით;
- ცხრა სამინისტროს შემთხვევაში, მათი ინდიკატორების 40%-ზე მეტში, სადაც განსხვავება მიზნობრივ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის აღემატება 10%-ს, არ არის წარმოდგენილი მეთოდოლოგიით მოთხოვნილი განმარტება.

5. ფინანსური აქტივების მართვა

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით ფინანსური აქტივების ზრდის გეგმა 651 მლნ ლარით, ხოლო ფინანსური აქტივების კლება - 150 მლნ ლარით განისაზღვრა. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული მეორე ცვლილებით „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი 750 მლნ ლარამდე გაიზარდა (99 მლნ ლარით; 15.2%-ით), ხოლო „ფინანსური აქტივების კლების“ მუხლი არ შეცვლილა.

ფაქტობრივი მონაცემებით, 2022 წელს ფინანსური აქტივების ზრდამ 856 მლნ ლარი შეადგინა და 14%-ით (106 მლნ ლარით) გადააჭარბა გეგმას, რაც ძირითადად განაპირობა ვალუტა და დეპოზიტების კომპონენტის გეგმასთან მიმართებით 39%-ით (103 მლნ ლარით) გადაჭარბებამ. ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი კი 144 მლნ ლარს გაუტოლდა და 3.8%-ით (5.8 მლნ ლარით) ჩამორჩა გეგმას, რისი ძირითადი მიზეზიც სესხების კომპონენტია (6.8 მლნ ლარით ჩამორჩა გეგმას).

აღსანიშნავია, რომ „აქცია და სხვა კაპიტალის“ მუხლის როგორც ზრდა ასევე კლება ნულოვანი ოდენობით დაიგეგმა, თუმცა ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 12 მლნ და 1 მლნ ლარი შეადგინა.

ცხრილი 7. ფინანსური აქტივების შესახებ მონაცემები (მლნ ლარი).

	2021 ფაქტი (1)	2022 ბიუჯეტის საწყისი კანონი (2)	2022 ბიუჯეტის საბოლოო კანონი (3)	2022 ფაქტი (4)	(4)/(2) %	(4)/(3) %
ფინანსური აქტივების ზრდა	323	651	750	856	132%	114%
ვალუტა და დეპოზიტები	-	192	263	366	191%	139%
სესხები	323	459	487	477	104%	98%
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-	12		
ფინანსური აქტივების კლება	1,593	150	150	144	96%	96%
ვალუტა და დეპოზიტები	1,430	-	-	-		
სესხები	161	150	150	143	95%	95%
აქციები და სხვა კაპიტალი	2	-	-	1		
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,270	501	600	711	142%	119%


5.1 ვალუტა და დეპოზიტები

2022 წლის დასაწყისში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 882 მლნ ლარს შეადგენდა. წლის განმავლობაში ნაშთის ზრდის მაჩვენებელმა¹⁰² 366 მლნ ლარი შეადგინა და 103 მლნ ლარით (39.2 %-ით) გადააჭარბა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმას (263 მლნ ლარი).¹⁰³ შედეგად, წლის ბოლოს ბიუჯეტის ნაშთის მოცულობა 1.2 მლრდ ლარს გაუტოლდა.

2022 წელს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ნაშთი 2021 წლის ბოლოს არსებული 450 მლნ ლარიდან 550 მლნ ლარამდე გაიზარდა. წლის განმავლობაში განთავსებული დეპოზიტების საშუალო ვადიანობამ¹⁰⁴ 30 დღე შეადგინა, საიდანაც ძირითად ნაწილს ერთ თვემდე ვადიანობის (საშუალოდ 25.5 დღიანი) დეპოზიტები წარმოადგენდა.¹⁰⁵ წლის ბოლოს დეპოზიტების პორტფელში არსებული 550 მლნ ლარის ოდენობის ნაშთის¹⁰⁶ დარჩენილმა საშუალო ვადიანობამ 33.4 დღე შეადგინა. 2022 წელს დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი 124.6 მლნ ლარია.

გარდა მოკლევადიანი დეპოზიტებისა, მთავრობის განკარგულების საფუძველზე,¹⁰⁷ ეკონომიკის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის ივნისსა და ივლისში, კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში განთავსდა 594.3 მლნ ლარი, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იწურება. შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთავრობის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ჯამურმა მოცულობამ 1.1 მლრდ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 54. აუქციონის გზით კომერციულ ბანკებში განთავსებული ნაშთის მოცულობა ყოველი თვის ბოლოს (მლნ ლარი).



¹⁰² ფინანსური აქტივების „ვალუტა და დეპოზიტების“ მუხლის მაჩვენებელი წარმოადგენს მიმდინარე წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებას, რომელიც განისაზღვრება როგორც, შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება.

¹⁰³ გეგმურ მაჩვენებელზე გადაჭარბება, ერთი მხრივ შემოსულობების გეგმურ მაჩვენებელზე 80 მლნ ლარით (0.4%-ით) გადაჭარბებით, ხოლო მეორე მხრივ გადასახდელების გეგმურ მაჩვენებელზე 23 მლნ ლარით (0.1%-ით) ჩამორჩენითაა გამოწვეული.

¹⁰⁴ საშუალო ვადიანობა გაანგარიშებულია სესხების ვადიანობის საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელზე დაყრდნობით, დეპოზიტის ნომინალური მოცულობით შეწონვის გარეშე.

¹⁰⁵ 2021 წლის განმავლობაში განთავსებული დეპოზიტების საშუალო ვადიანობა 30.8 დღეს შეადგენდა.

¹⁰⁶ დეპოზიტების ნაშთიდან 50 მლნ ლარი განთავსებულია 6 თვიან დეპოზიტებში, ხოლო 500 მლნ ლარი 1 თვემდე ვადიანობის დეპოზიტებში.


¹⁰⁷ მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 845 განკარგულება.

5.2 სესხები


2022 წელს სხვადასხვა საინვესტიციო პროექტის განსახორციელებლად, საგარეო წყაროებიდან მობილიზებული საკრედიტო რესურსიდან გადასესხდა 227.3 მლნ ლარი,¹⁰⁸ რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 95.8 მლნ ლარით (29.7%-ით) ნაკლებია. გადასესხებული თანხების ძირითადი ნაწილი (47%) მიიძღრთა წყალმომარაგება/წყალარინების პროექტების განსახორციელებლად.

2022 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების (შემდგომში - გადასესხებები) მთლიანი პორტფელის მოცულობა 2.8 მლრდ ლარს შეადგენს და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 454.1 მლნ ლარითაა (14%-ით) შემცირებული.¹⁰⁹ პორტფელში აღირიცხება 70 სესხი, საიდანაც 19 რესტრუქტურირებულია.¹¹⁰

დიაგრამა 55. საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მიზნობრიობა.



დიაგრამა 56. საგარეო საკრედიტო რესურსიდან გაცემული სესხების დინამიკა და მათი წილი მთავრობის ვალში (მლრდ ლარი; %).




¹⁰⁸ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 86.3 მლნ ლარი; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - 114.8 მლნ ლარი; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები - 26.3 მლნ ლარი.

¹⁰⁹ ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად 489 მლნ ლარით შემცირდა, ხოლო ახალი სესხების აღების შედეგად 34 მლნ ლარით გაიზარდა, რამაც საბოლოოდ ნაშთის 454 მლნ ლარით შემცირება გამოიწვია.

¹¹⁰ აღნიშნულ რესტრუქტურირებულ სესხებში ერთიანდება ვადადამდგარი სესხები, რომელთა გადავადებასაც ახორციელებს ფინანსთა სამინისტრო ბენეფიციარის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. აღნიშნული 19 რესტრუქტურირებული სესხიდან 16 სესხის შემთხვევაში ძირითადი თანხის გადახდა იწყება 2022 წლის შემდგომი წლებიდან.

საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე სესხების გაცემა ხორციელდება მთავრობის მიერ განსაზღვრული პროექტების განსახორციელებლად. სესხების არსებულ პორტფელში ბენეფიციარებს (მსესხებლებს) წარმოადგენენ ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული ორგანიზაციები (81.8%), მუნიციპალური ერთეულები (17.9%) და კერძო სექტორში მოქმედი საწარმოები¹¹¹ (0.3 %).

დიაგრამა 57. საგარეო საკრედიტო რესურსიდან გაცემული სესხების სტრუქტურა ბენეფიციარების მიხედვით - 2022 წ. (მლნ ლარი; %).¹¹²



თანხობრივად, სესხების 78% (2.2 მლრდ ლარი) ხუთ სახელმწიფო საწარმოზე¹¹³ გაცემული. მათგან სამი¹¹⁴ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ხოლო ორი¹¹⁵ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონტროლ ქვეშ იმყოფება. აღნიშნულ საწარმოებზე 2022 წელს ჯამურად 201.1 მლნ ლარის გადასესხება განხორციელდა, ხოლო გადასესხებული კრედიტების ძირითადი თანხის დაფარვაზე საწარმოებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართა 84.1 მლნ ლარი. საყურადღებოა, რომ ფინანსურ აქტივებსა და მათზე ოპერაციებში აღირიცხება ისეთ ბენეფიციარებზე (დებიტორებზე) გაცემული სესხები, რომლებიც რეგულარულად იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას საოპერაციო ხარჯებისა და მათ ბალანსზე რიცხული ვალდებულებების მომსახურების დასაფარად. აღნიშნული თავის მხრივ

¹¹¹ შპს „GWP“ - 0.3 მლნ ლარი; სს „პროგრესიტი ბანკი“ - 1.0 მლნ ლარი; შპს „ხრამჰესი-2“ - 5.9 მლნ ლარი.

¹¹² სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.

¹¹³ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“; შპს „ენგურჰესი“; შპს „საქაერონავიგაცია“; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

¹¹⁴ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“; შპს „ენგურჰესი“; შპს „საქაერონავიგაცია“.

¹¹⁵ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, რომლებიც ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის #45-ე ბრძანებით დაკლასიფიცირდნენ სამთავრობო სექტორად.

საწარმოების შეზღუდულ გადახდისუნარიანობასა და ვალდებულებების მომსახურების პროცესში სახელმწიფოს არაპირდაპირი ფორმით მონაწილეობაზე მიუთითებს.¹¹⁶

ბენეფიციართა მეორე ჯგუფს ავტონომიური რესპუბლიკები და მუნიციპალიტეტები წარმოადგენენ. კერძოდ, აჭარის ფინანსთა სამინისტროზე, ბათუმის მერიასა და თბილისის მერიაზე გადასესხებული თანხების ნაშთის მოცულობა ჯამში 496.7 მლნ ლარს შეადგენს.

საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე სახელმწიფო საწარმოებზე სესხების გაცემის საკითხი რეგულირდება მთავრობის განკარგულებით,¹¹⁷ რომლის მიხედვითაც:

- სახელმწიფო საწარმოზე გადასესხება უნდა განხორციელდეს არანაკლებ იმავე პირობებით (პროცენტი, სესხის ხანგრძლივობა) რა პირობებშიც გაფორმდა სესხის ძირითადი ხელშეკრულება;
- დაფარვის გრაფიკი უნდა გაიწეროს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

სესხის გაცემის ეტაპზე ზემოაღნიშნული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია, თუმცა განკარგულება არ ვრცელდება მუნიციპალიტეტებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებზე და ამასთანავე, არ არეგულირებს სახელმწიფო საწარმოებზე უკვე გაცემული სესხების პორტფელის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. შედეგად, სესხების გაცემის შემდგომ ეტაპზე, ცალკეულ შემთხვევებში, ადგილი აქვს გადახდის პირობების ცვლილებას (რესტრუქტურირებას და მომსახურების გადავადებას). აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული ფორმალურად გაწერილი პოლიტიკა/პროცედურა არ არსებობს, რაც გარკვეულ შემთხვევებში წარმოშობს არაერთგვაროვან და ნაკლებად გამჭვირვალე მიდგომებს. მაგალითად, 2020-2021 წლებში ბათუმის მერიასთან გაფორმებული სამი ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ამ წლებში დასაფარი ძირითადი თანხის - 12.9 მლნ ევროს მოცულობის რესტრუქტურირება. ასევე, 2022 წელს, აღნიშნული ხელშეკრულებებისთვის განხორციელდა 2022 წელს დასაფარი 3.6 მლნ ევროს მოცულობის ძირითადი თანხის რესტრუქტურირება.¹¹⁸ იმავე ბენეფიციართან, 2022 წელს ადგილი ჰქონდა სესხების მომსახურების ხარჯების (საპროცენტო ხარჯის) გადავადებასაც.¹¹⁹ ზოგიერთ შემთხვევაში, ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულებები შესაძლოა გადავადდეს რესტრუქტურირებულ სესხად დარეგისტრირების გარეშე და არ განხორციელდეს შესაბამისი საურავის დარიცხვა.¹²⁰ აღნიშნული თავის მხრივ გადასესხებულების პორტფელში საკრედიტო რისკების მატერიალიზაციის ხარისხის სრულფასოვნად შეფასების შესაძლებლობას გარკვეულწილად ზღუდავს.

¹¹⁶ 2022 წელს აღნიშნულ 5 საწარმოს სუბსიდიის სახით გადაეცა 101.5 მლნ ლარი. მათ შორის, შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ თანხის ნაწილი გადაერიცხა საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე მასზე გაცემული სესხების მომსახურებისთვის (ძირის და პროცენტის დაფარვა). მსგავს პრაქტიკას ადგილი ჰქონდა გასულ წლებშიც.

¹¹⁷ მთავრობის N 2737 განკარგულება „საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მეწარმე იურიდიული პირების დაფინანსების წესისა და პრინციპების განსაზღვრის შესახებ“, 2017 წლის 28 დეკემბერი.

¹¹⁸ მთავრობის N 190 განკარგულება, 2022 წლის 1 თებერვალი.


¹¹⁹ მაგალითად, მთავრობის 2022 წლის 1 თებერვლის N 190 განკარგულებით ხუთი ხელშეკრულების ფარგლებში გადავადდა 3.2 მლნ ევროს მოცულობის საპროცენტო ხარჯი.

¹²⁰ მაგალითად, მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის N 2635 განკარგულებით, შპს „ენერგოტრანსის“ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების პროექტის სესხისთვის განხორციელდა ფინანსური ვალდებულებების გადავადება (2.6 მლნ ლარი), სესხის რესტრუქტურირების გარეშე.


2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასესხებულების პორტფელში რესტრუქტურირებული სესხების ნაშთი 418.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც მთლიანი პორტფელის 15.0%-ია. იმის გათვალისწინებით, რომ ქვესასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და გადავადების შემთხვევაში, ძირითადი სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება, სესხების რესტრუქტურიზაცია ბიუჯეტისადმი დამატებითი ფინანსური წნეხის წყაროა.

მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გასულ წლებში გაცემული რეკომენდაცია და ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს საგარეო საკრედიტო წყაროებიდან მობილიზებული რესურსის გადასესხების პოლიტიკა/პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აისახება გადასესხების პროცესის სრული ციკლი და შესაბამისად, უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას აღნიშნული პროცესის თითოეული ეტაპისთვის.¹²¹ ასეთი დოკუმენტის არსებობას მოითხოვს მსოფლიო ბანკის „ვალის მართვის ეფექტიანობის შეფასების სახელმძღვანელო“ (DeMPA).¹²² ასევე, მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს თან ერთვოდეს დეტალური ინფორმაცია გადასესხებულების პორტფელში განხორციელებული ცვლილებებისა¹²³ და პორტფელის საბოლოო მდგომარეობის შესახებ.¹²⁴

დიაგრამა 58. საბიუჯეტო რესურსიდან სულ გაცემული და მათ შორის ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა სესხის გამცემი უწყებების მიხედვით¹²⁵ - 2022 წ.



დიაგრამა 59. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 88 ვადაგადაცილებულ საბიუჯეტო სესხზე არსებული დავალიანება (მლნ ლარი).



¹²¹ მსგავსი ტიპის პოლიტიკის დოკუმენტის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო ფინანსების მართვის რეფორმისა და საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის პარალელურად. სტანდარტი, აღნიშნული ხასიათის ფინანსური აქტივებისთვის ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოითხოვს მისი გაუფასურების მდგომარეობის შეფასებას შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენას გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 29 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. პარაგრაფები 67-79).

¹²² DPI-10 (2) – გადასესხებული კრედიტების გაცემის დოკუმენტირებული პოლიტიკისა და პროცედურების ხელმისაწვდომობა.

¹²³ მაგალითად, ქვესასესხო ხელშეკრულებების რესტრუქტურირებებსა და გადავადებებზე.

¹²⁴ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ, გვ 63.

¹²⁵ სხვა სამინისტროებში გაერთიანებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (3 სესხი) და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (1 სესხი).

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა რესურსებიდან გაცემულ სესხებს¹²⁶ (შემდგომში - საბიუჯეტო სესხები), მათი დინამიკის ანალიზით ვლინდება მართვის ეფექტიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბიუჯეტო სესხების (მოქმედი სესხები) სახით სულ გაცემულია 173.6 მლნ ლარი, რომლებზეც დარიცხული ჯამური დავალიანება 381.1 მლნ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 171 საბიუჯეტო სესხიდან 82 სარგებლობს საშელავათო პერიოდით,¹²⁷ 88 ვადაგადაცილებათა,¹²⁸ ხოლო 1 სესხის ფარგლებში არ ფიქსირდება ვადაგადაცილება.¹²⁹ მოცემულ 88 სესხზე დარიცხული დავალიანების 56.4% პირგასამტეხლოზე,¹³⁰ 36.9% - სესხის ძირ თანხაზე, ხოლო 6.7% პროცენტის ხარჯზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული დავალიანების ძირითადი თანხის მოცულობა შემცირდა, რაც ძირითადად გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გამყარებით. მცირე კონტრიბუცია შეიტანა სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაცემული სესხების ძირითადი თანხის დაფარვამ.¹³¹

საბიუჯეტო სესხების აღრიცხვის წესი რეგულირდება საბიუჯეტო კოდექსით,¹³² რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების შესახებ მონაცემები აისახება ერთიან რეესტრში, რომელსაც აწარმოებს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური სესხის გამცემი უწყებების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამასთანავე, საბიუჯეტო კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით, სესხის გამცემი უწყებები ვალდებული არიან ფინანსთა სამინისტროს თვეში ერთხელ წარუდგინონ ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ,¹³³ თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.¹³⁴

გარკვეულ შემთხვევებში, სესხის გამცემი უწყებების მიერ არ ხდება კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის წარდგენა კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად,¹³⁵ რაც სესხების ერთიან რეესტრში ასახულ ინფორმაციაში იწვევს მნიშვნელოვანი ხასიათის უზუსტობებს. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა სსიპ -

¹²⁶ პარაგრაფში მოცემული სტატისტიკა ეყრდნობა ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ სახელმწიფო სესხების ერთიანი რეესტრის მონაცემებს.

¹²⁷ მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N 309 განკარგულების მიხედვით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 82 სესხის ძირისა და პროცენტის დაფარვა დაიწყება 2029 წლიდან.

¹²⁸ აღნიშნული მონაცემი მოიცავს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ სესხს შპს „ალს“-ზე. ფინანსთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციით, კომპანიამ დაფარა ძირითადი თანხა, ხოლო ჯარიმის თანხაზე შეტანილია სარჩელი თბილისის სამოქალაქო სასამართლოში. შესაბამისად, სესხი განიხილება როგორც აქტიური.

¹²⁹ ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული სესხი სს „ხრამკეს-2“-ზე.

¹³⁰ აღნიშნული მაჩვენებელი 2020 და 2021 წელს, შესაბამისად, 52.9%-ს და 54.3%-ს შეადგენდა.

¹³¹ ძირითადი თანხა გადახდილია 3 საბიუჯეტო სესხზე, აქედან 1 სრულად დაიფარა, ხოლო დარჩენილი ორის შემთხვევაში დავალიანების ძირითადი თანხის ნაწილი.

¹³² საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 64.

¹³³ სესხის ხელშეკრულების, სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის გრაფიკი, ასევე მათში განხორციელებული ცვლილებების ასლები.

¹³⁴ ინფორმაციის წარდგენის დეტალური წესი და შესაბამისი ფორმები დამტკიცებულია ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 ივნისის N 180 ბრძანებით.

¹³⁵ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საბიუჯეტო სესხების შესახებ ინფორმაციის წარდგენა უკანასკნელად განხორციელდა 2020 წლის თებერვალში.

მუნიციპალური განვითარების ფონდის ორი სესხი,¹³⁶ რომლებზეც ძირითადად დაფარულია,¹³⁷ თუმცა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეესტრში აღრიცხულია როგორც აქტიური სესხი. ასევე, 2022 წლის დეკემბერში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაზე“ საბიუჯეტო რესურსიდან გაიცა 230 მლნ ლარის ოდენობის სესხი, რომელიც 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით რეესტრში აღრიცხული არ არის.

საბიუჯეტო რესურსიდან გაცემული სესხების სრულფასოვანი აღრიცხვისა და მართვისთვის, მნიშვნელოვანია, სესხის გამცემმა უწყებებმა უზრუნველყონ სესხების შესახებ ინფორმაციის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

საყურადღებოა, რომ 2022 წელს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე გაიცა უპროცენტო სესხი 20 მლნ ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2024-2027 წლების პერიოდში. მსგავსი ფორმით სესხის გაცემას ადგილი ჰქონდა 2019 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე 3.5 მლნ ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა უნდა განხორციელდეს 2029 წლის 31 აგვისტომდე. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა მსგავსი ხასიათის სესხების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებს არ ითვალისწინებს.

რეკომენდაციები:

ფინანსთა სამინისტროს:

- საბიუჯეტო რესურსიდან გაცემული სესხების რეესტრის სრულფასოვანი წარმოებისთვის, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ხაზინის ინფორმირებულობას ბიუჯეტიდან სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

5.3 აქციები და სხვა კაპიტალი

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლით შემოსულობების მიღება დაგეგმილი არ ყოფილა. წლის განმავლობაში აღნიშნულ კომპონენტში მობილიზებულმა თანხამ 1 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 0.2 მლნ ლარი 2022 წელს გაყიდული სახელმწიფო საწარმოს წილებიდან იქნა მიღებული, ხოლო 0.8 მლნ ლარი - წინა წლებში გაყიდული წილებიდან. რაც შეეხება „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლის ზრდას, ამ კუთხით მიმართული 12.1 მლნ ლარიდან 10.7 მლნ ლარი დაიხარჯა თავდაცვის სამინისტროს სსიპ - დელტას მიერ ორი კომერციული საწარმოს წილის შესყიდვაზე,¹³⁸ ხოლო 1.4 მლნ ლარი

¹³⁶ შპს „ამმა“, შპს „გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხანა“.

¹³⁷ სასესიო დავალიანება შპს „გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხანაზე“ 2022 წლის მარტის, ხოლო შპს „ამმაზე“ 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით სრულად დაფარეს.

¹³⁸ შპს „ჯეო-ემ-ტექსის“ 51%-იანი წილი და შპს „ერ-ეს ესეტ მენეჯმენტის“ 100%-იანი წილი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ვენჩურული საინვესტიციო ფონდის¹³⁹ კაპიტალში შენატანზე.


6. სახელმწიფო და მთავრობის ვალი

6.1 სახელმწიფო ვალი


2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, სახელმწიფო ვალის¹⁴⁰ ზღვრული მოცულობა 34.5 მლრდ ლარის ოდენობით განისაზღვრა. ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით აღნიშნული მაჩვენებელი კლების მიმართულებით დაკორექტირდა და ბიუჯეტის საბოლოო კანონით 29.7 მლრდ ლარს გაუტოლდა. **2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის ფაქტობრივმა მოცულობამ 29.66 მლრდ ლარი¹⁴¹ (მშპ-ს 41.3%) შეადგინა, რაც 48 მლნ ლარით ნაკლებია კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე.** სახელმწიფო საგარეო ვალი ზღვრულ მაჩვენებელს 94.4 მლნ ლარით ჩამორჩა, ხოლო საშინაო ვალმა - 46.3 მლნ ლარით გადააჭარბა.¹⁴²

სახელმწიფო ვალის ნაშთი 2022 წელს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.6 მლრდ ლარით (5.0%-ით) შემცირდა, რაც სრულად ეროვნული ვალუტის გამყარებითაა განპირობებული.¹⁴³

დიაგრამა 60. სახელმწიფო ვალის (მლრდ ლარი), რეალური მშპ-ს და სახელმწიფო ვალის ზრდის ტემპის დინამიკა.



დიაგრამა 61. სახელმწიფო ვალის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ზღვრული და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლრდ ლარი).



¹³⁹ 500 GEORGIA L.P.

¹⁴⁰ სახელმწიფო ვალი განმარტებულია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით. სახელმწიფო ვალი მოიცავს სახელმწიფო მმართველობის სექტორისა და ეროვნული ბანკის ვალს. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით ყოველწლიურად ხდება სახელმწიფო ვალის ზღვრული მაჩვენებლის განსაზღვრა.

¹⁴¹ არ მოიცავს ისტორიული ვალის პირობით მოცულობას (672 მლნ ლარი).


¹⁴² ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია 2022 წლის განმავლობაში სახაზინო ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნის ზრდით და შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების შემცირებით.

¹⁴³ ვალის ნაშთის ფაქტობრივი მაჩვენებელი ვალუტის გამყარების შედეგად 4.5 მლრდ ლარით შემცირდა, ხოლო ახალი სესხების აღებით 2.9 მლრდ ლარით გაიზარდა. შედეგად, სახელმწიფო ვალის მოცულობა 1.6 მლრდ ლარით შემცირდა.


6.2 მთავრობის ვალი

2022 წლის ბოლოს მთავრობის ვალის¹⁴⁴ მოცულობა 28.5 მლრდ ლარს გაუტოლდა და მშპ-ს 39.8% შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 9.9 პ.პ.-ით, ხოლო 2019 წელს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით 0.7 პ.პ.-ით ნაკლებია.¹⁴⁵ მაჩვენებლის გაუმჯობესება ერთი მხრივ გამოწვეულია ნომინალური მშპ-ს ზრდით, ხოლო მეორე მხრივ ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად საგარეო ვალის ნაშთის შემცირებით.


დიაგრამა 62. მთავრობის ვალის ნაშთის მოცულობა (წლის ბოლოს) და მისი ფარდობა შესაბამისი წლის მშპ-სთან (მლრდ ლარი; %).



დიაგრამა 63. მთავრობის ვალის ნაშთის ზრდაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი (მლნ ლარი).



დიაგრამა 64. მთავრობის საგარეო და საშინაო ვალის წილი მთავრობის ვალში (%).



მთავრობის ვალის მოცულობა 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4.3%-ით (1.3 მლრდ ლარით) შემცირდა. ვალის მოცულობაზე გავლენა იქონია ეროვნული ვალუტის გამყარებამ

¹⁴⁴ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ვალს, IMF-ის მიმართ ეროვნული ბანკის ვალის გამოკლებით და დამატებით მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და სსიპ-ების სესხების სახით არსებულ ვალდებულებებს.

¹⁴⁵ სხვაობა დიაგრამაზე მოცემულ რიცხვებს და აღნიშნულ მაჩვენებელს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.

და ახალი სესხების აღებამ. კერძოდ, ეროვნული ვალუტის გამყარების შედეგად ვალის ნაშთი 4.2 მლრდ ლარით შემცირდა, ხოლო ახალი ვალების აღებით 3.0 მლრდ ლარით გაიზარდა (საშინაო ვალი - 1.3 მლრდ ლარით; საგარეო ვალი - 1.7 მლრდ ლარით).¹⁴⁶

2022 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით საგარეო ვალის წილი მთავრობის მთლიან ვალში 75.0%-ია, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (80.4%-თან) შედარებით 5.4 პ.პ.-ით ნაკლებია. საგარეო ვალის წილის შემცირების მიუხედავად, მისი მოწყვლადობა ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ კვლავ მაღალია.

მთავრობის ვალის მართვის პროცესში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია „ვალის მართვის სტრატეგია“ და „ვალის მდგრადობის ანალიზი“ (DSA). სტრატეგიაში გაცხადებული ხედვა უნდა ემსახურებოდეს DSA-ით პროგნოზირებული ვალის მდგრადი დონის მიღწევასა ან/და შენარჩუნებას.¹⁴⁷

„ვალის მდგრადობის ანალიზის“ დოკუმენტი ეყრდნობა IMF-ისა და WB-ის მიერ 2005 წელს ერთობლივად შემუშავებულ მეთოდოლოგიას,¹⁴⁸ რომლის განახლება განხორციელდა 2014 და 2021 წლებში. განახლებული მეთოდოლოგიით გაფართოვდა ვალის დაფარვის მაჩვენებელი, გაუმჯობესდა სუვერენული რისკების შეფასების ინსტრუმენტები, გაიზარდა პროგნოზირების ჰორიზონტი და მეთოდოლოგია თანხვედრაში მოვიდა IMF-ის დაკრედიტების ჩარჩოსთან.¹⁴⁹ აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ ვალის მდგრადობის ანალიზი მოამზადოს განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

„ვალის მართვის სტრატეგია“ პირველად 2018 წელს მომზადდა. ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 26 სექტემბრის №328 ბრძანებით სტრატეგიის განახლება უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად და არაუგვიანეს 31 დეკემბრისა გამოქვეყნდეს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, სტრატეგიაში განსაზღვრული მიმართულებების საბიუჯეტო პროცესში უკეთ ინტეგრირებისთვის, მიზანშეწონილია, მისი განახლება მოხდეს შემდგომი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარდგენამდე. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის საბიუჯეტო პროცესში ინტეგრაცია მოითხოვება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული DeMPA-ს მეთოდოლოგიითაც.¹⁵⁰

„მთავრობის ვალის მართვის“ სტრატეგიასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები:

- დოკუმენტის მიხედვით, მისი არეალი და მიზნები ვრცელდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ვალის წესის მაჩვენებლის შემადგენელ კომპონენტებზე (მთავრობის ვალსა და PPP პროექტებიდან მომდინარე ვალდებულებებზე). მიუხედავად ამისა, PPP პროექტებიდან მომდინარე ვალდებულებები ასახულია მხოლოდ ვალის არსებული პორტფელის მიმოხილვის ნაწილში, ხოლო სტრატეგიის მიზნობრივ მაჩვენებლებში გათვალისწინებული არ არის;

¹⁴⁶ სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.

¹⁴⁷ [Developing a Medium-Term Debt Management Strategy \(MTDS\) - Updated Guidance Note for Country Authorities, February 2019](#), IMF & WB, გვ. 16

¹⁴⁸ [Information Note on Modifications to the Fund's Debt Sustainability Assessment Framework for Market Access Countries](#), IMF.

¹⁴⁹ [Review of the debt sustainability framework for market access countries](#), IMF, გვ. 3.

¹⁵⁰ [Debt management performance assessment methodology](#), DPI 3.2, World Bank, გვ. 29


- სტრატეგიის ზოგიერთი მიმართულების¹⁵¹ ფარგლებში დაგეგმილი რეფორმების განსახორციელებელი აქტივობების/ღონისძიებების ნაწილს არ აქვს განსაზღვრული განხორციელების ვადები და შუალედური მიზნობრივი ნიშნულები/შედეგები; ასევე, ცალკეული აქტივობები/ღონისძიებები საჭიროებს ფორმალურად გაწერილი კრიტერიუმების არსებობას. კრიტერიუმებისა და ვადების განსაზღვრა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ისეთი ამოცანებისთვის, რომელთა მიზნობრივ ნიშნულებს მხოლოდ მოცემული სტრატეგია ადგენს და არ რეგულირდება სხვა მარეგულირებელი აქტებით.

6.3 მთავრობის საგარეო ვალი

მთავრობის საგარეო ვალის მოცულობამ 2022 წლის ბოლოს 21.4 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10.7%-ით (2.6 მლრდ ლარით) ნაკლებია. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელში უდიდეს ნაწილს - 15.7 მლრდ ლარს (მთლიანი საგარეო ვალის პორტფელის 73.5%) მრავალმხრივი კრედიტორებისგან აღებული სესხები წარმოადგენს.

მრავალმხრივ კრედიტორებს შორის უმსხვილესია აზიის განვითარების ბანკი (ADB) (5.6 მლრდ ლარი, მთლიანი მრავალმხრივი კრედიტის მოცულობის 36%) და მსოფლიო ბანკი (WB) (5.4 მლრდ ლარი, მთლიანი მრავალმხრივი კრედიტის მოცულობის 34%).

დიაგრამა 65. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი კრედიტორების მიხედვით (მლრდ ლარი).
 დიაგრამა 66. მთავრობის მრავალმხრივი კრედიტების სტრუქტურა დონორების მიხედვით¹⁵² - 2022 წ.



მთავრობის საგარეო ვალში ასევე მნიშვნელოვანია ორმხრივი კრედიტების წილიც, რომელიც 20.2%-ია (4.3 მლრდ ლარი). უმსხვილესი ორმხრივი დონორები არიან საფრანგეთი, გერმანია და

¹⁵¹ მაგ. მე-3 და მე-5 მიმართულებებში. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ [დასკვნაში „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე](#)


¹⁵² კატეგორია „სხვა“ მოიცავს შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებს: სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB), ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB), სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO).

იაპონია. აღნიშნული ქვეყნების მიმართ ჯამური დავალიანება 4.1 მლრდ ლარს (ორმხრივი კრედიტორების წილის 94.9%) შეადგენს.

2022 წელს საგარეო კრედიტების სახით მიღებულმა შემოსულობებმა 2.4 მლრდ ლარი შეადგინა და ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს 44 მლნ ლარით (1.9%-ით) გადააჭარბა. 2021 წელთან შედარებით კრედიტების მოცულობა 3.2 მლრდ ლარით (57.1%-ით) შემცირდა. 2022 წელს საგარეო წყაროებიდან მობილიზებული რესურსის უდიდესი ნაწილი საინვესტიციო კრედიტებია, რომლის მოცულობა 1.6 მლრდ ლარია (2022 წელს მთლიან საგარეო კრედიტებიდან მობილიზებული შემოსულობების 65.8%). რაც შეეხება ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებს,¹⁵³ 2021 წელთან შედარებით მათი მოცულობა 1.7 მლრდ ლარით (66.9%-ით) შემცირდა და 817 მლნ ლარი შეადგინა. საგარეო წყაროებიდან მობილიზებული საკრედიტო რესურსის შემცირება გამოწვეულია ორი ძირითადი მიზეზით:

1. 2022 წლისგან განსხვავებით, 2021 წელს მობილიზებული საკრედიტო რესურსი მოიცავდა 2011 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების რეფინანსირებისთვის ახალი ევროობლიგაციების ემისიით მიღებულ საკრედიტო რესურსს (1.7 მლრდ ლარს), რასაც ერთჯერადი ხასიათი გააჩნდა;
2. 2022 წელს პანდემიასთან დაკავშირებული მდგომარეობის გაუმჯობესების პირობებში, ანტიპანდემიური/ანტიკრიზისული ღონისძიებების დაფინანსებისთვის ბიუჯეტის მხარდამჭერი საკრედიტო რესურსის მობილიზების საჭიროება აღარ დამდგარა.

დიაგრამა 67. საგარეო კრედიტების სახით მიღებული შემოსულობები (მლნ ლარი).




2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი შედგება 5 სხვადასხვა ვალუტაში¹⁵⁴ დენომინირებული სესხებისგან. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში საგარეო სესხების სავალუტო სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა. კერძოდ, შემცირდა

¹⁵³ საინვესტიციო კრედიტებისგან განსხვავებით, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების უმეტესობას განსაზღვრული მიზნობრიობა ცხადი სახით არ გააჩნიათ და ძირითადად მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად გამოიყენება.


¹⁵⁴ აშშ დოლარი, ევრო, ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR), იაპონური იენი, ქუვეითური დინარი.

დოლარსა და SDR-ში¹⁵⁵ დენომინირებული ვალდებულებების წილი, ევროში აღებული ვალდებულებების წილი კი 2018 წელთან შედარებით გაორმაგდა და 56%-ს გაუტოლდა.¹⁵⁶

დიაგრამა 68. მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურა ვალუტების მიხედვით.




დიაგრამა 69. მთავრობის საგარეო ვალის მოცულობის ცვლილებაში ლარის გაცვლითი კურსისა და ახალი სესხების აღების ეფექტი - 2022 წ. (მლნ ლარი).




2022 წელს მთავრობის საგარეო ვალის შემცირებაში ლარის გამყარების ეფექტმა 4.2 მლრდ ლარი შეადგინა. 2022 წლის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით, ეროვნული ვალუტა დოლართან და ევროსთან მიმართებით წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით 12.8%-ითა და 17.7%-ით გამყარდა. შესაბამისად, ევროს გაცვლითი კურსის ცვლილებამ ყველაზე დიდი ეფექტი იქონია მთავრობის ვალის მოცულობაზე და მთავრობის საგარეო ვალი 2.6 მლრდ ლარით შეამცირა.

დიაგრამა 70. წლის ბოლოს დაფიქსირებული ლარის გაცვლითი კურსის %-ული ცვლილება.



დიაგრამა 71. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი საპროცენტო განაკვეთის სახეების მიხედვით.



უკანასკნელ წლებში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება საკრედიტო პორტფელში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი. 2018 წელთან შედარებით 8.7 პ.პ.-ით გაიზარდა

¹⁵⁵ SDR - წარმოადგენს საერთაშორისო სარეზერვო აქტივს, რომლის ღირებულებაც ემყარება 5 ვალუტას: აშშ დოლარს, ევროს, ჩინურ იუანს, იაპონურ იენს და დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგს.


¹⁵⁶ 2023-2026 წლებისთვის შემუშავებულ მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის მიხედვით პრიორიტეტი ევროში დენომინირებულ სესხებს ენიჭება, რაც ევროკავშირთან ეკონომიკური დაახლოების პროცესითაა გამოწვეული.

ცვლადი საპროცენტო განაკვეთების მქონე სესხების წილი და 2022 წლის ბოლოს 48% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ვალის მართვის სტრატეგიით, 2026 წლისთვის ცვლადი განაკვეთის მქონე სესხების წილი მთლიან პორტფელში არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს.

6.4 მთავრობის საშინაო ვალი

2022 წელს მთავრობის საშინაო ვალი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.3 მლრდ ლარით გაიზარდა და 7.1 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ზრდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობის ზრდამ განაპირობა.¹⁵⁷ საშინო ვალის ნაშთის ზრდისა და საგარეო ვალის ნაშთის კლების შედეგად, საშინაო ვალის წილი მთავრობის მთლიან ვალში 2021 წელთან შედარებით 5.4 პ.პ.-ით გაიზარდა და 2022 წლის ბოლოს 25%-ს გაუტოლდა.

დიაგრამა 72. მთავრობის საშინაო ვალის კომპოზიცია და მისი წილი მთავრობის მთლიან ვალში (მლნ ლარი).¹⁵⁸




2022 წლის ბოლოს, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთში უდიდესი წილი (53%) 5-წლიანი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციებს უჭირავს, რომელიც გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.¹⁵⁹

¹⁵⁷ სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებულმა შემოსავალმა 2.8 მლრდ ლარი შეადგინა, ხოლო ძირი თანხის დაფარვამ 1.5 მლრდ ლარი. შედეგად, ფასიანი ქაღალდების წმინდა ზრდა 1.3 მლრდ ლარია.

¹⁵⁸ სხვა ფასიანი ქაღალდები მოიცავს ობლიგაციებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ობლიგაციებს ღია ბაზრის ოპერაციებისთვის.

¹⁵⁹ 2018 წლიდან მეორადი ბაზრის განვითარების მიზნით ფინანსთა სამინისტრომ პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის ფარგლებში დაიწყო 5 წლიანი ბენჩმარკ ბონდების გამოშვება, 2022 წლის 1 ნოემბრიდან კი პროგრამას 2 წლიანი ბენჩმარკ ბონდების გამოშვებაც დაემატა.


დიაგრამა 73. სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი ვადიანობის მიხედვით (მლნ ლარი; %).¹⁶⁰



2022 წელს განხორციელდა 2.8 მლრდ ლარის მოცულობის სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია, რაც ორჯერ აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. წლის განმავლობაში განხორციელებული ემისიიდან მოკლევადიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების¹⁶¹ ჯამური მოცულობა 535 მლნ ლარს, ხოლო გრძელვადიანის¹⁶² - 2.3 მლრდ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების ემისიის მაჩვენებელი, ხოლო მოკლევადიანის შემცირდა.

2022 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების სარგებლიანობის განაკვეთები. 6 თვიან სახაზინო ვალდებულებებზე დაფიქსირდა ყველაზე მაღალი საშუალო შეწონილი საპროცენტი განაკვეთი - 10.3%.¹⁶³ 10 წლიან სახაზინო ობლიგაციებზე კი საშუალო საპროცენტი განაკვეთი 0.4 პ.პ.-ით გაიზარდა და 9.3% შეადგინა.

დიაგრამა 74. სახაზინო ფასიანი ქაღალდების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები ვადიანობის მიხედვით (%).



¹⁶⁰ დიაგრამაზე წარმოდგენილი მაჩვენებლები არ მოიცავს სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს. კერძოდ, ობლიგაციებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის და ობლიგაციებს ღია ბაზრის ოპერაციებისთვის.


¹⁶¹ 6 თვიანი და 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებები.

¹⁶² 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციები.

¹⁶³ მოკლევადიან ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთის დინამიკას ძირითადად არსებული მონეტარული პოლიტიკა განსაზღვრავს, ხოლო გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთს კი მონეტარული პოლიტიკისა და საპროცენტო განაკვეთებზე მოქმედი სხვა ეკონომიკური ფაქტორების მომავალი მოსალოდნელი ტრაექტორია.

უკანასკნელი წლების პრაქტიკით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის უდიდესი ნაწილი ადგილობრივი კომერციული ბანკების მფლობელობაში იმყოფება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში კომერციული ბანკების წილი კლებადი ტენდენციით ხასიათდება და 2022 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, მათ მფლობელობაშია ფასიანი ქაღალდების მთლიანი პორტფელის 57.0%. მნიშვნელოვნად (30%-მდე) გაიზარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების წილი. 2021 წელთან შედარებით, 6.8 პ.პ.-ით გაიზარდა სხვა რეზიდენტი ინვესტორების წილიც და 8.5% შეადგინა. სხვა რეზიდენტების წილის მკვეთრი ზრდა განპირობებულია საპენსიო სააგენტოს აქტივობით, რომელმაც 2022 წლის აპრილიდან დაიწყო საქართველოს სახაზინო ობლიგაციების შესყიდვა და წლის ბოლოს ამ ინსტრუმენტებში განთავსებულმა თანხამ, მისი აქტივების 16.2% შეადგინა.

დიაგრამა 75. სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაწილება მათი მფლობელების მიხედვით (მლნ ლარი; %).




გამოწვევად რჩება ფასიანი ქაღალდების მფლობელი არარეზიდენტი ინვესტორების წილის დაბალი მაჩვენებელი, რომელმაც 2022 წლის ბოლოს 4.5% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მთავრობის ვალის მართვის მოქმედი სტრატეგიით, აღნიშნული მაჩვენებლის სამიზნე ნიშნულად 2026 წლისთვის მინიმუმ 25%-ია განსაზღვრული.

6.5 მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები

2022 წელს მთავრობის ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციების ვალის მომსახურებისა და დაფარვისა) მიიღარა 3.2 მლრდ ლარი, რაც ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმის 97.2%-ია. საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით აღებული ვალდებულებების მომსახურებამ და დაფარვამ კი 14.4 მლნ ლარი შეადგინა.


მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვისთვის გაწეული ხარჯების უდიდესი ნაწილი (63%) საშინაო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებზე მოდის, რომელმაც 2.1 მლრდ ლარი შეადგინა. აქედან უმეტესი ნაწილი (74.8%) ძირის დაფარვაზე მიიღარა.

დიაგრამა 76. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯების დინამიკა (მლნ ლარი).




2022 წლიდან გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პირობებში 1.2 პ.პ.-ით გაიზარდა მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი (2.2%-მდე). იმის გათვალისწინებით, რომ საგარეო ვალის პორტფელის თითქმის ნახევარს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები შეადგენს და გლობალური მონეტარული პოლიტიკა განაგრძობს გამკაცრებას, მოსალოდნელია ვალის მომსახურების ხარჯების კიდევ უფრო ზრდა.

დიაგრამა 77. ცენტრალური ბანკების მონეტარული საპროცენტო განაკვეთების დინამიკა¹⁶⁴ - 2018-2023 (I კვ).



დიაგრამა 78. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მთავრობის საგარეო ვალზე (%).¹⁶⁵



აღსანიშნავია, რომ მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის მე-4 მიმართულებად განსაზღვრულია მთავრობის ვალის პორტფელის ხარჯისა და რისკის ოპტიმიზაცია. სტრატეგიის დოკუმენტში მოცემულია პორტფელის რისკის შეფასების ინდიკატორები და დადგენილია შესაბამისი ზღვრები,

¹⁶⁴ წყარო : [Bank for International Settlements \(BIS\)](#)

¹⁶⁵ აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ჩათვლით ვალის პორტფელში შედიოდა 2011 წელს გამოშვებული ევროობლიგაციები, რომლის კუპონის განაკვეთი 6.875%-ს შეადგენდა. 2021 წლის აპრილში აღნიშნული ევროობლიგაციების რეფინანსირება განხორციელდა ახალი, 2.75% კუპონის მქონე ევროობლიგაციებით. შედეგად, გლობალური საპროცენტო განაკვეთების უცვლელობის პირობებში მომდევნო წლებში უნდა შემცირებულიყო ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი.

თუმცა ვალის პორტფელთან დაკავშირებული ხარჯის ინდიკატორი სრულფასოვნად წარმოდგენილი არ არის.¹⁶⁶ თავის მხრივ, ვალის დანახარჯების მინიმიზაცია ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ვალის მართვის ოპტიმალური მიდგომების შემუშავების პროცესში.¹⁶⁷

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია მოიცავდეს ვალის ხარჯების შეფასების ინდიკატორს და სტრატეგიით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლების¹⁶⁸ პოტენციურ გავლენას ამ ინდიკატორზე.

რეკომენდაციები:

ფინანსთა სამინისტროს:

- სხვადასხვა რისკ-ფაქტორების მიმართ მთავრობის ვალის მოწყვლადობისა და მისგან მომდინარე რისკების სრულფასოვნად ანალიზისა და მართვისთვის, მიზანშეწონილია, „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი“ განხორციელდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით;
- მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიაში წარმოდგენილი მიმართულებების საბიუჯეტო პროცესში უკეთ ინტეგრირებისთვის, მიზანშეწონილია, სტრატეგიის განახლება განხორციელდეს შემდგომი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარდგენამდე;
- მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის ხარისხობრივი გაუმჯობესებისთვის, მიზანშეწონილია, დოკუმენტის შემდგომი განახლების პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი საკითხები:
 - დოკუმენტში წარმოდგენილი მიმართულებები და მიზნობრივი ნიშნულები თანხვედრაში იყოს დოკუმენტის არეალსა და მიზნებთან;
 - სტრატეგია მოიცავდეს ვალის მომსახურების ხარჯების შეფასების ინდიკატორ(ებ)ს და სტრატეგიით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლების პოტენციური გავლენის შეფასებას ამ ინდიკატორ(ებ)ზე.

7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს თან ახლავს ინფორმაცია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და

¹⁶⁶ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ საგარეო სესხების შერჩევის პროცესში დანახარჯების შემცირების მიზნით გამოყენებული კრიტერიუმების შესახებ.


¹⁶⁷ [Developing a medium-term management strategy framework \(MTDS\)](#), [MTDS Analytical tool manual](#), WB&IMF

¹⁶⁸ რეფინანსირების, საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და გადახდისუნარიანობის რისკები.

რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ მთავრობის განკარგულებით¹⁶⁹ განსაზღვრული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ მოხსენებებში 2018-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშების შესახებ გაიცა 16 რეკომენდაცია. არსებული მდგომარეობით, სრულად ან ნაწილობრივ შესრულებულია 5 რეკომენდაცია, ხოლო 6 რეკომენდაცია მიმდინარეა (თითოეული რეკომენდაციის შესრულების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 5-ში).

დიაგრამა 79. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მოხსენებებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.



¹⁶⁹ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ოქტომბრის N1842 განკარგულება (საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით, 2015 წლის 30 მარტს გამოიცა საქართველოს მთავრობის N 144 დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მომზადებულ მოხსენებაში გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ).

დანართები

დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება - მაგალითები

1. რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ადგილი აქვს წლის განმავლობაში რესურსების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება.
• ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეპროგრამას „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო“ (24 01 01) ბიუჯეტის კანონით დაფინანსება განესაზღვრა 12.1 მლნ ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში აღნიშნულ პროგრამაზე გადანაწილდა 3.4 მლნ ლარი, საიდანაც 2.4 მლნ ლარი მობილიზებულ იქნა სამინისტროს აპარატისათვის ქსელის კომპუტატორის, შეხვედრების ოთახის საკონფერენციო სისტემის შესყიდვის, ავტოპარკის განახლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევროს გადახდის მიზნით; • რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვეპროგრამისთვის „განახლებული რეგიონების პროგრამა“ (25 03 02) „ჭერს ზევით“ მოთხოვნილმა დაფინანსებამ 205 მლნ ლარი შეადგინა.¹⁷⁰ ბიუჯეტის თავდაპირველ კანონში გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ 160 მლნ ლარი. ბიუჯეტის კანონის ცვლილებით ქვეპროგრამის გეგმა 168.9 მლნ ლარამდე გაიზარდა. წლის განმავლობაში ქვეპროგრამაზე დამატებით გადანაწილდა 113.1 მლნ ლარი ახალი პროექტებისათვის; • შინაგან საქმეთა სამინისტროს „სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლების“ (30 06 01) ქვეპროგრამის „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლით „ჭერს ზევით“ მოთხოვნილი ასიგნებების ოდენობამ 28.3 მლნ ლარი შეადგინა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სარგებლობაში არსებული სახანძრო-სამაშველო მანქანების ჩანაცვლების აუცილებლობიდან გამომდინარე. ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინება არ მომხდარა. კანონში განხორციელებული ცვლილებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის“ (30 01 01) ქვეპროგრამის (როგორც გამტარის) „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლი გაიზარდა 27.5 მლნ ლარით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ავტოპარკის განახლების პროცესის დაწყების მიზნით. წლის ბოლომდე შესყიდვის პროცედურების განხორციელება ვერ მოესწრო და თანხა შესაბამისი მიზნობრიობით ათვისებული არ იქნა. გამოყოფილი თანხით განხორციელდა ოპერატიული დანაყოფებისთვის 2022-2023 წლებში ავტოპარკის შესყიდვისთვის გადასახდელი თანხის ანაზღაურება; იმავსე ქვეპროგრამის „საქონელისა და მომსახურების“ მუხლი ბიუჯეტის კანონით სამინისტროს მიერ საბიუჯეტო განაცხადით „ჭერის ფარგლებში“ მოთხოვნილი 20.7 მლნ ლარის ოდენობით დამტკიცდა. სამინისტროს „ჭერს ზევით“ დაფინანსების ფარგლებში დამატებით მოთხოვნილი ჰქონდა 10.2 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის კანონში არ აისახა. წლის განმავლობაში აღნიშნულ მუხლში დადგა 6.1 მლნ ლარის მობილიზების საჭიროება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სეზონურ მეხანძრე-მაშველთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ასევე, მეხანძრე-მაშველთა უნიფორმების შეძენის და კომუნალური ხარჯების დაფინანსების მიზნით; • გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამის „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა“ (31 05 01) დაფინანსება ბიუჯეტის კანონით 10.9 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა. წლის განმავლობაში ქვეპროგრამაზე დამატებით მიიმართა 2.5 მლნ ლარი. დამატებითი თანხის მობილიზება განხორციელდა 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანადაფინანსების თანხის გაცემის, ფერმერთათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით სერვისის უწყვეტად და შეუფერხებლად მიწოდების, შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ მიერ ტექნიკის მოსამზადებელი (გასამართი) სამუშაოების განხორციელების დაფინანსებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების მიზნით.
2. ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, ადგილი აქვს პროგრამის/ქვეპროგრამის ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვას და

¹⁷⁰ 2021 წლის 26 აპრილის მთავრობის N 185 დადგენილებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და ფინანსთა სამინისტროებს დაევალებათ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადების პროცესში გათვალისწინებული ყოფილიყო აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო თანხები.

წლის განმავლობაში აუთვისებული თანხების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე/საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებზე.
• <i>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ჩემი პირველი კომპიუტერი“ (32 02 11) ქვეპროგრამის დაფინანსება ბიუჯეტის კანონით 59.1 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა. წლის განმავლობაში ქვეპროგრამიდან გადატანილი თანხების მოცულობამ 18.9 მლნ ლარი შეადგინა. საყურადღებოა, რომ 2022-2023 სასწავლო წლისათვის კომპიუტერების შესყიდვისათვის საჭირო თანხის ნაწილი (20 მლნ ლარი) ავანსის სახით ანაზღაურდა 2021 წლის ბოლოს. 2022 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული არ იქნა;</i> • <i>შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ქვეპროგრამიდან (30 01 01) გასული წლების მსგავსად 2022 წელსაც განხორციელდა ტერიტორიული პოლიციის დეპარტამენტებსა და სხვა დაქვემდებარებულ უწყებებზე საბიუჯეტო სახსრების გადანაწილება. წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 200 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობიდან, 179 შეეხო აღნიშნულ ქვეპროგრამას. ქვეპროგრამიდან წლის განმავლობაში გადანაწილებულმა ჯამურმა თანხამ 60.2 მლნ ლარი შეადგინა;</i> • <i>თავდაცვის სამინისტროს „სოციალური უზრუნველყოფის“ (29 03 02) ქვეპროგრამის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების მოცულობამ 26.1 მლნ ლარი შეადგინა. წლის განმავლობაში აღნიშნული მუხლიდან სხვადასხვა პროგრამულ კოდებზე/საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებზე გადანაწილდა 16.3 მლნ ლარი (დამტკიცებული ბიუჯეტის 62.5%). სამინისტროს განმარტებით, ცვლილება განხორციელდა სამინისტროს შიდა რეგულაციებში, რის შედეგადაც საკონტრაქტო სამსახურის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ცალკეული კომპონენტების დაფინანსება ნაცვლად „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლისა განხორციელდა „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან. აღსანიშნავია, რომ „შრომის ანაზღაურების“ მუხლში ამ მუხლიდან გადანაწილებულია მხოლოდ 450 ათასი ლარი;</i> • <i>ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ორგანოთა ტრანსპლანტაციის“ (27 03 03 11) ქვეპროგრამის დაფინანსება ბიუჯეტის კანონით 5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა. წლის განმავლობაში ქვეპროგრამიდან გადატანილ იქნა 3.7 მლნ ლარი. ათვისების მაჩვენებელმა დამტკიცებული გეგმის 25.6% შეადგინა. სამინისტროს განმარტებით, აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საჭიროების მქონე პაციენტების დიდი ნაწილი უკვე რეგისტრირებულნი იყვნენ თბილისისა და აჭარის ა.რ.-ის ბიუჯეტით გათვალისწინებულ შესაბამის პროგრამებში.</i>
3. გარკვეულ შემთხვევებში, ადგილი აქვს თანხების გადანაწილებას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც საერთოდ არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტის კანონით და მათი განხორციელება წლის განმავლობაში გადაწყდა.
• <i>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამაზე „ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული კარანტინის მომსახურების ხარჯები“ (24 20 01) 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით ასიგნებები გამოყოფილი არ იყო. წლის განმავლობაში ქვეპროგრამაზე გადატანილ იქნა 3.7 მლნ ლარი. სათანადო დაგეგმვის პირობებში შესაძლებელი იყო კოვიდთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის საჭირო რესურსის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება;</i> • <i>თავდაცვის სამინისტროს „სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება“ (29 07) პროგრამის „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში ბიუჯეტის კანონით ასიგნებები გათვალისწინებული არ ყოფილა. 2022 წლის დეკემბერში ამ მუხლზე საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა მუხლებიდან 10.9 მლნ ლარი გადანაწილდა სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დეტას“ მიერ ორი საწარმოს წილების შეძენის მიზნით (დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში „აქციები და სხვა კაპიტალი“). თავისი მასშტაბიდან გამომდინარე, ამ ღონისძიებებისთვის საჭირო რესურსის გათვალისწინება შესაძლებელი იყო დაგეგმვის ეტაპზე.</i>
4. გარკვეულ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესი. კერძოდ, ადგილი აქვს იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე თანხების უკან მობრუნებას, რომლებიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა.
• <i>იუსტიციის სამინისტროს „პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ (26 02 03) ქვეპროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან წლის დასაწყისში გადატანილ იქნა 885 ათასი ლარი (სამინისტროს აპარატზე). წლის ბოლოს პენიტენციურ სამსახურს წარმოექმნა</i>

ოპერატიული დანიშნულების ავტომობილების განახლების საჭიროება, რისთვისაც მას „იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარებისა და ხელმისაწვდომობის“ (26 07) ქვეპროგრამიდან გადაუნაწილდა 1.1 მლნ ლარი;

- თავდაცვის სამინისტროს „პროფესიული სამხედრო განათლება“ (29 02) პროგრამის „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან 2022 წლის აგვისტოში 240 ათასი ლარი გადანაწილდა „სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება“ (29 07) პროგრამაზე, ხოლო დეკემბერში თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გაცემის მიზნით საჭირო გახდა ამავე მუხლში თანხების მობილიზება (750 ათასი ლარი გადმოტანილ იქნა „თავდაცვის მართვის“ პროგრამიდან);
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის (30 01 01) ქვეპროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლი დაიგეგმა 90.1 მლნ ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში აღნიშნული მუხლიდან სულ გადანაწილებულია 21.5 მლნ ლარი, ხოლო უკან დაბრუნებულია 10.8 მლნ ლარი (მათ შორის, 3.5 მლნ ლარი მობილიზდა სასაზღვრო პოლიციისთვის ვერტმფრენების შესასყიდად დამატებული 50.0 მლნ ლარიდან დარჩენილი თანხიდან).

5. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გადასახდელები დაიგეგმა საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან შეუსაბამო/არასწორ მუხლში, რამაც წარმოშვა ხარჯთაღრიცხვის ცვლილების აუცილებლობა.

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეპროგრამისთვის „შავი ზღვის ტურიზმის ხელშეწყობა“ (24 06 05) საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილ იქნა 4 მლნ ლარი (1.3 მლნ ლარი „სუბსიდიების“ და 2.7 მლნ ლარი „სხვა ხარჯების“ მუხლში), რაც დაკმაყოფილებულ იქნა. საბიუჯეტო წლის დასაწყისშივე შრომის ანაზღაურების, კომუნალური ხარჯებისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის ხარჯების დასაფარად დადგა 1.9 მლნ ლარის „სხვა ხარჯების“ მუხლიდან „სუბსიდიების“ მუხლში გადატანის საჭიროება, რაც ასიგნებების არასწორ მუხლში დაგეგმვაზე მიუთითებს.
ანალოგიურად, სამინისტროს ქვეპროგრამაში „საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა“ (24 08 02) ტექნოლოგიური ტრანსფერის აქსელერაციისა და თანადაფინანსების საგრანტო პროგრამის ფარგლებში შესასყიდი საკონსულტაციო და სხვა მომსახურებებისთვის 8.6 მლნ ლარი არასწორად იქნა დაგეგმილი „სუბსიდიების“ მუხლში, რამაც გამოიწვია ცვლილების აუცილებლობა და თანხის „საქონელისა და მომსახურების“ მუხლში გადატანა;
- თავდაცვის სამინისტროს პროგრამის „თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება“ (29 08) „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში ასიგნებები გათვალისწინებული არ ყოფილა. პირველივე კვარტალში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში გადატანილ იქნა 535 ათასი ლარი სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის მიზნით. ანალოგიურ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 2021 წელსაც.

დანართი 2. ბიუჯეტის ათვისება პროგრამების დონეზე - მაგალითები

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით 80%-ზე ნაკლები ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებელი, რომელთაც დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით მაღალი ათვისება აქვთ - 2022 წ. (ათასი ლარი). მონაცემები დალაგებულია პროგრამული კოდის მიხედვით.

პროგრამის დასახელება/პროგრამული კოდი	ბიუჯეტის კანონი (საწყისი) (1)	ბიუჯეტის კანონი (საბოლოო) (2)	დაზუსტებული გეგმა (3)	ფაქტი (4)	(4)/(2) %	(4)/(3) %
ქვეყნის ბრენდის განვითარების ღონისძიებები (24 01 02)	2,500	2,500	26	26	1.0%	100.0%
მარკეტინგული და იურიდიული კონსულტაციების ხარჯი (24 01 04)	4,000	4,000	59	59	1.5%	99.9%
ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10)	12,000	12,000	5,561	5,561	46.3%	100.0%
ანაკლის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება (24 17)	1,516	1,288	604	538	41.8%	89.1%
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები (25 03 01)	70,000	150,000	84,097	84,096	56.1%	100.0%
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (27 01 09)	4,517	4,517	3,480	3,480	77.0%	100.0%
იმუნიზაცია (27 03 02 02 01)	35,000	35,000	16,723	16,723	47.8%	100.0%
იმუნიზაცია (ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრების ადმინისტრირება) (27 03 02 02 02)	15,000	15,000	3,838	3,838	25.6%	100.0%
ტუბერკულოზის მართვა (27 03 02 06)	17,200	17,200	10,979	10,979	63.8%	100.0%
ჯანმრთელობის ხელშეწყობა (27 03 02 10)	2,100	2,100	1,007	1,005	47.9%	99.8%
C ჰეპატიტის მართვა (27 03 02 11)	6,000	6,000	3,146	3,145	52.4%	100.0%
დიაბეტის მართვა (27 03 03 02)	27,000	27,000	15,634	15,634	57.9%	100.0%
თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (27 03 03 09)	1,000	1,000	406	406	40.6%	100.0%
ორგანოთა ტრანსპლანტაცია (27 03 03 11)	5,000	5,000	1,280	1,280	25.6%	100.0%
საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მართვა (27 05 04 01)	-	4,931	3,106	3,094	62.7%	99.6%
იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა (27 06 03)	93,400	148,400	107,796	107,663	72.5%	99.9%
საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (28 01 02)	7,300	7,300	4,965	4,961	68.0%	99.9%
სოციალური უზრუნველყოფა (29 03 02)	28,000	28,000	11,668	11,668	41.7%	100.0%
მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა (31 02 04)	9,000	9,000	4,806	4,802	53.4%	99.9%
ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (31 03 03)	12,000	12,000	9,484	9,452	78.8%	99.7%

ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება (31 04 03)	1,500	1,500	1,080	1,072	71.5%	99.3%
აგროდაზღვევა (31 05 03)	12,000	12,000	8,486	8,486	70.7%	100.0%
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება (31 05 09)	3,500	3,500	1,883	1,882	53.8%	100.0%
პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“ (32 02 11)	59,150	59,150	40,224	40,224	68.0%	100.0%
პროფესიული უნარების განვითარება (32 03 02)	9,251	9,251	6,965	6,939	75.0%	99.6%
ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისა და თანამემამულის სტატუსის მქონე პირების უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (32 04 02 04)	2,500	2,500	1,812	1,812	72.5%	100.0%
პროგრამა „ცოდნის კარი“ (32 04 02 07)	1,000	1,000	623	623	62.3%	100.0%
საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (32 04 04)	7,038	7,038	4,374	4,369	62.1%	99.9%
სახელოვნებო და სასპორტო სფეროში უმაღლესი განათლება (33 02)	17,015	17,015	12,339	12,322	72.4%	99.9%
კულტურაში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (33 03 01 01)	23,000	23,000	12,189	12,164	52.9%	99.8%
სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი (33 04 02 01)	2,080	2,080	1,484	1,472	70.8%	99.2%
საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამულის (Leuville-sur-Orge) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ხარჯები (33 06 04)	3,500	3,500	993	890	25.4%	89.6%
მასობრივი სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (33 07 05)	3,000	3,080	1,769	1,760	57.1%	99.5%
ოლიმპიადასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება (33 07 19)	3,000	3,000	2,141	2,128	70.9%	99.4%
ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარება (33 08 02)	675	675	465	465	68.9%	100.0%

ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელსაც დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით ათვისების მაღალი მაჩვენებელი აქვს, თუმცა ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეპროგრამის „მარკეტინგული და იურიდიული კონსულტაციების ხარჯი“ (24 01 04) ასიგნებები ბიუჯეტის კანონით 4 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა. ათვისებულ იქნა 59 ათასი ლარი (დამტკიცებული გეგმის 1.5%). უწყების განმარტებით, თანხა გათვალისწინებული იყო საქართველოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის დარგის განვითარების, ენერგეტიკული და საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებისთვის, რომელიც ნაწილობრივ განხორციელდა პანდემიის შემდგომი

პერიოდისა და უკრაინაში მიმდინარე სამხარი მოქმედებების გამო. საყურადღებოა, რომ ქვეპროგრამა გასულ წლებშიც დაბალი ათვისების მაჩვენებლით ხასიათდებოდა.

ასევე, ქვეპროგრამას „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტი - საკრედიტო საგარანტიო სქემა (WB)“ (24 07 02 03 02) ბიუჯეტის კანონით დაფინანსება 20 მლნ ლარით განესაზღვრა. წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში ხარჯი არ გაწეულა. უწყების განმარტებით, ათვისებლობა განპირობებულია მსოფლიო ბანკის დადგენილი სტანდარტების დაგვიანებული დანერგვით გარემოსდაცვითი და შრომითი უსაფრთხოების მიმართულებით;

- *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქვეპროგრამაზე „C ჰეპატიტის მართვა“ (27 03 02 11)* ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 6.0 მლნ ლარი, ფაქტობრივად ათვისებული თანხის ოდენობამ კი 3.1 მლნ ლარი (გეგმის 52.4%) შეადგინა. უწყების განმარტებით, ათვისებლობის ძირითადი მიზეზი სკრინინგულ სერვისებზე მოსახლეობის დაბალი მომართვიანობაა. საყურადღებოა, რომ ანალოგიური მიზეზით აღნიშნული ქვეპროგრამის ათვისების მაჩვენებელი დაბალი იყო გასულ წლებშიც;
- *გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „აგროდაზღვევის“ (31 05 03)* ქვეპროგრამის დაფინანსება ბიუჯეტის საწყისი კანონით 12 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 2 მლნ ლარით აღემატება წინა წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამა ბოლო 3 წლის განმავლობაში დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით დაბალი ათვისებით ხასიათდება. 2022 წელს ფაქტობრივად ათვისებული თანხების მოცულობამ 8.5 მლნ ლარი (დამტკიცებული გეგმის 70.7%) შეადგინა. ქვეპროგრამის ათვისება გარკვეულწილად დამოკიდებულია ბენეფიციართა აქტიუობაზე და სადაზღვევო კომპანიების პირობებზე, თუმცა ბოლო წლების ტენდენციების გათვალისწინებლობა დაგეგმვის ხარვეზზე მიუთითებს.

დანართი 3. საინვესტიციო პროექტების მართვა - მაგალითები

2021-2022 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონებით განსაზღვრული გეგმების მიმართ დაბალი ათვისების მქონე საინვესტიციო პროექტები.

პროექტის დასახელება	2022 წლის ათვისება (%)	2021 წლის ათვისება (%)
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის წიწამური-ჟინვალის მონაკვეთის მშენებლობა (25 02 03 16)	0.0%	0.0%
აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD, SIDA) (55 13 01)	0.0%	45.3%
კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (24 14 03 05)	6.5%	0.0%
ბათუმის ავტობუსების პროექტი (E5P, EBRD) (55 13 02)	10.7%	0.0%
აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW) (55 13 04)	18.9%	12.3%
500 კვ ეგზ-ის „ქსანი-სტეფანწმინდა“ მშენებლობა (EBRD, EU, KfW) (24 14 02 01)	22.2%	46.2%
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (ADB) (25 02 02 13)	36.8%	63.0%
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები (25 03 01)	56.1%	73.0%
რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) (25 03 03)	61.3%	74.8%
ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია (EIB) (25 02 03 13)	61.4%	9.9%
იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (25 06 01)	72.5%	74.3%

სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებით 80%-ზე ნაკლები ათვისების მქონე საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები - 2022 წ. (ათასი ლარი). მონაცემები დალაგებულია ათვისების მაჩვენებლის ზრდადობის მიხედვით.¹⁷¹

პროექტის დასახელება	ბიუჯეტის კანონი - გეგმა (1)	ფაქტი (2)	(2/1) (%)
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტი - საკრედიტო საგარანტიო სქემა (WB) (24 07 02 03 02)	20,000	-	0.0%
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის წიწამური-ჟინვალის მონაკვეთის მშენებლობა (25 02 03 16)	2,000	-	0.0%
ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტებში (25 07 04)	5,000	-	0.0%
აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD, SIDA) (55 13 01)	1,400	-	0.0%
თბილისის ავტობუსების პროექტი (ფაზა II) (EBRD) (55 13 06)	17,750	-	0.0%
COVID-19-ის ვაქცინის მხარდამჭერი პროექტი აზია-წყნარი ოკეანეთის ვაქცინის ხელმისაწვდომობის ფარგლებში - სწრაფი რეაგირების კომპონენტი (ADB) (27 03 03 10 03 01)	5,000	34	0.7%
თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (EBRD) (55 13 03 02)	17,500	359	2.0%
საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის პროექტი (ეროვნული ბანკის კომპონენტი) (WB) (55 13 10)	5,000	118	2.4%
კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (24 14 03 05)	10,500	687	6.5%
ბათუმის ავტობუსების პროექტი (E5P, EBRD) (55 13 02)	1,000	107	10.7%
აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW) (55 13 04)	35,000	6,615	18.9%
მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA) (IFAD) (31 05 11 01 01)	21,700	4,152	19.1%
საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (ADB) (25 03 07 02)	2,000	398	19.9%
საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ADB) (55 13 05)	10,000	2,182	21.8%
500 კვ ეგზ-ის "ქსანი-სტეფანწმინდა" მშენებლობა (EBRD, EU, KfW) (24 14 02 01)	5,300	1,179	22.2%
მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა (ADB) (25 02 03 11)	10,000	3,086	30.9%
ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (25 03 08)	350	115	32.9%
ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (25 02 02 08)	80,000	26,800	33.5%
ზემო იმერეთი (საჩხერე) - რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (25 02 02 09)	10,000	3,498	35.0%
220 კვ ხაზის „ახალციხე-ბათუმი“ მშენებლობა (WB) (24 14 01 01)	5,100	1,800	35.3%
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (ADB) (25 02 02 13)	10,000	3,681	36.8%
საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მხარდაჭერა covid19-ის პირობებში (GUMIP რეპროგრამირება) (EIB) (27 03 03 10 02)	45,000	17,115	38.0%

¹⁷¹ გეგმასთან შესადარისობის მიზნით ფაქტობრივი მაჩვენებელი არ მოიცავს მიზნობრივი გრანტებისა და პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვებს ფარგლებში განხორციელებულ გადახდებს ვინაიდან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახება მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ48-კმ64 გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა (EIB) (25 02 03 08)	83,000	35,028	42.2%
ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (ADB, AIIB) (25 02 03 02)	55,000	23,499	42.7%
თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) (32 10)	4,150	1,937	46.7%
ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 12)	40,000	18,981	47.5%
პროფესიული განათლება I (KfW) (32 09)	4,213	2,009	47.7%
ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF) (24 13)	5,500	2,652	48.2%
თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ22-კმ57 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა (EIB) (25 02 03 12)	4,000	1,930	48.2%
ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD) (25 07 03)	5,000	2,525	50.5%
შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (WB) (25 02 02 11)	40,000	22,361	55.9%
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები (25 03 01)	150,000	84,096	56.1%
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის მონაკვეთის მშენებლობა (ADB) (25 02 03 10)	15,000	8,898	59.3%
ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB) (31 06 03)	30,000	18,392	61.3%
რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) (25 03 03)	80,000	49,066	61.3%
ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია (EIB) (25 02 03 13)	4,000	2,455	61.4%
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიური-რიკოთი) (EIB, WB) (25 02 03 01)	80,000	50,744	63.4%
ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი (EU, KfW) (25 05 02)	1,100	715	65.0%
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჭინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა (25 02 03 14)	100,000	68,293	68.3%
საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (WB) (24 12)	11,620	7,967	68.6%
ხელედულა-ლაჯანური-ონი (KfW) (24 14 03 06)	10,000	6,890	68.9%
მდინარე დებედაზე ხიდის მშენებლობა (EBRD) (25 02 02 14)	6,800	4,701	69.1%
გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (24 14 03 04)	13,000	9,235	71.0%
იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (25 06 01)	12,000	8,701	72.5%
თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB, WB) (25 02 03 04)	80,000	62,935	78.7%

სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებით 120%-ზე მაღალი ათვისების მქონე საინვესტიციო პროექტები - 2022 წ. (ათასი ლარი). მონაცემები დალაგებულია ათვისების მაჩვენებლის ზრდადობის მიხედვით.¹⁷²

პროექტის დასახელება	ბიუჯეტის კანონი - გეგმა (1)	ფაქტი (2)	(2/1) (%)
თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის უბისა შორაპნის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB) (25 02 03 06)	200,000	241,787	120.9%
მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა (ADB, EBRD) (25 02 03 09)	185,000	226,854	122.6%
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტი - პროგრამები (WB) (24 07 02 03 01)	25,000	31,293	125.2%
თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ხევი უბისას მონაკვეთის რეკონსტრუქცია - მშენებლობა (ADB) (25 02 03 05)	165,000	224,667	136.2%
სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა (EIB, EU) (25 02 03 03)	80,000	118,178	147.7%
საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB) (25 03 05)	6,200	9,363	151.0%
განახლებული რეგიონების პროგრამა (25 03 02)	167,980	281,109	167.3%
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიურის მონაკვეთის მშენებლობა (WB) (25 02 03 15)	4,000	10,615	265.4%
მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (ADB) (25 03 09)	150	1,826	1,217.3%

2022 წელს დაბალი ათვისების მქონე საინვესტიციო პროექტებზე, სესხის აუთვისებელ ნაწილზე, გადახდილი ვალდებულებების გადასახადი (ათასი ლარი).

პროექტის დასახელება	ბიუჯეტის საბოლოო კანონი (1)	ფაქტი (2)	(2)/(1) %	გადახდილი ვალდებულე ბის გადასახადი
თბილისის ავტობუსების პროექტი (ფაზა II) (EBRD) (55 13 06)	15,000	0	0.0%	351
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტი - საკრედიტო საგარანტიო სქემა (WB) (24 07 02 03 02) და საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის პროექტი (ეროვნული ბანკის კომპონენტი) (WB) (55 13 10)	25,000	118	0.5%	707
თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (EBRD) (55 13 03 02)	15,000	359	2.4%	103
ბათუმის ავტობუსების პროექტი (E5P, EBRD) (55 13 02)	1,000	107	10.7%	4
აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW) (55 13 04)	23,000	3,588	15.6%	279
ხელედულა-ლაჯანური-ონი (KfW) (24 14 03 06) და გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (24 14 03 04)	11,000	4,125	37.5%	866
შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (WB) (25 02 02 11)	40,000	22,300	55.7%	78
ჯამური მაჩვენებელი	130,000	30,596	23.5%	2,388

¹⁷² გეგმასთან შესადარისობის მიზნით ფაქტობრივი მაჩვენებელი არ მოიცავს მიზნობრივი გრანტებისა და პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვებს ფარგლებში განხორციელებულ გადახდებს ვინაიდან მათ არ გააჩნიათ გეგმური მაჩვენებელი და აისახება მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში (საკასო ხარჯში).

1. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის დაგეგმვის ეტაპზე არსებული ხარვეზები, მათ შორის, პროექტთან დაკავშირებული გარემოებების არასათანადო შესწავლა / გაუთვალისწინებლობა, რაც შემდგომში იწვევს მასში ცვლილებების განხორციელების საჭიროებას. ასევე, პროექტის მიმდინარეობისას დამატებითი კვლევების ჩატარება საჭიროება, რაც აისახება პროექტის განხორციელების პროცესზე.

- კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (24 14 03 05) (გეგმა - 10.5 მლნ ლარი, ფაქტი - 687 ათასი ლარი (გეგმის 6.5%)) - დაბალი ათვისება გამოწვეულია პროექტის ფარგლებში თელავი-გურჯაანი-ქინვალის მიმართულებაზე ტენდერის შეჩერებით, ვინაიდან რეგიონში მზარდი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების, სოციალური და გარემოს დაცვის კუთხით არსებული შენიშვნების გათვალისწინებით, საჭირო გახდა ახალი მარშრუტების მოძიება. პროექტი ამ ეტაპზე შეჩერებულია, რადგან ვერ ხერხდება საბოლოო მარშრუტის დადასტურება;
- ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (25 02 02 08) (გეგმა - 80 მლნ ლარი; ფაქტი - 27 მლნ ლარი (გეგმის 33%)) - აბასთუმნის შემოვლითი გზის (ლოტი 2 და ლოტი 3) სამუშაოები მიმდინარეობდა კურორტ აბასთუმნის სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად, რის გამოც შეუძლებელი გახდა მძიმე ტექნიკის გადაადგილება. ასევე, აბასთუმნის შემოვლითი გზის (ლოტი 1 და ლოტი 2) მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოებიდან გამოტანილი გრუნტის განთავსებისათვის სანაყარო ადგილების განსაზღვრამ და შესაბამისი ნებართვების მოპოვებამ გამოიწვია გვირაბის გაჭრის სამუშაოების გახანგრძლივება, რაც წარმოადგენდა ობიექტამდე მისასვლელ ერთადერთ გზას;
- საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მხარდაჭერა COVID 19-ის პირობებში (GUMIP რეპროგრამირება) (EIB) (27 03 03 10 02) (გეგმა - 45 მლნ ლარი, ფაქტი - 17 მლნ ლარი (გეგმის 38%)) - პროგრამის ფარგლებში 2022 წელს უნდა მომხდარიყო 70 ერთეული სასწრაფო დახმარების ავტომობილის შესყიდვა, თუმცა ბენეფიციარი ორგანიზაციის მიერ საჭიროებები ხელახლა შეფასდა, რის გამოც შეწყდა არსებული და გამოცხადდა ახალი ტენდერი გაზრდილ რაოდენობაზე. ასევე, 2022 წელს დაგეგმილი იყო პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ბენეფიციარი კლინიკების აღჭურვასთან დაკავშირებული ტექნიკის შესყიდვა, თუმცა აღნიშნული ტექნიკის სპეციფიკაციების გათვალისწინებით, გახანგრძლივდა ტექნიკური დავალების მომზადება/მოწოდების პროცესი და შესაბამისად, შესყიდვისა და ანგარიშსწორების განხორციელება ვერ მოხერხდა 2022 წელს;
- ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 12) (გეგმა - 40 მლნ ლარი, ფაქტი - 19 მლნ ლარი (გეგმის 48%)) - ობიექტი მდებარეობს აჭარის მაღალმთიან რეგიონში, რომელიც გამოირჩევა რთული ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, რამაც გარკვეულწილად ზემოქმედება მოახდინა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესზე. გარდა ამისა, რელიეფი ხასიათდება მეწყრული უბნებით, მრავლადაა გრუნტის წყლები, რამაც პროექტის განხორციელების პროცესში წარმოქმნა საინჟინრო კვლევის ჩატარების საჭიროება დამატებით უბნებზე.

2. კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამუშაოების არაჯეროვანი შესრულება (მათ შორის, მოსამზადებელი კვლევების/დოკუმენტაციისა თუ სამუშაოების დაგვიანებით ან/და შეფერხებით შესრულება), რაც ცალკეულ შემთხვევებში, იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას და საბოლოოდ, აფერხებს პროექტების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განხორციელებას.

- გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (24 14 03 04) (გეგმა - 13 მლნ ლარი, ფაქტი - 9.2 მლნ ლარი (გეგმის 71%)) - ქვესადგური „ოზურგეთის“ პროექტის ფარგლებში 2022 წელს ვერ მოხერხდა გარკვეული მასალების მიწოდება, ვინაიდან კონტრაქტორმა კომპანიამ დაგვიანებით მოამზადა პროექტის დეტალური დიზაინი (2022 წლის ოქტომბერში), ამასთან, მიმდინარეობდა სამშენებლო ნებართვების მოპოვებისა (ნებართვა მიღებულ იქნა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) და განსახლების პროცედურები;
- სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ48-კმ64 გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა (EIB) (25 02 03 08) (გეგმა - 83 მლნ ლარი, ფაქტი - 35 მლნ ლარი, (გეგმის 42%)) - კონტრაქტორ კომპანიას შეექმნა ფინანსური პრობლემები, რის გამოც სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა დაბალი ტემპით, რამაც განაპირობა გამოყოფილი ასიგნებების აუთვისებლობა;
- ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD) (25 07 03) (გეგმა - 5 მლნ ლარი, ფაქტი - 2.5 მლნ ლარი (გეგმის 50%)) - დაგეგმილი ბიუჯეტი გაწერილია საპროექტო სამუშაოებზე, რომლის მომზადება გაჭიანურდა დროში კონტრაქტორი კომპანიის მიერ უხარისხოდ მომზადებული დოკუმენტაციის გამო. კომპანიამ ვერ მოახერხა დაკორექტირებული დოკუმენტაციის

დროულად ჩაბარება, შესაბამისად, სამინისტრომ არ განახორციელა დაგეგმილი თანხის სრულად ანაზღაურება;

- შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (WB) (25 02 02 11) (გეგმა - 40 მლნ ლარი, ფაქტი - 22 მლნ ლარი (გეგმის 56%)) - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ჩოხატაური-ბახმაროს ს/გზის კმ34-კმ50 მონაკვეთზე კონტრაქტორ კომპანიასთან შეწყდა ხელშეკრულება, ხოლო საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის ს/გზის კმ35-კმ43 და კმ54-კმ67 მონაკვეთებზე სამუშაოები მიმდინარეობდა შეფერხებებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებით.

3. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ტენდერის ჩაშლა, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს შესაბამისი პრეტენდენტების არარსებობით ან/და მათ მიერ შემოთავაზებული წინადადებების გადაჭარბებით სატენდერო ღირებულებაზე. ამასთან, ცალკეული პროექტების შემთხვევაში ჭიანჭურდება მოსახლეობასთან მიწის გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, რაც შესაბამისად აჭიანჭურებს პროექტების მიმდინარეობის პროცესს.

- რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) (25 03 03) (გეგმა - 80 მლნ ლარი, ფაქტი - 49 მლნ ლარი (გეგმის 61%)) - პროექტის ფარგლებში გამოცხადებული ორი ტენდერი, ღირებულებით 36 მლნ ლარი, დასრულებულია უარყოფითი შედეგით. კერძოდ, ერთ შემთხვევაში ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააკმაყოფილა სატენდერო მოთხოვნები, ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლოდ ორი პრეტენდენტი მონაწილეობდა ტენდერში;¹⁷³
- ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გაუმჯობესება (AFD, EU) (25 04 04) (გეგმა - 25 მლნ ლარი, ფაქტი - 0 ლარი (პროექტი შეჩერდა 2022 წელს)) - მიმდინარე ტენდერის¹⁷⁴ ფარგლებში გამოვლენილი პოტენციური გამარჯვებული პრეტენდენტის ფასი არსებითად აღემატებოდა დონორთან შეთანხმებულ პროექტის საორიენტაციო ღირებულებას, რის გამოც დონორთან შეთანხმებით, მოლაპარაკებები გაიმართა პრეტენდენტთან, რაც 3 თვე გაგრძელდა. აღნიშნულის გამო 2022 წელს ვერ მოხდა დაგეგმილი თანხის ათვისება;
- თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) სავტომობილო გზის კმ22-კმ57 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა (EIB) (25 02 03 12) (გეგმა - 4 მლნ ლარი, ფაქტი - 1.9 მლნ ლარი (გეგმის 48%)) - 2019 წელს მომზადებულ განსახლების გეგმაში ქონების საბაზრო ღირებულება წარმოდგენილი იყო იმ დროისათვის არსებული მონაცემებით. 2022 წელს, შეთავაზებების გაგზავნის შემდეგ მოსახლეობამ გამოთქვა პრეტენზია ქონების ღირებულებაზე. დონორის პოლიტიკის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უძრავი ქონების გადაფასებაზე. მიწის ნაკვეთების გადაფასების პროცედურა დასრულდა 2022 წლის ივლისში, რის შემდეგაც გაგრძელდა შესაბამისი პროცედურები.

¹⁷³ ტენდერი ჩატარდა დონორი ორგანიზაციის პროცედურების გათვალისწინებით.

¹⁷⁴ ტენდერი ჩატარდა დონორი ორგანიზაციის პროცედურების გათვალისწინებით.

დანართი 4. პროგრამული ბიუჯეტირება - მაგალითები

1. ზოგიერთ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღწევი კონკრეტული მიზანი ან მიზნობრივი მაჩვენებელი არ აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც ანგარიშგების ეტაპზე ართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას:
• „ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია“ (23 03) პროგრამის შედეგების შეფასების ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელია „საფინანსო სფეროში დანაშაულის დონის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა“, რაც ზოგადია და არ მოიცავს კონკრეტულ, გაზომვად მიზნობრივ ნიშნულს; • „საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა“ (25 02 02) ქვეპროგრამის მიზნობრივი მაჩვენებელია „განათებული საავტომობილო გზები; გამოკვლეული-გამოცდილი სახიდე გადასასვლელები; გვირაბების ოპტიმალური ფუნქციონირება; საერთაშორისო საფოსტო გზავნილების, საერთაშორისო ტენდერების გამოცხადების მომსახურების შეუფერხებელი უზრუნველყოფა; უცხოური სახსრებით შეძენილი სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მოწყობილობების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება და ა.შ.“. ქვეპროგრამას არ გააჩნია კონკრეტული, რაოდენობრივად გამოხატული სამიზნე მაჩვენებლები, რაც ანგარიშგების ეტაპზე უზრუნველყოფდა მიღწეული შედეგების გაზომვას; • „პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ (26 02 03) ქვეპროგრამის როგორც მიზნობრივ, ასევე მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორს „პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება წარმოადგენს“. აღნიშნულის გათვალისწინებით ვერ ხერხდება წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღწეული კონკრეტული შედეგის შეფასება; • „სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები“ (32 05 02) ქვეპროგრამის მიზნობრივი მაჩვენებელია „გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა და ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; ჩატარებული კვლევების და ღონისძიებების რაოდენობა და ა.შ.“. ინდიკატორი არ მოიცავს გაზომვად მიზნობრივ ნიშნულს.
2. ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში სრულად არ ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება ან შედეგების შეფასება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებით:
• „ეპიდზედამხედველობა“ (27 03 02 03) ქვეპროგრამის ერთ-ერთ მიზნობრივ მაჩვენებლად განსაზღვრულია „მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობა (როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ ინფექციებზე) დამყარებულია ქ. თბილისის არანაკლებ 2 ბავშვთა საავადმყოფოსა და დამატებით 1 ქალაქის ბაზაზე“. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში მიღწეულ მაჩვენებლად წარმოდგენილია „გაიზარდა მწვავე დიარეულ დაავადებებზე ზედამხედველობაში ჩართული დაწესებულებების რაოდენობა“, თუმცა დაწესებულებების გეოგრაფიული განაწილებისა თუ რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მოცემული არ არის; • „პროფესიული სამხედრო განათლების“ (29 02) პროგრამის ერთ-ერთი მიზნობრივი მაჩვენებელია „თავდაცვის სისტემის მოსამსახურეთა მომზადება/გადამზადების მიზნით განხორციელებული სასწავლო კურსების მინიმუმ საბაზისო მაჩვენებლის (470) დონეზე შენარჩუნება“. მიღწეულ მაჩვენებელში კი წარმოდგენილია ინფორმაცია აღნიშნულ კურსებში გადამზადებული ადამიანების შესახებ - „სასწავლო კურსების ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადებულია 434 სამოქალაქო პირი და 7,131 სამხედრო მოსამსახურე“. შედეგების მოცემული ფორმა არ იძლევა ინფორმაციას მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევის თაობაზე; • „გამოცდების ორგანიზება“ (32 04 01) ქვეპროგრამის ერთ-ერთი მიზნობრივი მაჩვენებელია „შეფასება განვითარებისთვის“ ფარგლებში ელექტრონულ შეფასებაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობის გაზრდა (საბაზისო მაჩვენებელი - 18,000-ზე მეტი მოსწავლე)“. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი მიღწეული მაჩვენებელი მხოლოდ აღნიშნული ელექტრონული შეფასების მე-4 და მე-6 კლასებში ჩატარებას ადასტურებს და არ მოიცავს ინფორმაციას შეფასებაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობის შესახებ. შედეგად, ვერ ხერხდება იმის დადგენა რამდენად მიაღწია უწყებამ მიზნობრივ მაჩვენებელს.

3. ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში მიღწეული შედეგების წარმოდგენა ხდება დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ მაჩვენებლებთან შეუსაბამოდ, განსხვავებული სახით/ფორმატით, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის დაგეგმილი და მიღწეული შედეგების ერთმანეთთან შედარებას:
• ქვეპროგრამის „იმუნიზაცია“ (27 03 02 02) ერთ-ერთი სამიზნე მაჩვენებელია „გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციით მაღალი რისკის ჯგუფებისა და მათი მიზნობრივი პოპულაციის მოცვის არანაკლებ 99%-იანი მაჩვენებელი“. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი მიღწეული მაჩვენებელი კი მოცემულია ნომინალურ გამოსახულებაში - „2022 წლის განმავლობაში აცრილია 198,200 პირი“; • „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის“ (32 02 02) ქვეპროგრამის მიზნობრივი მაჩვენებელია „არაქართულენოვანი სკოლების 90%-ის ქართული როგორც მეორე ენის, კონსულტანტ-მასწავლებლითა და დამხმარე მასწავლებლით უზრუნველყოფა“. მიღწეული მაჩვენებლის მიხედვით, „ეროვნული უმცირესობების კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დეფიციტის შევსების მიზნით განაწილებულია 251 კონსულტანტი და დამხმარე მასწავლებელი“. შესაბამისად, ვერ ხერხდება იმის დადგენა რამდენად იქნა მიღწეული მიზნობრივი მაჩვენებელი. ანალოგიურად, „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (32 07) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო „საჯარო სკოლების 90% შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და სხვადასხვა საჭირო ინვენტარით აღჭურვა“. თუმცა მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილია ნომინალურ გამოსახულებაში - „სხვადასხვა ინვენტარით, ავეჯით, კომპიუტერული ტექნიკითა და პროექტორებით აღჭურვილია 1,200-მდე სკოლა, დარიგებულია 870 ერთეული სამედიცინო კომპლექტი; 4 საჯარო სკოლისთვის შეძენილი და გადაცემულია რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიები“; • „კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ (33 05) პროგრამის მიზნობრივი მაჩვენებელია „კულტურული ღონისძიებების რაოდენობის მინიმუმ 2%-იანი ზრდა“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კონკრეტული საბაზისო მაჩვენებელი განსაზღვრული არაა. შესაბამისად, მიღწეული შედეგი „განხორციელებულია 9,300-მდე აქტივობა“, არ იძლევა საშუალებას დადგინდეს რამდენად იქნა შესრულებული დაგეგმილი მაჩვენებელი.
4. გარკვეული პროგრამების შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე ან მოცემული განმარტება ზოგადი ხასიათისაა და ართულებს გადახრის გამოძივები მიზეზების დადგენას:
• „ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური სრულყოფა“ (23 04) პროგრამის ერთ-ერთი მიზნობრივი მაჩვენებელია „წელიწადში არაუმეტეს 500 ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტი“. მიღწეული შედეგის მიხედვით, 2022 წელს დაფიქსირდა 2,876 ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტი. დაგეგმილ და მიღწეულ შედეგს შორის განსხვავებაზე განმარტება წარმოდგენილი არ არის; • „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება“ (26 04) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო ტრენინგების, ტესტირებების, პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების პროგრამების განხორციელება წინასწარ განსაზღვრულ ბენეფიციართა კონკრეტული რაოდენობის დაფარვის მიზნით. მიღწეული შედეგების შესაფასებლად განსაზღვრულია 3 ინდიკატორი, რომელთა დაგეგმილ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის ცდომილება შესაბამისად, 37%-ს, 51%-სა და 136%-ს შეადგენს. არც ერთ შემთხვევაში აღნიშნული ცდომილების გამოძივები მიზეზების შესახებ განმარტება წარმოდგენილი არ არის; • „სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება“ (29 07) პროგრამის ინდიკატორები სამეცნიერო კვლევითი პროექტების, სამეცნიერო ნაშრომების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეთა რაოდენობებს ზომავს. აღნიშნული ინდიკატორების დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის ცდომილებები 192%-ს, 17%-სა და 314%-ს შეადგენს (ადგილი აქვს მიზნობრივ მაჩვენებლებზე გადაჭარბებას), თუმცა განმარტებები შესაბამისი მიზეზების შესახებ წარმოდგენილი არ არის; • დაგეგმილ და მიღწეულ მიზნობრივ მაჩვენებლებს შორის განსხვავებით ხასიათდებიან „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (33 03), „სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა“ (33 04), „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა“ (33 06), „მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია“ (33 07)

პროგრამების ინდიკატორები. მიუხედავად ამისა, განსხვავებების შესახებ განმარტებები ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი არ არის.

დანართი 5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების შესახებ მოხსენებებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

N	რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	სტატუსი	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომენტარი
	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მოხსენებაში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა				
1	მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ „ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში“ წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია სახელმწიფოს მიმართ არსებული სამართლებრივი დავებიდან მომდინარე რისკებისა და ფისკალურ პარამეტრებზე მათი პოტენციური გავლენის შესახებ.	2022 წელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შესრულებული	2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ დოკუმენტში აისახა აღნიშნული წყაროდან მომდინარე რისკებთან დაკავშირებული საკითხები.
2	მიზანშეწონილია, კაპიტალური პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ მეთოდოლოგიით განსაზღვრული პერიოდული ანგარიშების მომზადება და მათი წარმოდგენა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებთან ერთად.	2022 – 2025 წლები	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მიმდინარე	
3	მნიშვნელოვანია, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს საგარეო საკრედიტო წყაროებიდან მობილიზებული რესურსის გადასახდების პოლიტიკა/პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აისახება გადასახდების პროცესის სრული ციკლი და შესაბამისად, უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას აღნიშნული პროცესის თითოეული ეტაპისთვის.		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მიმდინარე	
4	მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს მიდგომა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია: • საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების პორტფელის მდგომარეობის შესახებ; • წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო საწარმოებზე მიმართული დაფინანსების მოცულობისა და მიზნობრიობის შესახებ.	2023 წელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მიმდინარე	
5	მიზანშეწონილია, ფორმალურად დამტკიცდეს პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.		საქართველოს მთავრობა	მიმდინარე	

	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მოხსენებაში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა				
1	მაკროეკონომიკური ინდიკატორების ფისკალურ პარამეტრებზე ფაქტობრივი გავლენის შეფასების მიზნით, მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავდეს ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იდენტიფიცირებული ფისკალური რისკების მატერიალიზაციის შესახებ ინფორმაციას და მათ საპასუხოდ გატარებული პოლიტიკის პასუხების ანალიზს.		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შესრულებელი	რისკების რეალიზების მდგომარეობის შუალედური ანალიზი ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად (2022 წლის 8 თვის მონაცემებზე დაყრდნობით). სრული წლის ჭრილში რისკების მატერიალიზაციის შესახებ ანგარიშგება არ მომხდარა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში. ასევე, რისკების რეალიზების საპასუხო ფისკალური პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი არ არის.
2	საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს: „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის“ დოკუმენტის დროულად განახლება და მასში საშუალოვადიან პერიოდში ვალის მართვასთან დაკავშირებით მთავრობის ხედვის ასახვა; - ვალის მდგრადობის ანალიზის დოკუმენტში ყველა შესაბამისი მაჩვენებლის სრულყოფილად წარმოდგენა და მთავრობის ვალის ნაშთთან ერთად, სხვა იდენტიფიცირებული პირდაპირი და პირობითი ვალდებულებების ასახვა.		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ნაწილობრივ შესრულებული	საქართველოს მთავრობის მიერ 2021 წლის 31 დეკემბრის № 2430 განკარგულებით მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2022-2025 წლებისთვის. სტრატეგიის განახლება განხორციელდა 2023 წლის იანვარში. „ვალის მდგრადობის ანალიზის“ დოკუმენტში ყველა შესაბამისი მაჩვენებლის სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით მიმდინარეობს თანამშრომლობა IMF-თან.
3	ფისკალური ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს გეგმა, რომელშიც კონკრეტული ღონისძიებების/მიდგომების დონეზე ასახული იქნება ინფორმაცია, სხვადასხვა სცენარის განვითარების შემთხვევაში ვალის წესისა და ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლების „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილ ზღვრებში დაბრუნების შესახებ.	2020 – 2023 წლები	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შესრულებული	2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი იქნა ხედვა ფისკალური წესების ლიმიტის ფარგლებში დაბრუნებასთან დაკავშირებით. 2022 წლის ბოლოს ორივე ფისკალური წესი ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული ნიშნულის ფარგლებში დაბრუნდა.
4	მიზანშეწონილია, შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მხარჯავი დაწესებულებების მიერ პროექტების კაპიტალურად კლასიფიკაციის პროცესზე ზედამხედველობას, რაც ერთი მხრივ, განაპირობებს მათ განხორციელებას „კაპიტალური	2020 – 2023 წლები	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მიმდინარე	

	პროექტების მართვის გზამკვლევისა“ და „კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს კაპიტალური პროექტების დანართში პროექტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენას.				
5	მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, მოხდეს კაპიტალური პროექტების დანართის განახლება აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით.		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შესაბამისი განმახორციელებელი უწყებები	შესრულებელი	2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ორი ცვლილების შედეგად კაპიტალური პროექტების მნიშვნელოვან ნაწილს შეეცვალა დაფინანსება. მიუხედავად ამისა, არ მომხდარა ბიუჯეტის კანონის „კაპიტალური პროექტების დანართის“ განახლება.
6	მიზანშეწონილია, შემუშავდეს მექანიზმი/მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსავლების რეალისტური გეგმური მაჩვენებლების განსაზღვრას, მათ შორის გასული წლების ტენდენციების გათვალისწინებით.		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შესაბამისი განმახორციელებელი უწყებები	მიმდინარე	
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მოხსენებაში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა					
1	მაკროეკონომიკური პროგნოზების გაუმჯობესებისა და მაკროეკონომიკური ინდიკატორების ფისკალურ პარამეტრებზე ფაქტობრივი გავლენის შეფასების მიზნით, მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავდეს: - სხვადასხვა წლებში განსაზღვრული მაკროეკონომიკური პროგნოზების რეალისტურობის შეფასებასა და ფაქტობრივი მაჩვენებლებიდან გადახრების გამომწვევი მიზეზების დეტალურ ანალიზს; - ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრული რისკების მატერიალიზაციისა და მათ საპასუხოდ განხორციელებული პოლიტიკის პასუხების ანალიზს.	- მიმდინარე 2020-2021 წლები	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ნაწილობრივ შესრულებული	2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილებების გამომწვევი მიზეზები; რისკების რეალიზების მდგომარეობის შუალედური ანალიზი ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად (2022 წლის 8 თვის მონაცემებზე დაყრდნობით). სრული წლის ჭრილში რისკების მატერიალიზაციის შესახებ ანგარიშგება არ მომხდარა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში. ასევე, რისკების რეალიზების საპასუხო ფისკალური პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი არ არის.

2	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, სამთავრობო სექტორის ვალის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წარდგენისა და მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ფინანსთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს: • მთავრობის ვალში მუნიციპალიტეტებისა და სსიპ-ების ვალდებულებების ასახვა; • ვალის წესის გაანგარიშებისას მთავრობის ვალის ნაშთთან ერთად „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებით გათვალისწინება; • სახელმწიფო საწარმოების დაკლასიფიცირება სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის საწარმოებად; • სამთავრობო სექტორში მოხვედრილი საწარმოების ვალდებულებების ასახვა მთავრობის ვალის მოცულობაში; • ისტორიულ ვალში შემავალი კომპონენტების დაფარვის შესაბამისი კრიტერიუმების/პროცედურების განსაზღვრა.	• მიმდინარე • 2020 წელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ნაწილობრივ შესრულებული	მთავრობის ვალში აისახება მუნიციპალიტეტებისა და სსიპ-ების ვალდებულებები. ასევე, ვალის წესის მაჩვენებლის გაანგარიშებაში გათვალისწინებულია „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება. ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის N45 ბრძანებით დამტკიცდა საწარმოთა სექტორიზაციის რეესტრი, რომლითაც სახელმწიფო საწარმოები კლასიფიცირდა სამთავრობო და სახელმწიფო კორპორაციების სექტორისთვის მიკუთვნებულ საწარმოებად. 2022 წლის დეკემბერში საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, მთავრობის ვალის გაანგარიშების მიზნებისთვის სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოები განიხილება როგორც საბიუჯეტო ორგანიზაცია. შესაბამისად, მათი ვალდებულებები გაითვალისწინება მთავრობის ვალში. თუმცა, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში მთავრობის ვალის ნაშთში საწარმოების ვალების ასახვა არ მომხდარა.
3	მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის სსიპ/ა(ა)იპ-ების ნაერთი ბალანსის დოკუმენტში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ინდივიდუალური სსიპ/ა(ა)იპ-ის მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ, მათი ფორმირების წყაროების მიხედვით.		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შესრულებული	2022 წლის სსიპ/ა(ა)იპ-ების ნაერთი ბალანსის დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ინდივიდუალური სსიპ/ა(ა)იპ-ის შემოსულობების/გადასახდელების შესახებ, მათი ფორმირების წყაროების მიხედვით.
4	შესაბამის უწყებებთან კოორდინაციის საფუძველზე, ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს სსიპ/ა(ა)იპ-ების ნაერთი ბალანსის დოკუმენტში ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ოდენობების შესახებ დასაქმების ტიპების მიხედვით ინფორმაციის წარმოდგენა, რაც შესაძლებელს გახდის სხვადასხვა ფუნქციის მქონე თანამშრომლების რაოდენობების კანონმდებლობით განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობის ანგარიშგებას.		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შესრულებული	2022 წლის სსიპ/ა(ა)იპ-ების ნაერთი ბალანსის დოკუმენტში არ მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობების შესახებ დასაქმების ტიპების მიხედვით.

5	მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების შესახებ, ასევე მოიცავდეს განახლებულ ინფორმაციას გასულ პერიოდებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ.	2021 წელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებები	შეუსრულებელი	2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წლიური ანგარიში მოიცავს ინფორმაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ. დოკუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას გასულ პერიოდებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობაზე.
---	---	-----------	--	--------------	---

დანართი 6. „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ძირითადი მიმართულებით დაგეგმილი შედეგების და ინდიკატორების მიღწევის დამოუკიდებელი ვერიფიკაციის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

**„საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ძირითადი
მიმართულებით დაგეგმილი შედეგების და ინდიკატორების მიღწევის
დამოუკიდებელი ვერიფიკაციის ანგარიში**

თბილისი

2023

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (შემდგომ – სას) ჩაატარა „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ (შემდგომ – პროგრამა) ვერიფიკაციის პროცედურა. პროგრამა მხარდაჭერილია რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მიერ. პროგრამის ერთ-ერთი განმახორციელებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო). ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს პროგრამის პირველი წლის ათვისებასთან დაკავშირებული სამი ღონისძიების შედეგის (შემდგომ – DLR) შეფასებას, რომელიც განისაზღვრება DLR1.5.1-ისთვის 2022 წლის 17 ივნისიდან 2023 წლის 15 მარტამდე პერიოდით, ხოლო DLR3.1.1-სა და DLR3.2-ის შემთხვევაში – 2022 წლის 17 ივნისიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით.

ვერიფიკაციის პროცედურები ჩატარებულია პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ვერიფიკაციის პროტოკოლის შესაბამისად, რისთვისაც აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი მეთოდები:

- მარეგულირებელი ნორმების შესწავლა და ანალიზი;
- დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
- მონაცემთა ბაზების ანალიზი;
- პროგრამის მოსარგებლეების გამოკითხვა;
- ფიზიკური ინსპექტირება;
- გარე მხარეთა დადასტურება;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად, გამოვლენილი არაარსებითი ნაკლოვანებების გათვალისწინებით ჩვენ მივიღეთ რწმუნება, რომ „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ფარგლებში:

• DLR 1.5.1 სამინისტროს მიერ სამართლებრივი აქტის მიღების საფუძველზე, გათვალისწინებულია ახალი მეთოდოლოგიის პილოტირება და სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ფორმულის გადახედვა – **შესრულებულია სრულად, 2023 წლის 15 მარტის მდგომარეობით.**

• DLR 3.1.1 საქართველოს თითოეულ რეგიონში დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს რეგიონული ოფისის არსებობა, რომელიც დაკომპლექტებულია სათანადო პერსონალით და აღჭურვილია შესაბამისად – **2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგეგმილი აქტივობები შესრულებულია სრულად.** DLR 3.1.1-ის შესრულება დაგეგმილია 2026 წლისთვის.

• DLR 3.2 დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შრომის ბაზრის მიმდინარე პროგრამებში (ALMP) ჩართული მოწყვლადი უმუშევარი პირების რაოდენობის ზრდა – **2023 წლისთვის დაგეგმილი აქტივობები შესრულებულია სრულად**. DLR 3.2-ის შესრულება დაგეგმილია 2028 წლისთვის.

ცხრილი N1. ინფორმაცია ვერიფიკაციის პერიოდისათვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესრულების შესახებ

დასახელება	შესრულების სტატუსი
DLR 1.5.1	სრულად
DLR 3.1.1-ის 2022 წლის 31 დეკემბრით დაგეგმილი აქტივობები	სრულად
DLR 3.2-ის 2023 წლისთვის დაგეგმილი აქტივობები	სრულად

შესავალი

2022 წლის 30 მარტს საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის გაფორმდა სასესხო შეთანხმება „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამა“, რომელიც ეფექტური გახდა 2022 წლის 17 ივნისს. 2022 წლის 15 ნოემბერს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შორის გაფორმდა ჩარჩო შეთანხმება საკრედიტო რესურსის გამოყოფის თაობაზე, რომელიც ეფექტური გახდა 2023 წლის 4 აპრილს.

პროგრამა მოიცავს განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სექტორებს და მიზნად ისახავს საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარების მომსახურების მიწოდების ეფექტიანობის გაზრდას როგორც ფინანსური მექანიზმების, ისე ხარისხისა და ინკლუზიურობის გაძლიერების გზით.

ადამიანური კაპიტალის პროგრამის მისაღწევი შედეგებია:

- ადამიანური კაპიტალის დანახარჯების ეფექტიანობის ზრდა განათლების, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სექტორებში: პროგრამის შედეგი შედგება ზოგად განათლებასთან, ჰოსპიტალურ მოვლასთან, ფარმაცევტულ და მიზნობრივ სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული ქვეპროგრამებისაგან;
- ადამიანური კაპიტალის დანახარჯების ხარისხზე ინკლუზიურობის გაძლიერება განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სექტორებში ყველა ბენეფიციარისთვის. შედეგი აისახება განათლების ყველა საფეხურზე: როგორც სკოლამდელი, სასკოლო და უმაღლესი, ასევე

არაფორმალური განათლების (დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებისა და პროფესიული უნარების ტრენინგების) კუთხით. შედეგების სფერო მოიცავს მოსახლეობისთვის ჯანდაცვის უზრუნველყოფას, ფოკუსირებულია პირველად ჯანდაცვასა და ისეთ რეფორმებზე, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურად დაუცველი პირების უნარების განვითარებასა და შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობის გაზრდასთან;

- ციფრული სისტემების დაკავშირება ადამიანური კაპიტალის უზრუნველყოფის ყველა სფეროში განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სექტორებში. აქცენტი კეთდება ციფრული სერვისების განახლებასა და ადამიანური კაპიტალის მომსახურების მიწოდების სისტემის მომავალი შეფერხებების მიმართ პანდემიის შემდგომი პერიოდის მდგრადობისა და მოქნილობის გაზრდაზე.

ცხრილი N2. ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სათაური	საქართველოს ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამა
პროგრამის ID	P175455
ხელშეკრულება	– 2022 წლის 30 მარტს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკსა (IBRD) და საქართველოს შორის ხელმოწერილი სასესხო შეთანხმება 9349-GE; – 2022 წლის 15 ნოემბერს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს შორის ხელმოწერილი ჩარჩო ხელშეკრულება N° CGE 1041 01 Z et 04 C
პროგრამის დასრულების თარიღი	31 დეკემბერი, 2028 წელი

მსოფლიო ბანკი საქართველოში პირველად იყენებს დაფინანსების „შედეგზე ორიენტირებული პროგრამის“ ე.წ. PforR (Program for Results) ინსტრუმენტს, რაც გულისხმობს, რომ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების იმპლემენტაცია და მონიტორინგი სრულად დაეყრდნობა საჯარო მმართველობაში არსებულ ინსტიტუტებსა და სისტემებს.

პროგრამა შედგება ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული ოთხი ინდიკატორის (DLIs) კომპლექტისაგან და მოიცავს 27 DLR-ს, რომელიც განაწილებულია ზემოაღნიშნულ სამ სექტორს შორის. პროგრამის შესაბამისად, სესხის ათვისების ერთ-ერთი წინაპირობაა ათვისებასთან დაკავშირებული 27 ღონისძიების შესრულების დამოწმება ვერიფიკაციის გზით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური პროგრამის 27 ღონისძიებიდან, 14 ღონისძიების ვერიფიკატორია.

DLR-ების შესრულების ვერიფიკაცია

პროგრამის ათვისებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ვერიფიკაციის პროცედურები განსაზღვრულია პროგრამის შეფასების დოკუმენტით.

DLR 1.5.1

2023 წლის 15 მარტის მდგომარეობით დასადასტურებელი ღონისძიებების აღწერა, შესაბამისი ვერიფიკაციის პროტოკოლი და აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული ვერიფიკაციის პროცედურები შემდეგია:

აღწერა¹

DLR 1.5.1-ის მიზანია მიზნობრივი სოციალური დახმარების (შემდეგ – TSA) ბიუჯეტის თანასწორობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება, ცენტრალური მთავრობისა და მუნიციპალიტეტების მიერ გაუმჯობესებული მიზნობრივი ფორმულის გამოყენება, სიღარიბის მიზნობრივი შეღავათების დადგენა, პილოტირება და მისი დანერგვა ქვეყნის მასშტაბით. ახალი შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსი (შემდეგ – PMT) უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტულ მოწყვლადობას ქალებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, სოფლად მცხოვრებ ოჯახებთან დაკავშირებით. განახლებული PMT ფორმულა, რომელსაც გამოიყენებს მთავრობა და მუნიციპალიტეტები სიღარიბის მიზნობრივი შეღავათების ზღვრების დასადგენად, პილოტირდება მინიმუმ ოთხ შერჩეულ მუნიციპალიტეტში და დაინერგება ეროვნულ დონეზე.

DLR 1.5.1 მიღწეულად ითვლება, როდესაც გამოცემული იქნება მინისტრის ბრძანება, რომელიც დაადგენს განახლებული ფორმულის სატესტო მეთოდოლოგიის პროცესსა და ვადებს; ბრძანება უნდა მოიცავდეს PMT-ის განახლებულ ფორმულას, სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსის განსაზღვრის ზღვრებსა და საპილოტე მუნიციპალიტეტების ჩამონათვალს. ბრძანების მოსამზადებლად საჭიროა განისაზღვროს TSA-თვის და სხვა სოციალური შეღავათებისთვის დასაშვებობის ახალი ზღვრები, შერჩეული იყოს საპილოტე მუნიციპალიტეტები და განისაზღვროს მინიმალური საპილოტე შკალა ახალი განაცხადებისა და არსებული ბენეფიციარების კუთხით, მათი ხელახალი შეფასების მიზნით. საპილოტე მუნიციპალიტეტები შერჩეული იქნება ოთხი ტიპის დასახლებული პუნქტის მიხედვით,² კერძოდ: თბილისი, დიდი ქალაქები (ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, ფოთი, გორი, ზუგდიდი, სოხუმი), სხვა ქალაქები და სოფლები. პილოტირების დასაწყებად შემუშავდება შესაბამისი საოპერაციო სახელმძღვანელოები, ადაპტირდება TSA-ის პროგრამული უზრუნველყოფა და სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) სოციალური აგენტები გადამზადდებიან ახალი

¹ სესხის ხელშეკრულება № 9349-GE, დანართი №2 – DLRs, გადახდის მექანიზმები და ვერიფიკაციის პროტოკოლი.

² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილება, ცხრილი №1.

ფორმულის გამოსაყენებლად. TSA რეესტრი ადაპტირებულია იმისათვის, რომ სააგენტომ შეძლოს ყოველთვიური ანგარიშების გენერირება, რომელშიც მითითებულია მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია მუნიციპალიტეტისა და რეგიონის დონეზე: პროგრამაში ახალი განმცხადებლების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია განახლებული PMT ფორმულის გამოყენებით და არსებული TSA ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებიც ხელახლა შეფასდებიან ახალი PMT ფორმულის გამოყენებით; ორივე შემთხვევაში განისაზღვრება დასაშვებობის სტატუსის მიხედვით (აკმაყოფილებს პირობებს, უარი პროგრამაში მონაწილეობაზე, უარის მიზეზები).

ვერიფიკაციის პროცედურა³

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვერიფიკაციას განახორციელებს ყოველწლიურად, სააგენტოს რეგულარული ანგარიშების, სოციალური რეესტრის მონაცემების, მიზნობრივი ფორმულის განახლებაზე პასუხისმგებელი პირების გასაუბრებისა და სოციალურ აგენტებთან ინტერვიუს მეშვეობით. კერძოდ, აქტივობების შესრულების შეფასებისას შესწავლილი იქნება შემდეგი:

1. PMT ფორმულის შემუშავებისა და პილოტირების მიზნით დამტკიცებული მინისტრის ბრძანების ტექნიკური განხილვა/გაანალიზება. კერძოდ, ბრძანება უნდა შეიცავდეს PMT ფორმულის ცვლადებსა და კოეფიციენტებს, ვადებს, როლებს, პასუხისმგებლობებს, ფუნქციებსა და რესურსებს.
2. ფორმულის პილოტირებისთვის საოპერაციო სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიის ტექნიკურ სახელმძღვანელოს, „ოჯახის დეკლარაციის“ განახლებულ ფორმას და სასწავლო მასალას სოციალური აგენტებისთვის.
3. სოციალური რეესტრის განახლებული დეკლარაციის ფორმის ტექნიკური შაბლონების მიმოხილვა ახალი ცვლადების კუთხით.
4. სააგენტო სოციალური რეესტრის მეშვეობით ადგენს მიზნობრივი სოციალური დახმარების რეესტრში რეგისტრირებულთა ყოველთვიურ ანგარიშებს, სადაც მითითებულია მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია მუნიციპალიტეტისა და რეგიონის დონეზე:
 - პროგრამის ახალი ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია განახლებული PMT ფორმულის გამოყენებით;
 - მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციარები, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხელახლა გადამოწმდა; ორივე შემთხვევაში განსაზღვრულია დასაშვებობის სტატუსი (აკმაყოფილებს პირობებს, უარი პროგრამაში მონაწილეობაზე, უარის მიზეზები).

³ სესხის ხელშეკრულება № 9349-GE, დანართი №2 – DLRs, გადახდის მექანიზმები და ვერიფიკაციის პროტოკოლი.

ჩატარებული ვერიფიკაციის პროცედურები

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების მიერ პროგრამის ფარგლებში გატარებული ღონისძიებები. კერძოდ, ჩატარა შეთანხმების⁴ დოკუმენტის მიხედვით გაწერილი პროცედურები.

განახორციელა შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების ტექნიკური განხილვა: მოიცავდა თუ არა მინისტრის ბრძანება PMT ფორმულის ცვლადებსა და კოეფიციენტებს, ვადებს, როლებს, პასუხისმგებლობებს, ფუნქციებსა და რესურსებს. აღნიშნული პროცედურისათვის გაანალიზებულია შემდეგი ნორმები:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 5 აგვისტოს №MOH 1 22 00000098 ბრძანება „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმების გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისი დანართით: „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების გადამოწმების გრაფიკი“;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 30 სექტემბრის №MOH 9 22 00000131 ბრძანება „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის ტესტირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისი დანართებით: „ტესტირების რეჟიმში გამოსაყენებელი ოჯახის დეკლარაციის ფორმა“ (დანართი №1) და „შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი სატესტო მეთოდოლოგია“ (დანართი №2)“;
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 სექტემბრის №467 დადგენილება „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აუდიტის ჯგუფმა ჩატარა ინტერვიუები პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სამ პირთან.

აუდიტის ჯგუფის მიერ ასევე შესწავლილია სააგენტოს მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაცია:

⁴ სესხის ხელშეკრულება №9349-GE; ჩარჩო შეთანხმება FRAMEWORK AGREEMENT № CGE 1041 01 Z et 04 C.

- DLR 1.5.1-ის დასრულების ანგარიში (ინდიკატორის ანალიზი და ვერიფიკაციის ანგარიში);
- მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გაუმჯობესების მიზნით 2022 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარებული ტრენინგების მოკლე შეჯამება;
- ტრენინგზე წარდგენილი პრეზენტაციები: „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია, მასში შეტანილი ცვლილებები, შედეგები და გადამოწმების პროცესი“ და „ოჯახის დეკლარაციაში დამატებული კითხვები“.

სოციალური მომსახურების სააგენტომ აუდიტის ჯგუფს წარმოუდგინა „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან“ 2023 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით გენერირებული შემდეგი ინფორმაცია:

- განახლებული PMT ფორმულის გამოყენებით შეფასებული, არსებული და ახალი, სოციალურად დაუცველი პირების რეესტრი, მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების მიხედვით (შემდეგ – ბენეფიციართა რეესტრი);
- ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის ოქმების რეესტრი.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზის“ ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო (შემდეგ – ტექნოლოგიების სააგენტო). აუდიტის ჯგუფის თანდასწრებით, ტექნოლოგიური სააგენტოს პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელდა სერვერიდან განახლებული PMT ფორმულის შესაბამისი სკრიპტებისა და ასევე აღნიშნული სკრიპტების გაშვებით გენერირებული ბაზების ექსპორტი.

არსებული მდგომარეობა

- **მარეგულირებელი ნორმების ტექნიკური განხილვა**

PMT ფორმულის შემუშავებისა და პილოტირების მიზნით დამტკიცებული მინისტრის ბრძანების ტექნიკური განხილვის/გაანალიზების შედეგად აუდიტის ჯგუფი ადასტურებს, რომ ბრძანება მოიცავს ახალი სატესტო მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ფორმულის ცვლადებსა და კოეფიციენტებს, ვადებს, როლებს, პასუხისმგებლობებს, ფუნქციებსა და რესურსებს.

- **ფორმულის პილოტირებისთვის საოპერაციო სახელმძღვანელოს შექმნა**

DLR 1.5.1-ით გათვალისწინებული საოპერაციო საპილოტე სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიის ტექნიკურ სახელმძღვანელოს, „ოჯახის დეკლარაციის“ განახლებულ ფორმასა და სასწავლო მასალას სოციალური აგენტებისთვის, სააგენტოს მიერ დამტკიცებული არ არის. თუმცა აღსანიშნავია, რომ, ინფორმაცია ახალი მეთოდოლოგიის შესახებ და დეკლარაციაში დამატებული კითხვების შევსების წესი მოცემულია ახალი მეთოდოლოგიის ტესტირების ბრძანებაში და სოციალური აგენტებისათვის ჩატარებული ტრენინგის პრეზენტაციაში. გარდა ამისა, დეკლარაციის შევსების წესი

დადგენილია მინისტრის 2010 წლის 10 მაისის №141/ნ ბრძანებით, რითაც გათვალისწინებულია ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების საოპერაციო პროცედურები. ამდენად, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დამატებით საოპერაციო სახელმძღვანელოს შემუშავების საჭიროება არ იდგა.

მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს რეგიონებში ჩატარებული 19 ტრენინგისათვის აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთხოვილი და შესწავლილია ტრენინგის დამსწრეთა ხელმოწერილი სიები და ფოტომასალა. მითითებული ინფორმაციის ანალიზით დასტურდება, რომ საქართველოს მასშტაბით „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალ მეთოდოლოგიაში“ შეტანილი ცვლილებების შესახებ ტრენინგი ჩაუტარდა სააგენტოს 420 თანამშრომელს.

- **სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზის ადაპტაცია**

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა რეესტრისა და სერვერიდან განახლებული PMT ფორმულის შესაბამისი სკრიპტების გაშვებით გენერირებული ექსპორტის შედეგად, მონაცემთა ბაზების იდენტიფიკაცია დადასტურებულია.

ინფორმაციის შესწავლის/ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან“ შესაძლებელი იყო ყოველთვიური რეპორტების გენერირება, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის შეწყვეტის მიზეზების (აკმაყოფილებს პირობებს, უარი პროგრამაში მონაწილეობაზე, უარის მიზეზები) შესახებ.

მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული განახლებულ PMT-ში შემავალი ინდექსების დაანგარიშების ფორმულების განხილვისა და სერვერიდან ექსპორტირებული სკრიპტების შედარების შედეგად, აუდიტის ჯგუფმა დაადასტურა, რომ მონაცემთა ბაზაში ინტეგრირებული, განახლებულ PMT-ში შემავალი ინდექსების შესაბამისი სკრიპტები ასახავს „შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი სატესტო მეთოდოლოგიით“ განსაზღვრულ ცვლადებსა და კოეფიციენტებს. აღნიშნული მიუთითებს, რომ მონაცემთა ბაზაში ინტეგრირებული ინდექსები შეესაბამება ბრძანებით განახლებულ PMT-ში შეტანილ ინდექსებს.

სააგენტოს მიერ მომზადებულ DLR 1.5.1-ის დასრულების ანგარიშში (დასრულების ანგარიში) წარმოდგენილი სტატისტიკა ახალი მეთოდოლოგიით გადამოწმებული ოჯახების შესახებ შედგენილია ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც დამუშავებულია 2023 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით. აუდიტის ჯგუფის მიერ დამუშავებული ბაზები ექსპორტირებულია 2023 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით. იმის გათვალისწინებით, რომ ბაზაში მონაცემები ყოველდღიურად იცვლება, სოციალური აგენტების მიერ ახალი სატესტო მეთოდოლოგიით შეფასებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი ინფორმაციის ბაზაში ასახვისა და ბაზის მოწყობიდან

გამომდინარე, შეუძლებელია წინა პერიოდის მდგომარეობით ინფორმაციის ექსპორტირება. შედეგად, აუდიტის ჯგუფის მიერ მიღებული მაჩვენებლები (თვეების მიხედვით, ახალი მეთოდოლოგიით გადამოწმებული ახალი და არსებული საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა) მცირედით აღემატება დასრულების ანგარიშში ასახულ შესაბამის მონაცემებს. კერძოდ, პირველად შეფასებული ოჯახების რიცხვი 350-ით აღემატება დასრულების ანგარიშში ასახულ მონაცემებს, ხოლო ხელახლა შეფასებული ოჯახებისთვის – 1,000 ოჯახით. აღნიშნული სხვაობა არაარსებითია და გენერალური ერთობლიობის 5%-ს შეადგენს.

DLR 1.5.1-ის ფარგლებში გათვალისწინებულია დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით საპილოტე მუნიციპალიტეტების შერჩევა და PMT-ის ახალი მეთოდოლოგიის პილოტირება. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუებისა და შესაბამისი მონაცემთა ბაზების ანალიზის შედეგად, დასტურდება, რომ ახალი მეთოდოლოგიით ოჯახების ხელახალი და პირველადი შეფასება განხორციელდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, დასახლების ოთხი ტიპის მიხედვით.⁵

დასკვნა

პროგრამით გათვალისწინებული ვერიფიკაციის პროტოკოლისა და ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა მიიღო რწმუნება, რომ არაარსებითი ნაკლოვანებების გათვალისწინებით, პროგრამის DLR 1.5.1-ით განსაზღვრული აქტივობები შესრულებულია სრულად.

რეკომენდაცია

პროგრამით გათვალისწინებული DLR 1.5.1-ის ფარგლებში შემუშავებული ახალი სატესტო მეთოდოლოგიის ეროვნულ დონეზე დანერგვის მიზნით, რეკომენდებულია შესაბამისი ტექნიკური სახელმძღვანელოს შემუშავება და დამტკიცება.

DLR 3.1.1

აღწერა⁶

საქართველოს თითოეულ რეგიონში ფუნქციონირებს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს (შემდგომ – დასაქმების სააგენტო) რეგიონალური ოფისი, რომელიც სათანადოდ უნდა იყოს დაკომპლექტებული და აღჭურვილი, რათა დასაქმების მხარდამჭერი სერვისების შეთავაზების გზით,

⁵ დედაქალაქი, დიდი ქალაქები (ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, ფოთი, გორი, ზუგდიდი, სოხუმი), სხვა ქალაქური ტიპის დასახლება, რომელიც მოცემულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილების №1ცხრილში და სოფლის ტიპის დასახლება.

⁶ სესხის ხელშეკრულება № 9349-GE, დანართი №2 – DLRs, გადახდის მექანიზმები და ვერიფიკაციის პროტოკოლი.

უზრუნველყოს ყოველწლიურად სოფლად სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობის ზრდა. DLR 3.1.1 მიზნად ისახავს დასაქმების სააგენტოს სერვისებისა და პროგრამების გაფართოებას ქვეყნის ყველა რეგიონში, მათ შორის, კლიმატური ცვლილების შედეგად დაზარალებულ რეგიონებში. მოსალოდნელი შედეგი გააუმჯობესებს მოსახლეობის იმ ნაწილის მოცვას, რომლისთვისაც არ არის ხელმისაწვდომი დასაქმების სერვისები და უზრუნველყოფს სერვისების უფრო სამართლიან მიწოდებას რეგიონებში.

DLR 3.1.1 მიიღწევა მაშინ როდესაც გაიხსნება დასაქმების სააგენტოს ახალი რეგიონალური ოფისები

ადმინისტრაციული რეგიონები: კახეთი, თბილისი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა (ა/რ), გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი. თბილისის სერვისცენტრებია გლდანი-ნამალადევი, დიდუბე-ჩუღურეთი, ისანი-სამგორი, ვაკე-საბურთალო, ძველი თბილისი. დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისი ითვლება „გახსნილად“, თუ ცენტრში დასაქმებულია სრულ განაკვეთზე მომუშავე არანაკლებ ხუთი სპეციალისტი და სერვისი მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია შეუფერხებლად, არანაკლებ სამი თვის განმავლობაში. სპეციალისტები განიმარტება, როგორც პირები, რომლებიც მუშაობენ სრულ განაკვეთზე შრომის ბაზრის მიმდინარე პროგრამის მიმართულებით (შემდეგ – ALMP) და ასრულებენ შემდეგ საქმიანობას: სამუშაოს მაძიებელთა პირადი საქმის მართვა, პროფილირება, კონსულტაცია, ტრენინგი. სპეციალისტები ჩაითვლებიან სრულ განაკვეთზე დასაქმებულად, თუ მათ აქვთ სრულ განაკვეთზე მუშაობის მინიმუმ ერთი წლის (ან განუსაზღვრელი) ვადის შრომითი ხელშეკრულება. დასაქმების სააგენტოს რეგიონული ოფისი ითვლება „სათანადოდ დაკომპლექტებულად“, თუ მინიმუმ 20 სპეციალისტი დასაქმებულია დასაქმების სააგენტოს ოფისების დიდ რეგიონებში (თბილისი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი); სპეციალისტად ჩაითვლება მხოლოდ სამუშაოს მაძიებელთა მომსახურებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ვერიფიკაციის პროცედურა⁷

შესრულებული აქტივობების დადასტურება როგორც ფიზიკური ინსპექტირების საფუძველზე, ასევე სააგენტოს წლიური და კვარტალური ანგარიშებით, სადაც მოცემულია ინფორმაცია: მორიგე მანქანების რაოდენობა რეგიონების მიხედვით და რეგიონულ ოფისებში სრულ და ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობა.

ჩატარებული ვერიფიკაციის პროცედურები

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების მიერ პროგრამის ფარგლებში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული ღონისძიებები. კერძოდ, განხორციელდა პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები, შესწავლილ იქნა DLR 3.1.1-ის

⁷ სესხის ხელშეკრულება № 9349-GE, დანართი №2 – DLRs, გადახდის მექანიზმები და ვერიფიკაციის პროტოკოლი.

შესრულების ანგარიში (ინდიკატორის ანალიზი და ვერიფიკაციის ანგარიში); პროგრამით გათვალისწინებული თბილისის სერვისცენტრის დაკომპლექტებისთვის განსაზღვრული თანამშრომელთა რაოდენობის დასადასტურებლად აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა დასაქმების სააგენტოს დირექტორის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები.

თბილისის ოფისისთვის სპეციალისტების დასაქირავებლად ნოემბერში გამოცხადებული იყო ვაკანსიები კონსულტანტისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების მონიტორის პოზიციებზე. 2022 წლის 17 დეკემბერს ჩატარდა გასაუბრება და შეირჩენ შესაბამისი კანდიდატები. სააგენტომ 2022 წლის დეკემბრის ბოლოს სრულად დააკომპლექტა თბილისის სერვისცენტრი. ახალ თანამშრომლებს ჩაუტარდათ სწავლება, სააგენტოს ძირითადი სამუშაო პროცესების გაცნობის მიზნით. ამ ეტაპისთვის თბილისის სერვისცენტრს ჰყავს ერთი ხელმძღვანელი, სამი მონიტორი, კარიერის დაგეგმვის ხუთი სპეციალისტი, მხარდაჭერითი დასაქმების სამი კონსულტანტი, დასაქმების ცხრა სპეციალისტი, ერთი კონსულტანტი შრომითი მიგრაციის მიმართულებით ემსახურება სამუშაოს მაძიებლებს და ერთი სპეციალისტი იღებს მოქალაქეთა განცხადებებს. აღსანიშნავია, რომ შრომითი მიგრაციის სპეციალისტი და კანცელარიის თანამშრომელი სააგენტოს შტატით გათვალისწინებული თანამშრომლები არიან, ხოლო დანარჩენი სპეციალისტები, სააგენტოს სერვისცენტრის ხელმძღვანელის ჩათვლით, არიან შტატგარეშე სრულ განაკვეთზე ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული თანამშრომლები. თანამშრომლები განაწილებული არიან ხუთ სერვისცენტრსა და ცენტრალურ ოფისში, რომელიც მდებარეობს თბილისში, ასათიანის ქუჩის №9-ში.

თბილისის რაიონულ სერვის ცენტრებში ჩატარდა ფიზიკური ინსპექტირება შემდეგ მისამართებზე:

- ვაკე-საბურთალო სერვისცენტრი – მიცკევიჩის ქუჩა №23;
- ვაკე-საბურთალო სერვისცენტრი – ასათიანის ქუჩა №9;
- ისანი – მოსკოვის გამზირი, გიორგი მდივნის I შესახვევი №1;
- დიდუბე-ჩუღურეთი – დ. აღმაშენებლის გამზირი №140ა;
- გლდანი-ნაძალადევი – დ. სარაჯიშვილი გამზირი №1.

არსებული მდგომარეობა

შრომითი ხელშეკრულებებისა და დასაქმების სააგენტოს თანამშრომელთა დანიშვნის ბრძანებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ 22 დასაქმებულიდან 2022 წელს დაქირავებულია რვა ახალი თანამშრომელი. ექვს მათგანთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 6 თვეა, ხოლო დანარჩენი თანამშრომლების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების ვადად განსაზღვრულია 12 თვე. ზემოაღნიშნულ ექვს თანამშრომელთან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, სააგენტოს განმარტებით, იგეგმება ახალი შრომითი ხელშეკრულების გაგრძელება. აღნიშნულის გათვალისწინებით სრულდება DLR-ით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა, რომლის თანახმადაც

არანაკლებ ხუთი სრულ განაკვეთზე მომუშავე სპეციალისტი ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან შეუფერხებლად არანაკლებ სამი თვის განმავლობაში. შრომითი ხელშეკრულებების ანალიზის შედეგად, დასტურდება რომ 20 თანამშრომლის შემთხვევაში ხელშეკრულების დანართში - შრომითი ინსტრუქცია - დეტალურად არის აღწერილი დასაქმებულის სამუშაო აღწერილობა და ფუნქციები, რომელიც მოიცავს DLR-ით განსაზღვრულ საქმიანობებს: სამუშაოს მაძიებელთა პირადი საქმის მართვა, პროფილირება, კონსულტაცია, ტრენინგი.

ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ 2023 წლის 25-26 აპრილის მდგომარეობით ვაკე-საბურთალოს მიკრევიჩის ქუჩაზე №23-ში მდებარე სერვისცენტრში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და აღნიშნულ ადგილზე დასაქმებული თანამშრომელი გადაყვანილია ვაკე-საბურთალოს მეორე სერვისცენტრში. აღსანიშნავია, რომ ისნისა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონების სერვისცენტრებში დასაქმების სააგენტოს თანამშრომლებისთვის გამოყოფილია ცალკე იზოლირებული ოთახები სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფისებში, ვაკე-საბურთალოს სერვისცენტრისათვის დასაქმების სააგენტოს ოფისში გამოყოფილია 2 ოთახი, ხოლო გლდანი-ნაძალადევის ოფისის თანამშრომლებისთვის, სააგენტოს საერთო სივრცეში. თანამშრომლები აღჭურვილი იყვნენ სამუშაო პროცესისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკითა და საოფისე ავეჯით, რასაც ასევე ადასტურებს 2022 წელს დასაქმების სააგენტოში ჩატარებული საინვენტარიზაციო აღწერილობის დოკუმენტი და ინვენტარიზაციის შემდგომ შესყიდული კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი. თბილისის ოფისს ემსახურება ერთი მორიგე მანქანა. ინსპექტირების პროცესში დასაქმებული 22 თანამშრომლიდან სამუშაო ადგილზე იმყოფებოდა 17 თანამშრომელი, 3 თანამშრომელი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე, 1 თანამშრომელი 2023 წლის აპრილიდან გადაყვანილია ქალაქ ახალციხის სერვისცენტრში, ხოლო 1 თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულება შეწყვეტილია 2023 წლის 6 მარტიდან, მათ შორისაა, შრომითი მიგრაციის სპეციალისტი და თბილისის სერვისცენტრის ხელმძღვანელი.

დასკვნა

პროგრამით გათვალისწინებული ვერიფიკაციის პროტოკოლისა და ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა მიიღო რწმუნება, რომ არაარსებითი ნაკლოვანებების გათვალისწინებით, პროგრამის DLR 3.1.1-ის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გათვალისწინებული აქტივობები შესრულებულია სრულად.

DLR 3.2

აღწერა⁸

შრომის ბაზრის მიმდინარე პოლიტიკის ღონისძიებებში (ALMP) ჩართულ მოწყვლად ბენეფიციარებად განისაზღვრება ახალგაზრდები, დევნილი, მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციარები, შშმ პირები და ქალები. დაგეგმილია, რომ ALMP-ების მოწყვლადი ბენეფიციარების რიცხვი, დროთა განმავლობაში გაიზარდეს 5,000 ბენეფიციარამდე 2023 წელს, 12,000-მდე – 2024 წელს, 18,000-მდე – 2025 წელს, 24,000-მდე – 2026 წელს, 27,000-მდე – 2027 წელს და 30,000-მდე – 2028 წელს.

ვერიფიკაციის პროცედურა⁹

დასაქმების სააგენტოს ყოველწლიური ანგარიშების მიხედვით შრომის ბაზრის მიმდინარე პოლიტიკის (ALMP) თითოეული ღონისძიების მოსარგებლეთა რაოდენობების დადასტურება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სოციალურად დაუცველობის სტატუსი, სქესი, დევნილი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პოპულაციის 1%-ის შერჩევითი შემოწმება.

ჩატარებული ვერიფიკაციის პროცედურები

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების მიერ პროგრამის ფარგლებში გატარებული ღონისძიებები. კერძოდ: შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები, განხორციელდა დასაქმების სააგენტოს წარმომადგენელ პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები, შესწავლილ იქნა 2022 წელს პროგრამით გათვალისწინებულ სერვისებში მოსარგებლეთა ჩართულობის მაჩვენებელი. ჩატარდა პროგრამის მოსარგებლეების სატელეფონო გამოკითხვა, რისთვისაც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა 50 ბენეფიციარი, რომლებმაც 2022 წელს ისარგებლეს შრომის ბაზრის პროგრამის სერვისებით: ასევე პროფესიული მომზადების სერვისის მიმწოდებლები კოლეჯებიდან საქართველოს რეგიონებში (აჭარა, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და კახეთი), ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით, თითო კოლეჯი და თბილისში – 3 კოლეჯი) გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია 2022 წელს პროფესიულ მომზადებაში ჩართვის შესახებ 832 ბენეფიციარის შემთხვევაში, ხოლო 100 ბენეფიციარზე – პროფესიული მომზადების კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის პროტოკოლის შესაბამისად, მოწყვლადი ჯგუფის თითოეული კატეგორიისათვის (ქალი, ახალგაზრდა, დევნილი, შშმ პირი, სოციალურად დაუცველი პირი) შერჩევის 1%-იანი სიდიდის გათვალისწინებით, დოკუმენტური დადასტურებისათვის დასაქმების სააგენტოსგან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, 91 ბენეფიციარისთვის გამოთხოვილ იქნა 2022 წელს ALPM-ის ღონისძიებების (სტაჟირება, ხელფასის

⁸ სესხის ხელშეკრულება № 9349-GE, დანართი №2 – DLRs, გადახდის მექანიზმები და ვერიფიკაციის პროტოკოლი.

⁹ სესხის ხელშეკრულება № 9349-GE, დანართი №2 – DLRs, გადახდის მექანიზმები და ვერიფიკაციის პროტოკოლი.

სუბსიდირება, შუამავლობა, ინდივიდუალური კონსულტაცია, რეფერირება ვაკანტურ პოზიციებზე, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროფესიული კურსები, საკვანძო კომპეტენციების განვითარება) ფარგლებში გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დასაქმების სააგენტოს მიერ მოწოდებული სამუშაოს მაძიებელთა და პროფესიული მომზადების კურსით მოსარგებლეთა რეესტრებში ასახული ინფორმაციის სისრულის რწმუნების მოსაპოვებლად, განხორციელდა მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის გენერირება აუდიტორის თანდასწრებით.

მოწყვლადი ჯგუფის სრული რეესტრისთვის, თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ბენეფიციართა სტატუსის დადასტურების მიზნით, გარე წყაროდან გამოთხოვილ იქნა:

- სქესისა და ასაკის დასადასტურებლად – ინფორმაცია სამუშაოს მაძიებელთა სქესის, სახელისა და გვარისა, ასევე დაბადების წლის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (შემდეგ – სერვისების სააგენტო);
- სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის დასადასტურებლად – ინფორმაცია პირის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირების შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან;
- დევნილის სტატუსის დასადასტურებლად – ინფორმაცია პირის დევნილის სტატუსის შესახებ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან;
- შშმ პირის სტატუსის დასადასტურებლად – ინფორმაცია შშმ პირის სტატუსის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან.

გაანალიზდა დასაქმების სააგენტოს მიერ მომზადებული DLR 3.2-ის შესრულების ანგარიში და მასში ასახული ინფორმაცია.

არსებული მდგომარეობა

დასაქმების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით 5,440 სამუშაოს მაძიებელი აკმაყოფილებს მოწყვლადობის კრიტერიუმებიდან, სულ მცირე, ერთ კრიტერიუმს.

ჩატარებული მონაცემთა ბაზების, პროგრამის მოსარგებლეების გამოკითხვისა და გარე მხარეთა დადასტურების შედეგად მიღებული დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, 49 სამუშაოს მაძიებლის შემთხვევაში არ დასტურდება მოწყვლადი ჯგუფის კატეგორია, კერძოდ:

- 36 პირის შემთხვევაში არ დასტურდება ახალგაზრდის (16-დან 29 წლამდე პირი) სტატუსი;
- 12 პირის შემთხვევაში არ დასტურდება სქესი მდედრობითი;
- 1 პირის შემთხვევაში არ დასტურდება როგორც მდედრობითი სქესი, ასევე ახალგაზრდის კრიტერიუმი.

მოწყვლადი კატეგორიის სამუშაოს მაძიებელთა რეესტრში დუბლირებულია 8 პირის მონაცემი.

შედეგად, აუდიტის ჯგუფი ადასტურებს 5,383 სამუშაოს მაძიებლის მოწყვლადობის კრიტერიუმიდან ერთ-ერთს, რაც DLR 3.2-ით 2023 წლისთვის დაგეგმილი ღონისძიების შედეგის მაჩვენებელი 5,000 ბენეფიციარიაზე მეტია. ამასთანავე აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული უზუსტობა გენერალური ერთობლიობის არაარსებითი ნაწილია და 1%-ს შეადგენს.

რაც შეეხება ბენეფიციარისთვის 2022 წელს შრომის ბაზრის მიმდინარე პოლიტიკის ღონისძიებების (სტაჟირება, ხელფასის სუბსიდირება, შუამავლობა, ინდივიდუალური კონსულტაცია, რეფერირება ვაკანტურ პოზიციებზე, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროფესიული კურსები, საკვანძო კომპეტენციების განვითარება) ფარგლებში გაწეულ მომსახურებას, აუდიტორული შერჩევით დოკუმენტური ინფორმაციისა და ბენეფიციართა სატელეფონო გამოკითხვების შედეგად, შერჩეული ბენეფიციარებისთვის დასტურდება მოსარგებლეთა ALPM-ის ღონისძიებებში ჩართვა.

გამოვლენილი ნაკლოვანებები

აუდიტორული პროცედურების საფუძველზე გამოვლინდა ინფორმაციის დამუშავების არაარსებითი ნაკლოვანებები, კერძოდ:

- დასაქმების სააგენტოს წარმოებულ სამუშაო მაძიებელთა რეესტრში (შემდეგ – რეესტრი) რიგ შემთხვევაში არასწორად არის შეყვანილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემი – პირადი ნომერი;
- სამუშაოს მაძიებელთა რეესტრში არასრულყოფილად არის ასახული ბენეფიციარის მიერ 2022 წელს ALPM-ის ფარგლებში გაწეული მომსახურება. პროფესიული გადამზადების პროგრამიდან გენერირებული ინფორმაციისა და რეესტრის შედარებისას გამოვლინდა ფაქტები, როდესაც პირს გავლილი ჰქონდა პროფესიული მომზადება, ხოლო რეესტრში არ იყო ასახული ეს ინფორმაცია;
- სერვისების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციისა და რეესტრის შედარებისას გამოვლინდა შეუსაბამოებები. რეესტრი ყველა ბენეფიციარისთვის სწორად და სრულყოფილად არ ასახავს ბენეფიციარის სქესსა და ასაკს;
- შშმ პირის სტატუსის გადამოწმებისათვის არ არსებობს შშმ პირების ერთიანი რეესტრი, რაც ართულებს მოწყვლადი ჯგუფის აღნიშნული კრიტერიუმის იდენტიფიცირებას.

აღსანიშნავია, რომ დასაქმების სააგენტოს მიერ წარმოებულ რეესტრში ასახული მნიშვნელოვანი ინფორმაცია დამუშავებულია მანუალურად, რაც ზრდის ადამიანური შეცდომის დაშვების ალბათობას.

დასკვნა

პროგრამით გათვალისწინებული ვერიფიკაციის პროტოკოლისა და ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა მიიღო რწმუნება, რომ არაარსებითი ნაკლოვანებების გათვალისწინებით, პროგრამის DLR 3.2-ით 2023 წლისთვის გათვალისწინებული აქტივობები შესრულებულია სრულად.

რეკომენდაცია

პროგრამის ფარგლებში გენერირებული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის გაუმჯობესების, ასევე ადამიანური შეცდომის ალბათობის შემცირების მიზნით, რეკომენდებულია ერთიანი ციფრული სისტემის შექმნისას გათვალისწინებული იქნეს დასაქმების სააგენტოსა და სერვისების განვითარების სააგენტოს შორის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების შემუშავება და დასაქმების სააგენტოს რეესტრებისა და პროგრამების გაერთიანება.